საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№06 (524)
19 - 25 თებერვალი, 2020
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## «სანამ პრეზიდენტი ვარ, რუსეთში არ იქნება «მშობელი №1» და «მშობელი №2», იარსებებს მხოლოდ «დედა» და «მამა»»

16

# ნათელაშვილის «ქარვასლა»

2-3




## იმ ოლიგარქს რომ გააგდებთ, ბატონებო, მერე რას აპირებთ?



ნანა კაკაბაძე:

## 48 მილიონის გაფლანგვისთვის ნორმალურ ქვეყანაში სამ წელს გაკმარებენ?

6



## უგულავასთვის გამოტანილი განაჩენი სასჯელი კი არა, მაღალჩინოსნების წაქეზებაა, რომ ქვეყანა ძარცვონ და ჩვენი ფული თქვლიფონ

7




## რატომ ეშინია დასავლეთს მოლაპარაკებების მაგიდასთან საქართველოსა და რუსეთის შუამავლების გარეშე დასხდომის

5



## ბლუმბერგისა და ტრამპის პოლემიკა საქართველოს კრიტიკის ფონზე

16



10

## იალტა-პოტსდამიდან დღევანდელობამდე



## აშშ-ში აჩვენეს მამხილებელი ფილმი უკრაინულ მაიდანში ობამას, ბაიდენისა და სააკაშვილის როლზე

15



## როცა ცარიელ ბიბლიოთეკაში იპოლიტესთან ერთად კითხულობ წიგნებს

8





ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**არ ვიცი, რად დაუჯდება ქვეყანას ეს „ექსპერიმენტი“, მაგრამ ამისთვის ბიძინა ივანიშვილს მართლაც ტაში უნდა დავუკრა. მან მართლაც შექმნა და ჩამოაყალიბა ისეთი სიტუაცია, რომელშიც ყველა ნაგავი თავისით ამოტივტივდა და გამოაშკარავდა. მიუხედავად იმისა, მავანი პროდასავლურობის ნიშნით ილეტდა ტანსაცმელს და იქაჩებოდა თუ პრორუსულობის პრაგმატულ ნიშაში ჩაჯდომას ცდილობდა, ყველა ჯურის უთავმოყვარეო და ერთი ადგილის მოთამაშე პოლიტიკური ლიდერები სწორედ ლეიბორისტების ოფისში მაგიდაზე „დევს“.**

# ხალხო, ჩვენ რომ ქვეყნის დაქცევა გვეგონა, თურმე «პირადი წყენა» ყოფილა!

**ერთი ძველი და ცოტა უხამსი ანეკდოტია ასეთი: ექიმთან ვიზიტიდან დაბრუნებული მარო ქმარს ეუბნება: „მიხო, კაცო, ჩვენ რომ ასთმა გვეგონა ხოლმე, ეგა, თურმე ორგაზმი ყოფილაო“. ეს ანეკდოტი იმიტომ გავიხსენე, რომ ამაზე უკეთ ვერავინ და ვერაფერი გამოხატავს დღევანდელი ქართული ე.წ. ოპოზიციის მდგომარეობას. აქედანვე ვიტყვი, რომ ეს არ ეხება მხოლოდ ირმა ინაშვილის „პატრიოტთა ალიანსს“, კახა ძაგანიას „მემარცხენეებსა“ და ჯონდი ბაღათურიას „დასს“, დანარჩენი, ყველა, ფაქტობრივად, სწორედ იმის მტკიცებაზე არიან გადასული, რომ ის, რაზეც აქამდე ბევრი წლის განმავლობაში გვეუბნებოდნენ ასთმაა, დაავადებაა, ბოროტებაა და ცუდიაო, სინამდვილეში თურმე ორგაზმი, სიამოვნება და სიკეთე ყოფილა!**

ასეთი გამონათქვამებით განსაკუთრებით რეკორდული იყო გასული კვირა. **გუბაზ სანიკიძემ, შალვა ნათელაშვილმა, ნინო ბურჯანაძემ** და სხვებმა ისეთები ილაპარაკეს **მიშა სააკაშვილსა** და **გიგი უგულავაზე**, რომ ადამიანს შეიძლება გული ასჩუყებოდა, ათიოდე წლის წინანდელი მათი ფრაზები კარგად რომ არ ახსოვდეს საზოგადოებას.

**გუბაზით** დავიწყოთ. მხოლოდ 20 წლის ბავშვებს არ ემახსოვრება, ალბათ, თორემ, 20 წლის ზემოთ ვინც არის ახლა და მაშინ 12 წლისა მაინც იყო, ყველამ კარგად იცის, რატომ და რისთვის გალანძღა ქართველი ხალხი გუბაზ სანიკიძემ ერთ-ერთ საპროტესტო აქციაზე სიტყვით გამოსვლისას. **„რამ დაგადედლა და დაგაბეჩავა, ქართველო ხალხო?! ჯალალედინი მოგვადგომია კარს!“** — ასეთი იყო მაშინ „ლევანიჩის“ პათოსი, ხოლო ცნობილ სისხლისმსმელ დამპყრობელ **ჯალალ-ედ-დინში** საქართველოს ექსპრეზიდენტი, ძებნილი ცრუპენტელა **მიშა სააკაშვილი** იგულისხმებოდა.

დღეს გუბაზი აცხადებს: **„ხომ შევთანხმდით, რომ მიშა სააკაშვილი ყველაზე გავლენიანი და ძლიერი ქართველი პოლიტიკოსია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც!“**

ე.ი., შეგვიძლია ვთქვათ ასეთი რამ — **„ჯალალ-ედ-დინი არის ყველაზე გავლენიანი ქართველი პოლიტიკოსი და ჩვენ მის გარშემო უნდა გავერთიანდეთ!“**

**შალვა ნათელაშვილი** არანაკლები მედროვეული ფრაზით წარდგა მაყურებლის წინაშე, როდესაც გიგი უგულავას შესახებ მის მიერ ხუთიოდე წლის წინათ ნათქვამი ფრაზა შეახსენეს. **„მაშინ ისე იყო და ის ვთქვი, ახლა ასეა და ასე ვამბობ, მერე სხვა დროს შეიძლება კიდევ სხვანაირად იყოს“,** — გაჭრილად თქვა შალვა ნათელაშვილმა და ერთადერთი, რაც დასაფასებელია, სწორედ მისი პირდაპირობაა — მედროვე ვარ და მაცადეთ, ჩემი მედროვეული საქმე უნდა ვაკეთოო.

არადა, მართლაც საინტერესოა, რას ამბობდა შალვა-ბატონი „ჩაგრულ გიგიზე“ ამ ხუთიოდე წლის წინათ.

„გიგი უგულავა არის სააკაშვილის ერთ-ერთი ყველაზე პირველი ჯალათი. 7 ნოემბრის დარბევაც მისი უშუალო ხელმძღვანელობით მოხდა. მანვე მიუსია უდესიანის ზონდერები საკრებულოს იმ დეპუტატებს, რომლებიც მიშას არ უჭერდნენ მხარს. ის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დამნაშავეა მიშას რეჟიმის წარმომადგენლებს შორის“

ასეთი და სხვა მსგავსი გამონათქვამები უკვე ძალიან შეაჩვიეს საზოგადოების ყურს ქართველმა პოლიტიკოსებმა. შეიძლება ზოგმა თქვას, პოლიტიკა ეგეთი რამეა, შეიძლება დღეს ერთ იდეოლოგიას მისდევდეს კაცი და ხვალ უცებ — მკვეთრად სხვა იდეოლოგიასო.

კი, ბატონო, მაგრამ, ჯერ ერთი, არც ეგ მესმის: დღეს თუ მემარცხენე ხარ, ხვალ უცებ მემარჯვენე როგორ უნდა გახდე?! მაგრამ იდეოლოგიები კიდევ ჯანდაბას.

მინდა მიაქციოთ ყურადღება და კარგად გაიაზროთ. აქ იდეოლოგიებზე კი არა, კონკრეტულ სისხლის სამართლის დამნაშავეებზეა საუბარი.

**„ახლა პირადი კინკლაობის დრო არ არის. ყველამ უნდა დავივიწყოთ პირადი წყენა და დავდგეთ ერთად ოლიგარქის დასამარცხებლად!“** — ასეთი პათოსით რეაგირებენ ხოლმე შესაბამის შეკითხვაზეს ქართული პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლები.

საზოგადოდ, ეს ფორმულა — **„პირადი წყენის დავიწყება და ერთად დადგომა“ — ერთგვარ ყველაფრის „გამაპრავებელ“ რეცეპტად გამოაცხადა ე.წ. ოპოზიციამ. ეგ კი არა, თუკი ამაში მათ არ დაეთანხმე და, როგორც ისინი უწოდებენ, „პირადი წყენის“ დავიწყებაზე უარი თქვი, შეიძლება სამშობლოს მოღალატედაც კი შეგრაცხონ.**

ამიტომ მსურს, დავსვა კითხვა — **რა არის, ბატონებო, თქვენთვის „პირადი წყენა“?**

გუბაზ სანიკიძე მიხეილ სააკაშვილს იმიტომ უწოდებდა ჯალალ-ედ-დინს, რომ პირადი წყენა ჰქონდა მის მიმართ? მეტიც — ქართველ ხალხს მხდალი, დედალი და ჩასვრილი სააკაშვილთან პირადი წყენის გამო უწოდა? გავიხსენოთ — ეს ის პერიოდია, როდესაც იმჟამინდელი ოპოზიციის ლიდერების არაერთგზის გაჭაჭვისა და ქუჩაში ლამის ნახევარი მილიონი ადამიანის გამოსვლისა, მათ ხელშესახებ შედეგს ვერ მიაღწიეს. ხალხსაც მობეზრდა ქუჩაში უაზროდ ბოდიალი და ერთ დღესაც ლიდერების მოწოდებებს ძალიან ცოტა ადამიანი შეუერთდა. აი, მაშინ „აბობოქრდა“ სწორედ გუბაზიკო (აქუს დავესესხოთ!) და აგინა და ლანძღა ქართველი ხალხი! ის კი, რა თქმა უნდა, არ უთქვამს, რომ ხალხი ქუჩაში სწორედ მისნაირი უკანალის მოთამაშე ლიდერების უნიათობის გამო აღარ გამოდიოდა.

ე.ი., **გუბაზი თავისი ჩასვრის გამო, ხალხს უწოდებდა ჩასვრილს და, თურმე დღეს ირკვევა, რომ ხალხი ქუჩაში საუკეთესო ქართველი პოლიტიკოსის წინააღმდეგ უნდა გამოსულიყო. აი ლოგიკა!**





> **იმ ოლიგარქს რომ გააგდებთ, ბატონებო, მერე რას აპირებთ? რომ აგიჩემებიათ: მაჟორიტარული აღარ იქნება, პროპორციული იქნებაო — მკვლელები, მანიაკები, მექრთამეები და თაღლითები რომელი სისტემით გაინაწილებენ პარლამენტს, ხელისუფლებასა და მთავრობას, რა მნიშვნელობა აქვს?!**



საქმეც ის არის, ხალხო, რომ აქ საუბარი არ გვაქვს იდეოლოგიურ შეუთავსებლობებზე და გარკვეულ პოლიტიკურ ბრალდებებზე. ეს ადამიანები პირად წყენად მოიხსენიებენ სისხლის სამართლის კონკრეტულ და თანაც ამაზრზენ, სასტიკ დანაშაულებს.

* ვეკითხები შალვა ნათელაშვილს — კაცი სააკაშვილის ჯალათი რომ არის და ზონდერებს უქსევს საკრებულოსა და პარლამენტის წევრებს, ეს თქვენთვის პირადი წყენაა და სხვა არაფერი?

*** ვეკითხები გუბაზ სანიკიძეს — ადამიანი ქვეყნის ამაოხრებელი, გამაპარტახებელი და ადამიანების მწამებელი მანიაკი რომ არის, ეს თქვენთვის პირადი წყენაა და მეტი არაფერი?**

* ვეკითხები **ალეკო ელისაშვილს**, რომელიც ეკა ბესელიას ბრალად უყენებდა მექრთამეობას, პატიმრებისგან ფულის გამოძალვასა და თაღლითობას, ახლა კი მის გვერდით „ოპოზიციობს“ — **ალეკო, კაცურად, მექრთამეებისა და თაღლითების გადარჩენილი ქვეყანა გინახავთ სადმე?**

საერთოდ არაფერს ვეკითხები **ნინო ბურჯანაძეს**, რომელსაც თავმოყვარეობა დაკარგული აქვს და სრულ აბსურდს ამბობს, — **გიგი უგულავა, რეალურად ჩადენილი დანაშაულისთვის კი დაიჭირეს, მაგრამ მაინც პოლიტპატიმარიაო!..**

უპასუხო შეკითხვები რომ აღარ დარჩეს, დავაზუსტებ: კი, ბატონო, დავუშვებ იმას, რომ ადამიანმა თქვას — ეს კაცი ადრე მემარცხენე იდეოლოგიის იყო, ახლა მემარჯვენე იდეოლოგიის მომხრეა, მაგრამ არა უშავს, მთავარია, ერთად ვიბრძოლოთ ქვეყნის საკეთილდღეოდო. ან თქვას ვინმემ — ამ კაცმა ბავშვობაში გამლახა, მაგრამ ახლა პირადი წყენის გახსენების დრო არ არის, ქვეყანაა გადასარჩენიო.

კარგი, ამას დავუშვებ, მაგრამ ესენი რას ამბობენ? — **კი, სისხლის სამართლის დამნაშავეები არიან (ვართ!), მანიაკები არიან, მკვლელები არიან, მექრთამეები და თაღლითები არიან, მაგრამ ახლა ამის დრო არ არის, მთავარია, ოლიგარქი გავაგდოთო.**

**და მერე, იმ ოლიგარქს რომ გააგდებთ, ბატონებო, რას აპირებთ? რომ აგიჩემებიათ „მაჟორიტარული აღარ იქნება, პროპორციული იქნებაო“ — მკვლელები, მანიაკები, მექრთამეები და თაღლითები რომელი სისტემით გაინაწილებენ პარლამენტს, ხელისუფლებასა და მთავრობას, რა მნიშვნელობა აქვს?!**

ასე არ იქნება?! აბა, როგორ იქნება?! „ოლიგარქს“ გააგდებთ და მერე ერთმანეთს დაერევით? ჩემმა მზემ, ძალიან კი წაადგება ეგ ამბავი ამ ისედაც მიუძლურებულ და ცოცხალმკვდარ სახელმწიფოს.

ამიტომ **ისღა დაგრჩენიათ, ან მაიმუნობას მოეშვათ და არჩევნებისთვის მოემზადოთ, ან კიდევ აღიარეთ, რომ თავის დროზე მიშას არა ობიექტური ფაქტების, არამედ პირადი წყენის გამო ებრძოდით. აღიარეთ, რომ მიშას წინააღმდეგ ყველა ბრალდება ცილისწამება იყო და თქვენ ამ ბრალდებებს მხოლოდ იმიტომ გაიძახოდით ტელეკამერების წინ, რომ მიშამ თქვენი ამბიციები არ დააკმაყოფილა — ან ფული არ მოგცათ, ან თანამდებობა.**

იმავე **ოქრუაშვილმა,** რომელიც ამჟამად პატიმარია, აღიაროს, რომ, რაც მან მაშინ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში **ინგა გრიგოლიას** გადაცემაში ილაპარაკა მიხეილ სააკაშვილის მიერ **ბადრი პატარკაციშვილის** მკვლელობის გეგმებზე, ეს, უბრალოდ, პირადი წყენის ნიადაგზე მისგან მოგონილი ტყუილი იყო და სხვა არაფერი.

აბა, ვერ გავიგე, ადამიანების მკვლელობების დამგეგმავ „ქილერთან“ ერთად გინდათ ქვეყნის გადარჩენა, თქვე ბემურაზებო?!

ყოფილი მკვლელი, ყოფილი მანიაკი, ყოფილი სადისტი და ყოფილი თაღლითი ბუნებაში არ არსებობს! ჰოდა, დასკვნაც ეგაა — თქვენ, ვინც მანდ „ბიძია შალვას“ შტაბში იკრიბებით ხოლმე და ახლა უკვე „საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის“ შტაბში გადაბარგებას აპირებთ, მართლაც თაღლითები, მანიაკები და ერთი ბუნებისანი ხართ ყველა.

არ ვიცი, რად დაუჯდება ქვეყანას ეს „ექსპერიმენტი“, მაგრამ ამისთვის ბიძინა ივანიშვილს მართლაც ტაში უნდა დავუკრა. მან მართლაც შექმნა და ჩამოაყალიბა ისეთი სიტუაცია, რომელშიც ყველა ნაგავი თავისით ამოტივტივდა და გამოაშკარავდა. მიუხედავად იმისა, მავანი პროდასავლურობის ნიშნით ილეტდა ტანსაცმელს და იქაჩებოდა თუ პრორუსულობის პრაგმატულ ნიშაში ჩაჯდომას ცდილობდა — ყველა ჯურის უთავმოყვარეო და ერთი ადგილის მოთამაშე პოლიტიკური ლიდერები სწორედ ლეიბორისტების ოფისში მაგიდაზე „დევს“...

**გიგი უგულავას დაპატიმრების შემდეგ ე.წ. ქარვასლის ოპოზიციამ (როგორც ჩანს, ცხელ გულზე) საყოველთაო დაუმორჩილებლობა და მასობრივი საპროტესტო აქციები დააანონსა, მაგრამ „გაგრილებულებს“, ეტყობა, გაახსენდათ, რომ, მიუხედავად „გავრილოვის ღამისა“, მაჩალიკაშვილის „დილა მშვიდობისა“ და ა.შ., ხალხი მათ აქციებზე არ დადის და ეს სურათი არც ნიკა გვარამიასა და მამუკა ხაზარაძის გაძაგვრის შემთხვევაში შეიცვლებოდა.**



ავი მესაიდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს, არცა საიდუმლო?, რომელი არა საცნაურ იყოს და ცხადად მოვიდეს“.

*ლუკას სახარება, თავი 8, მუხლი 17.*

# არჩევნების წინ ქართველმა საზოგადოებამ იცის, ვინ არ უნდა, მაგრამ არ იცის, ვინ უნდა

**ჰოდა, როგორც ახლა გაირკვა, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს, ლონდონში არაოფიციალური ვიზიტით მყოფი ცოლ-ქმარი გორბაჩოვები განსაკუთრებული პატივით მიიღო მარგარეტ ტეტჩერმა, აშკარად ზედმეტი პომპეზურობით, იქიდან გამომდინარე, რომ იმჟამად მიხეილ გორბაჩოვი გახლდათ პოლიტბიუროს რიგითი წევრი, რომლის ერთადერთი უპირატესობა ბებრების წინაშე ახალგაზრდული ასაკი იყო...**

თუმცა, იმ სამარცხვინო პერიოდამდე, როდესაც თვეების ინტერვალით, კრემლის კედელთან ერთმანეთის მიყოლებით იჭრებოდა გენმდივნების ახალ-ახალი საფლავები, ჯერ კიდევ შორს იყო — აშშ-ბრიტანეთის სპეცსამსახურებმა, ზუსტად გააანალიზეს ყველაფერი და, როგორც ამბობენ, მიხეილ გორბაჩოვი სწორედ ბრიტანეთში ვიზიტისას გადაიბირეს და აგენტად ჩასვეს სსრკ-ის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში.

მიხეილ გორბაჩოვი, რომლის მიერ დაწყებულმა ე.წ. პერესტროიკამ, პირველ რიგში, საქართველო „დააბოლა“ და 1988 წლის 12 ნოემბერს საბჭოეთში პირველებმა დიდი საპროტესტო აქცია (თბილისის იპოდრომზე ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას თაოსნობით) ჩავატარეთ საქართველოს დამოუკიდებლობის რადიკალური მოთხოვნით, რასაც აღტყინებული საზოგადოება „გაუ-მარ-ჯოს“ „ჯოს-ჯოს“ სკანდირებით შეეგება.

რისთვის დამჭირდა წინამდებარე წერილის ეს არცთუ მცირე პროლოგი, მით უმეტეს, რომ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, თითქოს მთავარ სათქმელთან საერთო ნაკლები აქვს?

**საქართველოს სავალალო მდგომარეობა სწორედ იმ გეოპოლიტიკური ღალატის (თუ ასე თქმა შეიძლება) ბრალია, რომელსაც გავლენის აგენტების (გორბაჩოვი, ელცინი, შევარდნაძე, იაკოვლევი და ა.შ.) მიერ სსრკ-ის დაშლა ჰქვია და რომელსაც (არ მეშინია რუსოფობი ლიბერასტების) რუსეთის პრეზიდენტმა XX საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური ტრაგედია უწოდა.**

ზემოთ ხსენებულ იპოდრომის აქციის თარიღს მავანი და, არც თუ უსაფუძვლოდ, ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებასაც უწოდებს და თქვენი მონა-მორჩილი იმ დღიდან მოყოლებული, ხატოვნად თუ ვიტყვით, სულ ქუჩაში ვარ, სახლში არ შევსულვარ. როგორც ერთი რიგითი ჯარისკაცი, არც ერთ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან აქციასა თუ მიტინგს თითქმის არ დავკლებივარ. ბოლოს და ბოლოს, რა შეგვალონეს ამ „პოლიტიკოს-ექსპერტებმა“, თავს რომ გვამადლიან და ტელეეკრანებიდან და მენტორული ტონით გვესაუბრებიან?

არა მგონია, რომ სადმე არსებობდეს რაიმე ტიპის კოლეჯი თუ უნივერსიტეტი, რომლის დამთავრების შემდეგ დიპლომის გრაფაში „სპეციალობა“ ჩაწერენ პოლიტიკოსს ან ექსპერტს.

აბა, **რა არის საჭირო, რომ პოლიტიკოს-ექსპერტის სახელი დაიმკვიდრო და არა „დაგიმკვიდრონ“? — დიდი ცხოვრებისეული (63 წლის კაცს, მგონია, არ მაკლია) და პოლიტიკური გამოცდილება. რაც შეეხება მეორეს, აკი ზემოთ ვთქვი, 30 წელიწადია, ქუჩაში ვარ-მეთქი და ამიტომ, ალბათ, არც პოლიტიკურ გამოცდილებაში უნდა მოვიკოჭლებდე.**

**მესამე — განათლებული უნდა იყო.**

**და მეოთხე და, ალბათ, უმთავრესი — შუბლის ძარღვი არ უნდა გაიწყვიტო, „პატარა“ სინდის-ნამუსი უნდა გქონდეს...**

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მავანმა შეიძლება იფიქროს, რომ თქვენს მონა-მორჩილს პოლიტიკოსობაზე მაქვს პრეტენზია და ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის შემხედვარეს, რომელსაც მედია-კავშირ „ობიექტივის“ მთავარმა რედაქტორმა **ბონდო მძინარაშვილმა** ენამოსწრებულად უწოდა ქარვასლის ოპოზიცია. რატომაც არა, რო?!

უფრო ზუსტად, იმაზე მაქვს საფუძვლიანი პრეტენზია, ნაცების მხარდამჭერი მაუწყებლები ჩემისთანა ჟურნალისტებს რატომ არ იწვევენ პოლიტიკურ თოქ-შოუებში.

რატომ და იმიტომ, რომ ხმამაღლა ვიტყოდი: **გიორგი (ჟორიკა) რურუას** პოლიტპატიმრობა დაახლოებით იგივეა, რაც ამერიკელი განგსტერის — **ალ კაპონესი.** ალ კაპონეს ბევრი ადამიანი რომ ჰყავდა მოკლული, სრულიად ამერიკამ იცოდა, მაგრამ აშშ-ის სამართალდამცველებმა ვერც ერთი მკვლელობა ვერ დაუმტკიცეს და ციხეში მხოლოდ გადასახადების დამალვის გამო ჩასვეს. რა, **ალ კაპონეც პოლიტპატიმრად უნდა გამოეცხადებინათ?**

არ ვიცი, რა ჩაუდეს თუ არ ჩაუდეს „პოლიტპატიმარ“ ჟორიკას, მაგრამ **სანდო წყაროსგან ვიცი, ჯაბა იოსელიანის პროფესიონალმა ქილერმა, ამჟამად „პოლიტპატიმარმა“ გიორგი რურუამ ავტომატით როგორ ჩაცხრილა ვერაზე, ე.წ. სემიონოვკაზე, მანქანაში თორაძეების მთელი ოჯახი (2 ძმა, ერთ-ერთი ძმის ცოლ-შვილი), თუმცა რად უნდა ამას სანდო წყარო, ამ საშინელ მკვლელობაზე სრულიად თბილისი ლაპარაკობდა.**

**გიგი უგულავას** დაპატიმრების შემდეგ, ე.წ. ქარვასლის ოპოზიციამ (როგორც ჩანს, ცხელ გულზე) საყოველთაო დაუმორჩილებლობა და მასობრივი საპროტესტო აქციები დააანონსა, მაგრამ „გაგრილებულებს“, ეტყობა, გაახსენდათ, რომ, მიუხედავად „გავრილოვის ღამისა“, მაჩალიკაშვილის „დილა მშვიდობისა“ და ა.შ., ხალხი მათ აქციებზე არ დადის და ეს სურათი არც **ნიკა გვარამიასა** და **მამუკა ხაზარაძის** გაძაგვრის შემთხვევაში შეიცვლებოდა.



**«ქარვასლაში» გაერთიანებულ ოპოზიციაში ის ადამიანები შეგროვდნენ, რომლებიც სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა დოზით ქართველთა სისხლში ხელგასვრილ მიშა სააკაშვილთან ასოცირდებიან. ხოლო ის, რაც მმართველობის 9 წელიწადში სააკაშვილმა და მისმა «ნაციონალურმა მოძრაობამ» საქართველოს დაჰმართეს, ჰიტლერული გერმანიის ჯალათებსაც არ გაუვლიათ გონებაში**

რატომ? — იმიტომ რომ, როგორც ერთი ქართული ანდაზა ამბობს, ნაგუბარში წყალი დგებაო და „ქარვასლაში“ გაერთიანებულ ოპოზიციაში ის ადამიანები შეგროვდნენ, რომლებიც სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა დოზით ქართველთა სისხლში ხელგასვრილ მიშა სააკაშვილთან ასოცირდებიან. ხოლო ის, რაც მმართველობის 9 წელიწადში სააკაშვილმა და მისმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საქართველოს დამართეს, ჰიტლერული გერმანიის ჯალათებსაც არ გაუვლიათ გონებაში.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: **არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ქართველმა საზოგადოებამ იცის, რა არ უნდა: ეს არის ნათელაშვილის ქარვასლაში გაერთიანებული „ოპოზიცია“, რომელსაც ხმას არავინ მისცემს. არის იქ ვინმე ისეთი, რომელსაც ოდესმე რაღაც კარგი გაუკეთებია საქართველოსთვის?**

ამ კითხვაზე დადებითი პასუხი მე არ მაქვს და იქნებ თქვენ მიკარნახოთ, მკითხველო.

ეს ყველაფერი, მიუხედავად გარეგნული ბაქიბუქისა, მშვენივრად ესმის ანტიქრისტე **გიგა ბოკერიას**, რომელსაც ლომის წილი მიუძღვის დასავლეთიდან საპროტესტო წერილების ორგანიზებაში. წერილებისა, რომლებზეც ღირსეული პასუხის გაცემის მაგივრად, „ქართული ოცნება“ ლობისტურ კომპანიებს ქირაობს. არადა, ჩვენი „დასავლელი მეგობრების“ დემაგოგიურ წერილებზე ღირსეული პასუხის გაცემა ლობისტების გარეშეც შეუძლია — ის ტელესიუჟეტები, რომლებსაც შიდა მოხმარებისთვის ამზადებს ნახევრადსამთავრობო ტელეკომპანია „იმედი“, იმ მიზნით კეთდება, რომ საზოგადოებას არ დაავიწყდეს მიშნაცების მიერ ჩადენილი დანაშაულები. გვახსოვს, ბატონო, გვახსოვს და ტყუილად ნერვებს ნუ გვიშლით.

**ამ პოლიტიკურ ჩუკენობას სჯობს, აშშ-ევროპაში მიშნაცების პატრონებს იმ საშინელი კადრების საჯარო ჩვენება მოსთხოვოთ და მხოლოდ 2 გვამის შემდეგაც (აღარაფერს ვიტყვი სამეგრელოში ნაპოვნ კასრებზე) თუ გვიბრძანეს გიგა ბოკერიას შეყვარება, მაშინ ძია სემი რუსულ სამ ასოზე გაგზავნეთ — ასეთი კაცური ნაბიჯის შემთხვევაში ღმერთი არ გაგვწირავს, უფალი ჩვენთან არის და შიმშილით არ დავიხოცებით.**

**თქვენ კი რას აკეთებთ, ქოცებო?**

ციხის ჟარგონით, **„შნირი“ მოსამსახურეს, დამლაგებელს ნიშნავს და თავის მართლების რეჟიმში ამერიკაში ჩასულნი ვაზელინმომარჯვებულნი იმას ეფიცებით „ძია სემს“, რომ თქვენ, ქოცები, უფრო მაგარი შნირები იქნებით, ვიდრე ფაშისტი მიშნაცები?!**

არადა, ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს უპრეცედენტო ტრაგიკომედია.

საშინაო ფრონტზე ხელმოცარული ნაცები ქვეყნის გარედან ცდილობენ საქართველოში დესტაბილიზაციის მოწყობას — ამ უნიათო ქოცების ქმედება-უმოქმედობის წყალობით ქვეყანაში რევოლუციური ვითარების შექმნას. **ეგებ ამას ჰქვია ნაცების მიერ დაანონსებული მასობრივი დაუმორჩილებლობა, საპროტესტო აქციები, როდესაც მხარეძქცეული ტელევიზიები ყოველდღიურ რეჟიმში აწყობენ პოლიტიკურ თოქ-შოუებს, მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის მოწინააღმდეგე მომღერალ-არტისტების, „ჟურნალისტების“, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების, „ექსპერტებისა“ და ლიბერასტული იდეოლოგიის მომხრე ხალხის მონაწილეობით...**

ერთი სიტყვით, ერთობ პარადოქსული სიტუაციაა — **არჩევნების წინ ქართველმა საზოგადოებამ იცის, ვინ არ უნდა, მაგრამ არ იცის, ვინ უნდა!**

არჩევნებზე გამოჩნდება, რა უფრო მნიშვნელოვანი იქნება — ცოდნა თუ არცოდნა.

**დავით მხეიძე**

**P.S. ამასობაში ჩვენს მეზობელ და „ისტორიულად მტერ“ რუსეთში მიმდინარეობს საკონსტიტუციო ცვლილებების რთული პროცესი, რომელსაც არა მხოლოდ რუსეთში, არამედ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებშიც ყურადღებით აკვირდებიან, რადგან ჩვენგან განსხვავებით (ჩვენ მაგივრად ჩვენზე ხომ აშშ ფიქრობს და „ზრუნავს“), კარგად აცნობიერებენ, რომ რუსეთის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა, მხოლოდ რუსეთის საშინაო საქმეა და ასეც არის, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ ცვლილებებმა შეიძლება სხვა ქვეყნების დღის წესრიგზეც იმოქმედოს და, რაც უკვე შეცვალეს, უკვე იქონია გავლენა — რუსეთის დუმამ კონსტიტუციურ ნორმად აქცია ის, რომ საერთაშორისო კანონებზე უპირატესი რუსეთის კონსტიტუციაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან რუსეთს შეუძლია, უკაცრავად და, ფეხებზე დაიკიდოს სტრასბურგისა და ჰააგის სასამართლოების ვერდიქტები.**

**როგორც ცნობილია, რუსეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომელშიც კანონის ნორმა კრძალავს არასრულწლოვანებში გეიპროპაგანდას, რაც ავტომატურად ნიშნავს გეიაღლუმების ჩატარების შეუძლებლობას.**

**ამ კონტექსში დასმულ კითხვაზე — დასავლეთის ბევრ ქვეყანაში „დედის“ და „მამის“ ნაცვლად საბუთებში „მშობელი № 1“ -ისა და „მშობელი № 2“-ის ჩაწერა ჩვეულებრივი ამბავია და ჩვენთანაც ასე ხომ არ იქნებაო? — რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ჩვეულ სტილში მოკლედ და კატეგორიულად უპასუხა: „სანამ მე ვარ პრეზიდენტი, რუსეთში მხოლოდ „დედა“ და „მამა“ იქნება!“ ამ პასუხმა ააფორიაქა ლიბრასტული ქვეყნები, მაგრამ ეს სხვა თემაა და ამაზე — სხვა დროს.**

მანამდე კი — **„ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულში!“**

თვალსაწიერი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„თუ ამ ქვეყნის სათავეში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ დანაშაულების ჩამდენ ბანდას „ნაცმოძრაობის“ სახით მის განაყოფებსა და შენაერთებთან ერთად, დაბრუნება უწერია, მაშინ ჩვენ, ქართველი ხალხი, უფლებამოსილნი ვიქნებით, წამოვიწყოთ საყოველთაო სახალხო აჯანყება, ოღონდ აჯანყება არა მხოლოდ ამ ბნელი ძალების, მათი შემფარებელი და შემწყნარებელი ხელისუფლების წინააღმდეგაც“.



**დიმიტრი ლორთქიფანიძე:**

# მოსახლეობის 60-70 პროცენტი რომ აფეთქდება და ქუჩაში გამოვა, რევოლუციას მაშინ ნახავენ

**რუსეთის ფედერაციის საბჭოს წევრ გრიგორი კარასინის ამას წინანდელ განცხადებას ევროსაბჭოს მინისტერიალის ფარგლებში თბილისში რუსეთის დელეგაციის შესაძლო ვიზიტზე ქართული პოლიტიკური სპექტრის მწვავე რეაქცია მოჰყვა. შეშფოთებულმა და განრისხებულ-გაღიზიანებულმა (22-პარტიანმა) ოპოზიციამ (როგორც ხელისუფლების წინააღმდეგ გაერთიანებულმა „მტკიცე პოლიტიკურმა მონოლითმა“) ამჯერადაც სრული ერთსულოვნება გამოავლინა.**

## «თუ საერთაშორისო სამართლის წინააღმდეგ დანაშაულების ჩამდენ «ნაცმოძრაობას» დაბრუნება უწერია, უფლებამოსილნი ვიქნებით, წამოვიწყოთ სახალხო აჯანყება»

კერძოდ, ბევრი ითქვა და დაიწერა, რომ თურმე ლავროვის საქართველოში ჩამოსვლა (ან ნებისმიერი სხვა რუსი დიპლომატის, რომელსაც ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონი აქვს დარღვეული) ქვეყნის კონსტიტუციის ხელყოფა იქნება. მეტიც, იყო მინიშნება იმის თაობაზეც, რომ ეს, დიდი ალბათობით, სერიოზულ საზოგადოებრივ მღელვარებას გამოიწვევს, რაც შესაძლოა, უმართავ პროცესებში გადაიზარდოს და საბოლოოდ ქვეყნისთვის უდიდესი ზიანის მომტანი აღმოჩნდეს. იყვნენ ისეთებიც, რომელთა რეაქციაც ჩვეულებრივ „ურალიბერალურ“ შეშფოთებას გასცდა და რომლებიც „ოცნების“ მისამართით პირდაპირ, დაუფარავ მუქარაზე გადავიდნენ. მაგალითად, დეპუტატმა **რომან გოცირიძემ** განაცხადა, რომ, თუ თბილისში ლავროვი ჩამოვა, ივანიშვილს და მთლიანად მთავრობას ლავროვის თვითმფრინავით მოუწევთ გაქცევა. მერე და მერე ამ ანტირუსულ ისტერიკაში ნაცებისა თუ ევრონაცების პარტიული აქტივიც ჩაერთო. სოციალური ქსელები მუქარამ და „დაპირებებმა“ მოიცვა, რომ, თუ ეს ვიზიტი შედგება და ხელისუფლება ამას დაუშვებს, „გავრილოვის ღამე“ მონაგონი იქნება...

**რატომ არის დღეს ოპოზიციური სპექტრისთვის, განსაკუთრებით — დასავლეთიდან მართული პოლიტიკური ძალებისთვის, რუსეთთან დიალოგის გამართვის ნებისმიერი მცდელობა მიუღებელი; რა აინტერესებთ მათ რეალურად და რა შეიძლება მოჰყვეს საქართველოში ლავროვის ვიზიტს — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე.**

**— ბატონო დიმიტრი, „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები უკვე დაუფარავად იმუქრებიან, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში რუსეთის დელეგაცია ჩამოვა, ხელისუფლება რევოლუციას მიიღებს. რატომ არის ამ ადამიანებისთვის ასე გამაღიზიანებელი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ნებისმიერი ნაბიჯი და რა საფრთხეები შეიძლება მათ შექმნან? ერთხელ უკვე ვიხილეთ პროვოკაცია სახელწოდებით „გავრილოვის ღამე“.**

— უწინარესად, მინდა, ყურადღება გავამახვილო ხელისუფლების არასწორ და შეუსაბამო მიდგომაზე საკითხისადმი, რომელიც, ჩემი აზრით, უმნიშვნელოვანესია ამ ვითომ ოპოზიციის მიერ ატეხილ ანტისახელმწიფოებრივ ისტერიკაში. გამომდინარე იქიდან, რომ მმართველი გუნდი, პრაქტიკულად, არაფერს აკეთებს საზოგადოების ინფორმირებისთვის საერთაშორისო პოლიტიკური ინსტიტუტების გავლენის მნიშვნელობაზე, მაგალითად, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტზე და ა.შ., **ისეთი დესტრუქციული ძალები, როგორებიც არიან ნაცები და ევრონაცები, აქტიურად განაგრძობენ მოსახლეობის დეზინფორმირებას. განსაკუთრებით ეს ეხება რეგიონების მოსახლეობას და, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის ის, რომ ყოველთვის, როცა ეს ძალები საუბრობენ რაღაც პოლიტიკურ აქტივობაზე, მაგალითად, საპროტესტო გამოსვლების ორგანიზებაზე, აქცენტს აკეთებენ სწორედ ცენტრიდან შორს მყოფ ადამიანებზე — საზოგადოების იმ სეგმენტზე, რომელსაც ამ პროცესებზე ობიექტური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ნაკლები აქვს.** რაც შეეხება მუქარას, რომ, თუ ლავროვი ჩამოვა, ეს იქნება საქართველოს შეურაცხყოფა, რასაც, თურმე, ხალხი არ მოითმენს, მინდა, საზოგადოებას შევახსენო ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც არ გახმაურებულა. 2016 წელს, როდესაც საქართველოს ეუთოს საპარლამენტთაშორისო ასამბლეის ფარგლებში რუსული დელეგაცია ეწვია, მას ხელმძღვანელობდა **ლეონიდ სლუცკი. სლუცკის, ისევე, როგორც იმ რუს დეპუტატებს, რომელთა შემოსვლის შემთხვევაში ზოგიერთები დღეს კბილებს ილესავენ, დარღვეული ჰქონდა საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, მაგრამ არც ნაცებსა და არც სხვა პოლიტიკურ სუბიექტებს მაშინ ამაზე ხმა არ ამოუღიათ. იცით, რატომ?**

**— რატომ?**

— იმიტომ რომ იმ წელს **გიგი წერეთელი** უნდა აერჩიათ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტად... ახლა გავიხსენოთ კიდევ უფრო შორეული წარსული: 2008 წლის 20 იანვარს თბილისში, რუსთაველის გამზირზე, **მიხეილ სააკაშვილის** ინაუგურაციას ესწრებოდა **სერგეი ლავროვი**, რომელიც გამომდინარე იქიდან, რომ თბილისში დაიბადა და ამ ქალაქთან წარსული აკავშირებს, ინაუგურაციის შემდეგ გაასეირნეს ძველი თბილისის უბნებში. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ 2003 წელს, იმ ავადსახსენებელი „ვარდების რევოლუციის“ პერიოდში, მთავარი შუამავალი და მომრიგებელი სააკაშვილისა **შევარდნაძესთან** იყო **ივანოვი...**

**— ეს ყველაფერი რაზე მეტყველებს?**

— ერთადერთ რამეზე და, მგონი, ამას საზოგადოება კარგად ხვდება — არანაირი ოკუპაცია, არანაირი ტერიტორიული პრობლემები ნაცებისთვის და ევრონაცებისთვის არ არის რუსეთთან დიალოგის მიუღებლობის მიზეზი. მათ თავიანთი, ვიწრო პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე თუ დასჭირდებათ, ნებისმიერს დაელაპარაკებიან. რაც შეეხება, კონკრეტულად, მაისში დაგეგმილ მინისტერიალს, ვფიქრობ, რომ **დღეს, როდესაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის კონცეფცია პირდაპირ გადის ქართულ-რუსული მოლაპარაკებების შესაძლებლობებზე, ეს მინისტერიალი მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული კრემლთან პირდაპირი დიალოგისთვის გარკვეული წინაპირობების შესაქმნელად.**

**— ოპოზიცია იმუქრება, რომ „გავრილოვის ღამე“ მონაგონი იქნება, თუ რუსულ დელეგაციას შემოუშვებენ.**

— პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ, **თუ ესენი კიდევ რაღაც ბინძური პროვოკაციებით შეეცდებიან, ქვეყანას ამ მინისტერიალის ჩატარების შესაძლებლობა დააკარგვინონ, პირადად ჩავუდგები სათავეში კონტრაქციას მათ წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ.**

მინდა, ხაზი გავუსვა კიდევ ერთ რამეს: დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ქვეყანაში რევოლუციური ატმოსფეროა და ეს ვითომ 22 პარტიისგან შემდგარი ოპოზიცია რაღაცას მოაწყობს. ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: **თუ ამ ქვეყნის სათავეში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ დანაშაულების ჩამდენ ბანდას „ნაცმოძრაობის“ სახით მის განაყოფებსა და შენაერთებთან ერთად, დაბრუნება უწერია, მაშინ ჩვენ, ქართველი ხალხი, უფლებამოსილნი ვიქნებით, წამოვიწყოთ საყოველთაო სახალხო აჯანყება. ოღონდ აჯანყება არა მხოლოდ ამ ბნელი ძალების, მათი შემფარებელი და შემწყნარებელი ხელისუფლების წინააღმდეგაც...**

**— ხედავთ დღეს იმის საფრთხეს, რომ ეს ძალები დაბრუნდებიან ქვეყნის სათავეში?**

— სამწუხაროდ, ვხედავ და ამაზე სულ უფრო მეტი გარემოება მეტყველებს. აგერ, მაგალითად, ბატონმა **ირაკლი კობახიძემ** განაცხადა: დასავლეთი გვაიძულებს, ხელით ვათრიოთ ოპოზიციაო. ეს რას ნიშნავს? ეს ნიშნავს, რომ **ხელისუფლებას, პრაქტიკულად, თავს ახვევენ ახალ კოაბიტაციას. თუ, თავის მხრივ, „ქართული ოცნებაც“ მზად არის, ეს ტვირთი აწიოს ქართველი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ, როგორც ეს უკვე ერთხელ გააკეთა, მაშინ ხალხი ამას აღარ მოითმენს.** თუ ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება გახდება უკიდურესად საშიში და საშიშში მე ვგულისხმობ „ნაცმოძრაობის“ მობრუნების საფრთხეს, საქართველოს კონსტიტუციის მეხუთე მუხლის თანახმად, ხალხს უფლება აქვს, მიმართოს საკუთარი ნების გამოვლინების სამართლებრივ ფორმას — აჯანყებას. ამას ვამბობ სრული პასუხისმგებლობით და, რაც არ გამიკეთებია ცხოვრებაში, იმას გავაკეთებ — ჩავუდგები აჯანყებას სათავეში...

**«თუ ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება გახდება უკიდურესად საშიში და საშიშში მე ვგულისხმობ «ნაცმოძრაობის» მობრუნების საფრთხეს, საქართველოს კონსტიტუციის მეხუთე მუხლის თანახმად, ხალხს უფლება აქვს, მიმართოს საკუთარი ნების გამოვლინების სამართლებრივ ფორმას — აჯანყებას. ამას ვამბობ სრული პასუხისმგებლობით და, რაც არ გამიკეთებია ცხოვრებაში, იმას გავაკეთებ — ჩავუდგები აჯანყებას სათავეში»**

**— მაგრამ დღეს საზოგადოება საკმაოდ ინერტულია. რატომ?**

— საზოგადოების ინერტულობა არ ნიშნავს, რომ ხალხს ქვეყანა ფეხებზე ჰკიდია, საზოგადოება, უბრალოდ, უნდობლად არის განწყობილი ყველას მიმართ, მაგრამ ამ ინერტულობის მიღმა ნამდვილად არის უზარმაზარი პროტესტი, რომელიც, ადრე თუ გვიან, აუცილებლად ამოხეთქავს. თუ საზღვარგარეთ გაქცეული მიხეილ სააკაშვილი, თავის კრიმინალურ გარემოცვასთან ერთად, **ბოკერიების, ადეიშვილების, რამიშვილების, ახალაიებისა** და სისხლის სამართლის დამნაშავეებთან ერთად, შეეცდება, ისტორიის ჩარხი უკან დააბრუნოს, მაშინ ქართველი ხალხი ამ ისტორიის ჩარხს წალმა დაატრიალებს. აი, ეს იქნება ნამდვილი რევოლუცია და არა ის, რაც 22 პარტიისგან შემდგარმა ვითომ ოპოზიციამ დააანონსა. მათ რევოლუციის მოწყობა რომ შეეძლოთ, აქამდე ცხრაჯერ გადაატრიალებდნენ ქვეყანას, მაგრამ, ხომ ხედავთ, 50 კაცზე მეტი ვერ გამოჰყავთ.

**— რეალური პრობლემა მათთვის ის არის, რომ ხალხის გამოყვანას ვერ ახერხებენ?**

— რა თქმა უნდა. საერთოდ, ნებისმიერ რევოლუციურ სცენარში მთავარი აქტორი ხალხია. რაც შეეხება ფინანსებს, **უკრაინაში, მაგალითად, 5 მილიარდი დოლარი დაუჯდათ ევრომაიდანი, მაგრამ იქ საზოგადოებაც შესაბამისად იყო დამუშავებული. საქართველოში ჯერჯერობით ამხელა თანხას არავინ დებს, იმიტომ, რომ ჩვენ ეს კინო უკვე ვნახეთ და იციან, მსგავს პოლიტიკურ პროცესებზე იმუნიტეტი გვაქვს...**

**— დავუბრუნდეთ ისევ ევროსაბჭოს მინისტერიალს. ვთქვათ, ჩამოვიდა რუსული დელეგაცია და ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა, რა შესაძლებლობებს ქმნის ჩვენთვის ეს ყველაფერი?**

— შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ერთი და ორი შეხვედრით რამე მნიშვნელოვანი გარღვევა მოხდება ურთიერთობაში, მაგრამ მთავარი აქ სხვა რამეა. მთავარია პოლიტიკური მიდგომა და პრინციპები — პრობლემა სადაც არის, ზუსტად იქ ეძებო გამოსავალი. სხვა დანარჩენი უკვე პროცესია და ამ პროცესში გაჩნდება პერსპექტივა. ისე, სიმართლე გითხრათ, იმედი არ მაქვს და ამას ნამდვილად არ ვამბობ ნიშნის მოგებით, რომ ამ ხელისუფლების პირობებში საკითხისადმი მსგავსი მიდგომები იქნება. დღევანდელ ხელისუფლებაში სჭარბობენ ძალები, რომლებსაც ნაცები და ევრონაცები კარნახობენ დღის წესრიგს. რაც შეეხება რევოლუციას, რომელზეც ძალიან ბევრი კბილებს ილესავს, **ინერტული მოსახლეობის 60-70% რომ აფეთქდება და ქუჩაში გამოვა, რევოლუციას მაშინ ნახავენ; მაშინ ნახავენ, როგორ წალეკავს საერთო სახალხო მღელვარება და ნამდვილი ადამიანური რისხვა ამ ბოროტ ძალებს. სხვა ვერაფერი და ვერანაირი პროცესი მათ ვერ შეაჩერებს. მათ ზუსტად ხალხის განაჩენი და საყოველთაო სახალხო მღელვარების შედეგად მოწყობილი პოლიტიკური ლინჩის წესი სჭირდებათ...**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**გახარიას არწმუნებდნენ, რომ რუსეთის პირველ პირს მის გარდა კიდევ არაერთი ლიდერი გააკრიტიკებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. უფრო პირიქით საბოლოოდ გამოვიდა ისე, რომ დავოსის ფორუმზე ვლადიმერ პუტინი მხოლოდ გიორგი გახარიამ გააკრიტიკა, დანარჩენებმა კი თავისი ქვეყნის სასიკეთო საქმე მშვიდად გააკეთეს, რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობები და სამომავლო პერსპექტივები დაალაგეს და დაიშალნენ.**

საგარეო ვექტორი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენელს პერიოდულად უჩნდება ხოლმე შანსი, რუსეთის პირველ პირს თუ არა, ისეთ მინისტრს შეხვდეს, რომელიც რუსეთის პრეზიდენტის უახლოეს გარემოცვასთან ასოცირდება. თუ ვინმეს დასახელება შეიძლება, ერთ-ერთი პირველი სერგეი ლავროვია. 24 თებერვალს 16 წელი ხდება მას შემდეგ, რაც ლავროვმა რუსეთის საგარეო უწყება ჩაიბარა და, როგორც ამბობენ, ორიოდე წლის წინათ პენსიაზე გასვლაც ითხოვა, მაგრამ არ გაუშვეს. ანუ, თანამდებობიდან არ გაუშვეს კაცი, რომელიც 21 მარტს 70 წლის ხდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ის პუტინის განუსაზღვრელი ნდობით სარგებლობს.**

# რატომ ეშინია დასავლეთს მოლაპარაკებების მაგიდასთან საქართველოსა და რუსეთის შუამავლების გარეშე დასხდომის

## გახარია მიხვდა დავოსში დაშვებულ შეცდომას და მიუნხენში მხოლოდ ის განცხადებები გააკეთა, რომლებიც საქმეს ეხებოდა და არა ვინმეს კრიტიკას

ჰოდა, სწორედ ლავროვთან შეხვედრის შესაძლებლობა დაანონსდა გასულ კვირას და გაჩნდა შანსი, რომ მას და **გიორგი გახარიას** მიუნხენში გამოენახათ დრო, ერთ მაგიდასთან დამსხდარიყვნენ და ორი ქვეყნის ურთიერთობაზე ემსჯელათ. მანამდე იყო დავოსის ფორუმი, მაგრამ მაშინ საქართველოს პრემიერი აიძულეს, რუსეთის პირველი პირი მაღალი ტრიბუნიდან ელანძღა. შედეგად, შესაძლებლობები განულდა და ძალიან საეჭვოა, პუტინმა პირდაპირი დიალოგი ისურვოს. ჯერ მინისტრების დონეზე მოსინჯავს ნიადაგს და შემდეგ უკვე საჭიროების მიხედვით გადაწყვეტს, შეხვდეს თუ არა საქართველოს პირველ პირს...

**გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ გახარია დავოსში დაშვებულ შეცდომას მიხვდა, მიხვდა მას შემდეგ, რაც იმ ამერიკელი თუ ევროპელი მეგობრების ზეწოლით, რომელთა მითითებით აღნიშნული განცხადება გააკეთა და ჩრდილოელი მეზობელი გააკრიტიკა, ვერ მიიღო ვერაფერი. გახარიას არწმუნებდნენ, რომ რუსეთის პირველ პირს მის გარდა კიდევ არაერთი ლიდერი გააკრიტიკებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. უფრო პირიქით** — საბოლოოდ გამოვიდა ისე, რომ დავოსის ფორუმზე ვლადიმერ პუტინი მხოლოდ გიორგი გახარიამ გააკრიტიკა, დანარჩენებმა კი თავისი ქვეყნის სასიკეთო საქმე მშვიდად გააკეთეს, რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობები და სამომავლო პერსპექტივები დაალაგეს და დაიშალნენ.

ჰო, ყველაზე მთავარი ის არის, რომ **რუსეთი მსოფლიოში ხორბლის ერთ-ერთი უმსხვილესი მიმწოდებელია და 2017-ში რეკორდული მოსავალი ჰქონდა და შარშანაც იმ ნიშნულს მიუახლოვდა, წლევანდელი მოსავალი კი უპრეცედენტო იქნება. ხორბალი ყველა ქვეყანას სჭირდება და საყოველთაო დეფიციტის ფონზე რუსეთთან მეგობრობა ყველას სურს. ისიც გავიხსენოთ, რომ საქართველოში პურისა და ხორბლის სხვა პროდუქტების საწარმოებლად საჭირო ხორბლის 90% რუსეთიდან შემოდის და მიხვდებით, რა შარში გახვიეს გახარია, გახარიამ კი — მთელი ქვეყანა რუსეთის კრიტიკით.**

სხვათა შორის, როცა შეხვედრის შესაძლებლობაზე მიდიოდა საუბარი, ქართულმა ოპოზიციამ მაშინვე გააკეთა განცხადებები, რომ გახარიას მოხსნა იგეგმებოდა. საინტერესო ის არის, რომ მმართველი გუნდის ლიდერები ცალყბად უარყოფდნენ ამ განცხადებებს, ანუ არ იცოდნენ, რა ეთქვათ და კბილებით არ იცავდნენ პრემიერს. ეს იმაზე მიანიშნებდა, რომ მმართველ გუნდში არსებობდა შიში, რომ შესაძლებელი იყო პრემიერს დამოუკიდებლად მიეღო შეხვედრის გადაწყვეტილება. აი, როგორც კი ფორუმი დასრულდა, ოპოზიციაც და ხელისუფლებაც გაჩუმდნენ და ამ თემას აღარ დაბრუნებიან.

ახლა კი **მიუნხენში მიმდინარე ფორუმზე გაჩნდა ლავროვთან შეხვედრის შესაძლებლობა და ისევ აგორდა ტალღა. ოპოზიცია გაიძახის: გახარია, როგორც პოლიტიკოსი, მოკვდა, რადგან, როცა შს მინისტრი იყო, კრეატივით გამოირჩეოდა, იქ ხალხს თვალს უკრავდა, იქ მიტინგზე მიდიოდა, ახლა კი იმალება, რადგან არ იცის, რა გააკეთოს და ამიტომ მოხსნიანო. ხომ კარგი ლოგიკაა: კაცი თვალს რომ უკრავდა ვიღაცას, თურმე დიდი პოლიტიკოსი ყოფილა და ახლა, როცა ამას აღარ აკეთებს, პოლიტიკიდან უნდა წავიდეს. თვალის პაჭუნზე აწყობილი პოლიტიკური კარიერა მხოლოდ საქართველოში შეიძლება იყოს.**

როგორც ჩანს, გახარია მიხვდა დავოსში დაშვებულ შეცდომას და მიუნხენში მხოლოდ ის განცხადებები გააკეთა, რომლებიც საქმეს ეხებოდა და არა ვინმეს კრიტიკას. ეს ნიშანი იყო ოპოზიციისთვის და მათ კვლავ დაიწყეს პრემიერის კრიტიკა, — აქაოდა, მაღალ ტრიბუნას არ იყენებს და რუსეთს არ ლანძღავსო. ამით კიდევ ერთხელ ნათლად დასტურდება ის, რომ ოპოზიციური სპექტრის დიდი ნაწილი დასავლეთიდან იმართება. სწორედ იმართება, რადგან გამორიცხულია, ასეთი აზრები თვითონ მოსდიოდეთ თავში, თვითონ სურდეთ ქვეყნის მტრობა და უკიდეგანო იდიოტიზმში იყვნენ გადავარდნილი. ჰო, კოსმოსსაც აქვს საზღვრები, იდიოტიზმი კი უსაზღვროა და აგერ, **30 წელია, ვუყურებთ, როგორ შეიძლება ადამიანების გარკვეულმა ჯგუფმა საკუთარ ქვეყანას უმტროს და თანაც ისე, რომ ამ ყველაფრით კმაყოფილი იყოს.**

ოპოზიცია იმასაც ამბობს, ხელისუფლება რუსეთს ემონებაო. მართალი გითხრათ, ამ დამონების ნიშნებს ვერ ვხედავ. **მონობა არის ის, რასაც ამერიკელების მიმართ ვაკეთებთ და, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ამერიკელი კონგრესმენები ქართველ პოლიტიკოსებს აბულინგებენ.** ბულინგია ის, რასაც კონგრესმენები თავიანთ წერილებში გამოხატავენ; ბულინგია ისიც, როცა ოკეანისგაღმიდან პარლამენტის თავმჯდომარეს ახსნა-განმარტებებისთვის იბარებ და რანგით შენზე მაღლა მდგომს მხოლოდ იმიტომ აყენებ კუთხეში, რომ ზესახელმწიფოს წარმომადგენელი გქვია და არა დამონებული საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს სპიკერი.




**მაისში საქართველოში სერგეი ლავროვის შესაძლო ჩამოსვლაზე ისტერიკაა ატეხილი. როგორც გვეუბნებიან, თუ ლავროვი საქართველოში ჩამოვა, ეს მონობის ოფიციალური აღიარება იქნება. რეალურად კი, თუ ერთი კაცის ჩამოსვლით საქართველოს მონობას ვაღიარებთ, მაშინ ღირსები ვყოფილვართ ამ მონობის. ნებისმიერი ადამიანის ვიზიტი, ვინც უნდა იყოს ის, მთელი ქვეყნის მონობას უდრის?! ჯორჯ ბუში რომ იყო ჩამოსული და სრულიად საქართველო ლამის მის გასართობ პოლიგონად იქცა, ეს არ იყო მონობა?**

**მაისში საქართველოში სერგეი ლავროვის შესაძლო ჩამოსვლაზე ისტერიკაა ატეხილი. როგორც გვეუბნებიან, თუ ლავროვი საქართველოში ჩამოვა, ეს მონობის ოფიციალური აღიარება იქნება. რეალურად კი, თუ ერთი კაცის ჩამოსვლით საქართველოს მონობას ვაღიარებთ, მაშინ ღირსები ვყოფილვართ ამ მონობის. ნებისმიერი ადამიანის ვიზიტი, ვინც უნდა იყოს ის, მთელი ქვეყნის მონობას უდრის?! ჯორჯ ბუში რომ იყო ჩამოსული და სრულიად საქართველო ლამის მის გასართობ პოლიგონად იქცა, ეს არ იყო მონობა?**

**მაკეინი რომ ჩამოდიოდა და პრეზიდენტით დაწყებული, რიგითი სახელმწიფო მოხელით დამთავრებული — ყველა იმაზე რომ ფიქრობდა, როგორ ესიამოვნებინა მისთვის, ეს მონობა არ იყო?** სხვა ქვეყანაში მიმავალი მაკეინი, საქართველოში ერთი დღით გასართობად რომ შემოივლიდა ხოლმე, არ იყო ეს მონობა? არა, ამ ყველაფერს პარტნიორობად ვფუთავდით და დღემდე ვფუთავთ, გამოცხადებულ მონობას ვეძახით პარტნიორობას, უფრო ზუსტად, სტრატეგიულ პარტნიორობას და აბა, სტრატეგია? სად არის? ვინმე ხედავს სტრატეგიას და ამერიკელთან მეგობრობის პოზიტიურ მნიშვნელობას? **გნებავთ, ხელისუფლებამ და გნებავთ, ოპოზიციამ გაგვახსენოს ერთი ფაქტი თუნდაც, როცა ამერიკამ საქართველოს, ბრტყელ-ბრტყელი განცხადებების გარდა, რამე არგო. ამერიკის ბაზარზე შეგვიშვეს? — არა! ამერიკაში წასვლა და იქ დასაქმება გაიოლდა? — არა! ამერიკული დახმარებებით მოსახლეობამ რამე იგრძნო? — არა! და სად არის, აბა, ამერიკელების ძლიერი მარჯვენა და დახმარების ხელი?! — არსად ბატონებო, არსად! და ეს იმის ფონზე, როცა რუსულ ბაზარზეა დამოკიდებული საქართველოს ეკონომიკა, რუსულ ბაზარზე ვყიდით ნებისმიერი პროდუქციის 70%-ზე მეტს, რუსეთიდან ვიღებთ ელექტროენერგიასა და სასიცოცხლოდ აუცილებელ პროდუქტებს, იქიდან შემოდის ნაღდი ვალუტის ნახევარზე მეტი და ამ დროს რუსეთი მტერია, ხელისუფლება — რუსეთის მონა და ამერიკა კი — ჩვენი მეგობარი და პარტნიორი.** ჩვენი და ამერიკის ურთიერთობა, პარტნიორობას კი არა, ბატონ-ყმობას ჰგავს, თუმცა რაღა ჰგავს, ჰგავს კი არა, არის. მწარე სიმართლეა ეს, ის სიმართლე, რომელსაც მოახლეობა თვალნათლივ ხედავს; დიდი ალბათობით, პოლიტიკოსებიც ხედავენ, მაგრამ არ აღიარებენ, რადგან ასეთ შემთხვევაში, დიდი ალბათობით, ქვეყანას შეიძლება ეშველოს და... **მათ მოუწევთ პოლიტიკიდან წასვლა. ეს კი დამღუპველი იქნება, რადგან მთელი ცხოვრება არაფერი უკეთებიათ, არ იციან, ტყუილისა და დაპირებების გარდა, რით იშოვონ სარჩო და შიმშილისთვის იქნებიან განწირულნი. პრინციპში, რაღა შიმშილისთვის, ყველა მათგანი ოფიციალური მილიონერია და სწორედ ამ მილიონების სადარაჯოზე დგანან, თორემ საქართველოს ბედი არც ადრე აინტერესებდათ, არც ახლა აინტერესებთ და მომავალშიც მხოლოდ საკუთარ თავს ხედავენ „ქვეყნის გადამრჩენელის" როლში, თორემ, სხვა რომ გამოჩნდეს, სვავებივით წაესევიან და არ გაახარებენ.**

ვერ გეტყვით, ჩამოვა თუ არა მაისში სერგეი ლავროვი თბილისში, მაგრამ, ძალიან დიდი ალბათობით, თუ ეს მოხდება, ყველა სამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც დასავლეთის ფულით იკვებებიან, თავს წამოყოფენ და რუსეთის ლანძღვაში ერთმანეთს შეეცილებიან. არადა, ძალიან საინტერესო იქნებოდა, ერთხელ, ერთადერთხელ ქართული და რუსული მხარეები მოლაპარაკებების მაგიდასთან შუამავლების გარეშე დამსხდარიყვნენ. ხომ საინტერესოა, რას იტყოდნენ, რაზე შეთანხმდებოდნენ... ფაქტია, ამ შეხვედრისა და შეთანხმების ყველაზე მეტად დასავლეთს ეშინია.

**ბესო ბარბაქაძე**

ინტერვიუ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მათ ქვეყნებში ვინმემ 48 ცენტი რომ მოიპაროს ბიუჯეტიდან, სამარეში ჩაჰყვებიან, კაცმა 48 მილიონი გაფლანგა, პასუხი არ უნდა მოვთხოვოთ?! ორი გვამი მჭირდება, პრემია დიდი იქნებაო, — რომ გაჰყვიროდა მინისტრი, ეს მაინც არ არის დასამტკიცებელი, კადრები არსებობს, არ უნდა დაეკავებინათ?“**

**10 თებერვალს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ თბილისის ყოფილი მერისა და პარტია „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის, გიგი უგულავას, ციხეში შებრუნებამ, რომელსაც მართლმსაჯულება დიდი ოდენობით სახელმწიფო თანხების გაფლანგვას ედავება (საუბარია 48 მილიონ ლარზე), „დემოკრატიული დასავლეთი“ კიდევ ერთხელ „შეძრა და შეაშფოთა“. დაწყებული ევროპარლამენტარებით, დამთავრებული საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციებით — ყველა მწვავე განცხადებებს განცხადებებზე აკეთებდა, ხოლო გაერთიანებულ ოპოზიციაში ისტერიკა მძვინვარებდა.**



# ნანა კაკაბაძე: 48 მილიონის გაფლანგვისთვის ნორმალურ ქვეყანაში სამ წელს გაკმარებენ?

## «ნაციონალური მოძრაობა» რომ არ იყოს, არ იქნებოდა «ქართული ოცნება» ხელისუფლებაში და, «ქართული ოცნება» რომ არ იყოს ხელისუფლებაში, «ნაციონალური მოძრაობის» წევრები დიდი ხნის ნასულები იქნებოდნენ ციხეში»

ამ ალიაქოთის ფონზე, რაც, ბუნებრივია, „ოცნებისთვის“ იოლად გადასატანი არ იყო, განსაკუთრებით ოკეანის გაღმიდან აქტიურობდნენ კონგრესმენები. მათი მოთხოვნები თუ მოწოდებები ისევ ერთი გზავნილის გარშემო ერთიანდებოდა — შეწყდეს პოლიტიკური დევნა. მოკლედ, „დემოკრატიის ხელყოფითა და პოლიტიკურად მოტივირებული განაჩენის“ გამოტანით „შეძრულმა პარტნიორებმა“ მმართველი გუნდი კიდევ ერთხელ მკაცრად გააფრთხილეს... კრიტიკისა და პოლიტიკური აგრესიის ფონზე „ოცნება“ მაშინვე თავის მართლების რეჟიმში ჩადგა. მარტივად რომ ვთქვათ, ხელისუფლებას დასამტკიცებელი შეექნა (და, ალბათ, კიდევ დიდხანს მოუწევს ნაცებისა თუ ევრონაცების ლობისტებისთვის ამის უშედეგოდ მტკიცება), რომ უგულავა არა პოლიტპატიმარი, არამედ სისხლის სამართლის დამნაშავეა, რომელმაც სახელმწიფოს 48 მილიონი მოჰპარა.

**რატომ იყო დღევანდელ ვითარებაში უგულავას დაკავება დასავლეთისთვის ასეთი შემაშფოთებელი და რა პოლიტიკური გზავნილია ეს ქვეყნისთვის? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება დამფუძნებელი ორგანიზაციისა „არა ნაციზმს“, ადვოკატი და უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე.**

**— ქალბატონო ნანა, უგულავას დაკავებამ „დემოკრატიულ დასავლეთში“ უკიდურესი შეშფოთება და გაღიზიანება გამოიწვია. განცხადებები განცხადებებზე კეთდება, წერილები წერილებზე მოდის. როგორ ფიქრობთ, რით არის ეს შეშფოთება გამოწვეული? რატომ არის დასავლეთი ასე შეძრული ამ ფაქტით?**

— ამ დღეებში ბევრი ითქვა და დაიწერა ამ შეშფოთებებზე. უამრავი განცხადება და შეფასება მოვისმინეთ. მათ შორის რამდენჯერმე ხაზგასმით აღინიშნა და ამ შეფასებებს ძირითადად ხელისუფლების წარმომადგენლები აკეთებდნენ, რომ კონგრესმენებს, რომლებიც, ალბათ, ყველაზე მეტად აქტიურობდნენ, არ ჰქონდათ ობიექტური ინფორმაცია. რომ ისინი მიზანმიმართულად შეცდომაში შეიყვანეს და ამით იყო ეს ყველაფერი გამოწვეული. ვერ დავიწყებ იმის მტკიცებას, ჰქონდათ თუ არა მათ ინფორმაცია და იყვნენ თუ არა შეცდომაში შეყვანილი, მაგრამ ფაქტებზე საუბარი ნამდვილად შეგვიძლია. **ფაქტი არის ის, რომ წლების განმავლობაში ქვეყანაში ხდებოდა უმძიმესი დანაშაულები — მკვლელობები, ქონების წართმევა, რეკეტი, პოლიტიკური ოპონენტების დევნა, გატაცებები, წამებები, გაუპატიურებები ციხეებში, თავდასხმა დამოუკიდებელ მედიაზე, დარბევები მშვიდობიანი დემონსტრაციების, უკანონო დაპატიმრებები და ა.შ. შავი და თეთრი ყველასთვის იყო ძალიან მარტივი გასარჩევი და ის, რომ ეს დანაშაულები არა ერთეული შემთხვევა, არამედ სისტემური პოლიტიკა იყო, ყველა თანხმდებოდა.** რა ხდება დღეს: არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ქართულმა მართლმსაჯულებამ დაუმტკიცა უმძიმესი დანაშაულები,— ისე, რა დასამტკიცებელი ეს იყო?! უგულავას შემთხვევაში, მაგალითად, ხელის გულზე იდო ყველაფერი, — მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ მიმართ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა დასავლეთისთვის გახდა შემაშფოთებელი. მიჩნდება შეკითხვა და ეს არ არის რიტორიკული შეკითხვა: **მათ ქვეყნებში ვინმემ 48 ცენტი რომ მოიპაროს ბიუჯეტიდან, სამარეში ჩაჰყვებიან, კაცმა 48 მილიონი გაფლანგა, პასუხი არ უნდა მოვთხოვოთ?! ორი გვამი მჭირდება, პრემია დიდი იქნებაო, — რომ გაჰყვიროდა მინისტრი, ეს მაინც არ არის დასამტკიცებელი, კადრები არსებობს, არ უნდა დაეკავებინათ?** საერთოდ, ვფიქრობ, რომ მსგავსი დამნაშავეების დაკავების გამო ჩვენ არ უნდა ვიყოთ თავიდანვე თავის მართლების რეჟიმში; იმიტომ, რომ, თუ ხელისუფლება თვლის, მას თავი აქვს სამართლებელი და ვიღაცას რაღაც უნდა უმტკიცოს, მაშინ საერთაშორისო დონეზეც გაჩნდება შეკითხვები და ეს, რა თქმა უნდა, ბუნებრივიცაა, თუმცა **შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ვიღაცებმა არ იციან, აქ რა ხდება და შეცდომაში შეიყვანეს.**

**— რას გულისხმობთ?**

— როგორც ჩანს, დღეს დასავლეთის უმაღლეს პოლიტიკურ სისტემაში, სამწუხაროდ, არსებობს საკმაოდ გავლენიანი ადამიანების გარკვეული ჯგუფი, რომელსაც თავისი ვიწრო მერკანტილური ინტერესები აქვს. თუმცა იმ მწვავე შეფასებებში, რომლებიც, ეს დღეებია კეთდება, თუნდაც იგივე უგულავას დაკავების გამო, ხელისუფლების ბრალსაც ვხედავ.

**— კონკრეტულად?**

— არასწორია მიდგომა სამართლიანობისა და კანონის უზენაესობისადმი. რას ვგულისხმობ: მოდი, მივყვეთ თანმიმდევრულად: მოდიხარ პოლიტიკაში იმ დაპირებით და გზავნილით საზოგადოებისადმი, რომ აღადგენ სამართლიანობას; ხალხს არწმუნებ, რომ ყველა დანაშაულს გამოიძიებ და დამნაშავეებს პასუხს აგებინებ. იღებ ძალაუფლებას და აკეთებ აბსოლუტურად საპირისპიროს — სამართლიანობას კი არ აღადგენ, აცხადებ კოაბიტაციას და ეკვრები დამნაშავეებს, რომლებსაც მერე მთავარ ოპოზიციადაც აცხადებ. აი, ამის შემდეგ გადის რვა წელიწადი და წინა ხელისუფლების ერთ-ერთ ლიდერს იჭერ უმძიმესი დანაშაულისთვის. ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა: ჯერ ერთი — **თუ დამნაშავე იყო, რვა წელი სად იყავი? და მეორე — კაცმა 48 მილიონი მოიპარა და სამ წელს აძლევ?!**

**— გინდათ, თქვათ, რომ სამი წლით პატიმრობა ზემოხსენებული დანაშაულისთვის შეუსაბამო სასჯელია?**

**«სამართლიანობა რომ აღარდებდეთ, ჯერ ერთი — რვა წელი დამნაშავეს გარეთ არ აბოგინებდნენ, მეორე — მხოლოდ უგულავა არ იქნებოდა ციხეში და მესამე — ამ გაღატაკებულ ქვეყანაში სახელმწიფო მოხელეს 48 მილიონი ლარის გაფლანგვისთვის სამ წელს არ მიუსჯიდნენ. ეს არის უმძიმესი დანაშაული და, ვინც რამდენიც უნდა შეშფოთებულიყო, ნებისმიერ ნორმალურ სახელმწიფოში ამისთვის, სულ ცოტა, 15-წლიან სასჯელს გამოუტანდნენ»**

— რა თქმა უნდა. 48 მილიონის გაფლანგვისთვის ნორმალურ ქვეყანაში სამ წელს გაკმარებენ? თუმცა, **ეს 48 მილიონი არის ის, რაც დამტკიცებულია, თორემ სულ რამდენი მოიპარეს და გაფლანგეს, კაცმა არ იცის. აი, ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, აჩენს შეკითხვებს და ამაში ლოგიკა არის. კიდევ ვიმეორებ, კაცმა 48 მილიონი გაფლანგა და აძლევ სამ წელს, რა გამოდის, ამ ქვეყანაში კორუფცია მძიმე დანაშაულად არ ითვლება?!** თანაც აქ ხომ საუბარი არ არის ვიღაც ბიზნესმენზე, რომელსაც თავისი ანგარიშები ჰქონდა და ფული მოიპარა, საუბარია სახელმწიფო მოხელეზე. მეორე — **თუ ამხელა დანაშაული ტრიალებდა ქვეყანაში და ყველამ ვიცით, რომ ასე იყო, მხოლოდ უგულავა აკეთებდა ამ ყველაფერს? სად არიან სხვა დამნაშავეები?!** რა თქმა უნდა, ეს პროცესები შეკითხვებს აჩენს... ყოველ შემთხვევაში ეს ამბავი ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენაზე მოფიქრალი ადამიანების ნამოქმედარი რომ არ არის, ცხადია. მათ **სამართლიანობა რომ აღარდებდეთ, ჯერ ერთი — რვა წელი დამნაშავეს გარეთ არ აბოგინებდნენ, მეორე — მხოლოდ უგულავა არ იქნებოდა ციხეში და მესამე — ამ გაღატაკებულ ქვეყანაში სახელმწიფო მოხელეს 48 მილიონი ლარის გაფლანგვისთვის სამ წელს არ მიუსჯიდნენ. ეს არის უმძიმესი დანაშაული და, ვინც რამდენიც უნდა შეშფოთებულიყო, ნებისმიერ ნორმალურ სახელმწიფოში ამისთვის, სულ ცოტა, 15-წლიან სასჯელს გამოუტანდნენ.**

აქვე მინდა მოკლედ გამოვეხმაურო იმ ისტერიკას, რომელიც უგულავას დაპატიმრების შემდეგ ატყდა **ამ ვითომ ოპოზიციურ სპექტრში ნაცებისა და მათი პოლიტიკური განაყოფების დირიჟორობით. ამ ადამიანებს, როგორც ჩანს, მართლა ჰგონიათ, რომ საზოგადოებას აღარ ახსოვს, რა ხდებოდა მათი მმართველობის პერიოდში.** ფონდები რომ ჰქონდათ შექმნილი და ხალხს ფულს არიცხვინებდნენ, მათ შორის **ბოკერია უგულავასთან** ერთად, დაავიწყდათ?! ან იქნებ ჰგონიათ, რომ ამის მტკიცებულებები არ არსებობს... აქ უბედურება რა არის, იცით? **ხელისუფლებას ეს ყველაფერი არ სჭირდება სამართლიანობისთვის. ხელისუფლებას ეს სჭირდება თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის და, როცა ეს მიზანი ითხოვს, მაშინ ახსენდებათ სამართალი. აი, ეს არის სიმართლე; ჩვენი უბედურება კი არის ის, რომ „ოცნებასა“ და ნაციონალებს ერთმანეთი სჭირდებათ — „ნაციონალური მოძრაობა“ რომ არ იყოს, არ იქნებოდა „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში და „ქართული ოცნება“ რომ არ იყოს ხელისუფლებაში, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები დიდი ხნის წასულები იქნებოდნენ ციხეში.**

რაც შეეხება უგულავას და იმ სენტიმენტებს, რომელიც მისი დაპატიმრების დღეს პარტიის ოფისში მოაწყვეს, მოკლედ, დეტალურად გვიჩვენეს ყველაფერი, როგორ ეთხოვება ოჯახს, შვილს, მეგობრებს... **რა, სერგო თეთრაძეს არ ჰყავდა შვილი? სულხან მოლაშვილს არ ჰყავდა თუ ბუტა რობაქიძე არ იყო შვილი?..** რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. რამდენი გააუბედურეს და დაღუპეს? ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, გამოიწვევს ეჭვებს. აბა, ვის გაუგია, ადამიანს ამხელა დანაშაულს ედავებოდე, უმტკიცებდე და ასეთი მცირე სასჯელით უშვებდე ციხეში...

**— როგორ ფიქრობთ, დღევანდელ ვითარებაში რა პერსპექტივა და შესაძლებლობები არსებობს იმისთვის, რომ ეს რეალობა თუნდაც ნაწილობრივ შეიცვალოს?**

— იმისთვის, რომ ეს რეალობა არა თუ ნაწილობრივ, არსებითად შეიცვალოს, საჭიროა, ივანიშვილმა დაუშვას, რომ ქვეყანაში არსებობდეს დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალა, რომელიც არ იქნება მართული რომელიმე სპეცსამსახურის მიერ.

**— დაუშვებს, როგორ ფიქრობთ?**

— რომ არ უშვებს და მოჯადოებულ წრეზე ვტრიალებთ გამუდმებით, იმიტომ ვართ ამ დღეში. კიდევ ვიმეორებ: დღეს პოლიტიკაში რომ ჩაერთო და რეალურ ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდე, ზურგს უნდა გიმაგრებდეს რომელიმე ქვეყნის სპეცსამსახური. ეს არის სახელმწიფოსთვის დამღუპველი მავნე პოლიტიკური პრაქტიკა, რომელიც, უკვე წლებია, გრძელდება, და, რომელიც უნდა დასრულდეს. აი, ამაში ვხედავ გამოსავალს, რაც პრაქტიკაში განსახორციელებლად ძალიან რთულია, თუმცა ერთი რამ ცხადია და ამაში, ალბათ, ყველა ვთანხმდებით: ეს თუ არ დასრულდა და ქვეყნის სათავეში არ მოვლენ ჯანსაღი ძალები, რომელთა მთავარი ორიენტირი ეროვნული, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება იქნება, ჩვენ მომავალი არ გვაქვს. მუდმივად ვიქნებით უკუსვლის რეჟიმში, რომელიც საბოლოოდ მიგვიყვანს კატასტროფამდე.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**ათეულობით მილიონის გამო კი არა, მილიონის გამო მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სამი წლით ციხეში სიხარულით წავა, არც პრესკონფერენციებს მოაწყობს და არც სენტიმენტალურ სცენებს დადგამს, წავა, დაჯდება და კაცურად მოიხდის. მაგრამ დრომ ისე მოიტანა, რომ მილიონები მხოლოდ ადამიანთა გარკვეული ჯგუფისთვის არის ხელმისაწვდომი, ამომრჩეველი კი ხახვითა და კარტოფილითაც იოლად გადის.**

ხალხი და ხელისუფლება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უგულავასთვის გამოტანილი განაჩენი სასჯელი კი არა, მაღალჩინოსნების წაქეზებაა, რომ ქვეყანა ძარცვონ და ჩვენი ფული თქვლიფონ

**2012 წელს ვერავინ იფიქრებდა, რომ გიგი უგულავას 8 წლის შემდეგ წამებულად და პოლიტპატიმრად გამოაცხადებდნენ. არადა, ზუსტად ასეა — ოპოზიციური სპექტრი ერთ ხმაში გაჰკივის: დედაქალაქის ყოფილი მერი და „ნაციონალური მოძრაობის" ყოფილი ლიდერი დღეს პოლიტპატიმარიაო. და, რაც მთავარია, ამ განცხადებას ევროპელი და ამერიკელი დიპლომატები თავის კანტურით ეთანხმებიან. დიახ, ხელისუფლებამ მოახერხა ის, რომ უგულავას საქმეს დიპლომატები იხილავენ და თანაც ისე, არ მალავენ, რომ ეჭვები და კითხვები აქვთ. მივყვეთ რიგითობით.**

როცა 2012 წელს ხელისუფლება შეიცვალა, მთავარი მოთხოვნა, რაც ამომრჩეველს ჰქონდა, სამართლიანობის აღდგენა იყო. „ქართულმა ოცნებამ" სამართლიანობის აღდგენის ნაცვლად, კოაბიტაცია დაიწყო და მოახერხა ის, რასაც მათ გარდა ვერავინ მოახერხებდა — **ამომრჩევლის მიერ მიწაში ჩადებული „ნაციონალური მოძაობა" ჯერ რეანიმაციაში გადაიყვანა, მერე გამოაჯანმრთელა, მერე თავზე დაისვა და ახლა გაიძახის: უნდა დავამთავროთ, თორემ ქვეყანას საფრთხეს უქმნიანო.** ჩვენი აზრით კი, ხელისუფლებამ ეს ერთადერთი მიზნით გააკეთა — მათი ხელისუფლებაში დარჩენისთვის. სწორედ „ნაციონალური მოძრაობისგან" შექმნა ხელისუფლებამ ის საფრთხობელა, რომელსაც ქართველი ხალხი მხარს არასდროს დაუჭერს და დაგვაყენა იმ არჩევანის წინაშე, რომელიც მუდმივად გვაქვს — ან ცუდი, ან უარესი.

არანაკლებ საინტერესოა ოპოზიციის აზრი. **ოპოზიციის ლიდერები ამბობენ, რომ ხელისუფლება უგულოდ მოიქცა და უგულავა შვილის თვალწინ დააპატიმრა. ეს ის ოპოზიციაა, რომელიც 9 წელი მართავდა ქვეყანას და ამ ხნის განმავლობაში საქართველოს ისტორიაში ყველაზე მეტი პატიმარი და პრობაციონერი ჰყავდა. ქვეყნის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ერი კრიმინალად გამოაცხადა და, შვილების თვალწინ დაჭერა კი არა, შვილებიც მიჰყავდათ ციხეში მშობლებთან და აღიარებას ისე სთხოვდნენ.** თან პატიმრებს ეუბნებოდნენ, რომ შვილებს მათ თვალწინ გაუუპატიურებდნენ და მნიშვნელობა არ ჰქონდა, ბავშვი გოგო იყო თუ ბიჭი. ასე იძლეოდა დაჭერილთა უმრავლესობა ჩვენებას და ამიტომაც იყო, რომ იმხანად გამამტყუნებელი განაჩენის ოდენობა 99,99% იყო. ჰო, არც ის დაგვავიწყდეს, რომ ის მოსამართლეები, რომლებიც ამ განაჩენებს ადგენდნენ და ხალხს ციხეში დასტა-დასტა უშვებდნენ, ამ ხელისუფლებამაც შეინარჩუნა და ახლა მოსამართლეთა ის კორპუსი მათ ემსახურება. უგულავას დარად, **ირაკლი ოქრუაშვილსაც** პოლიტპატიმრად აცხადებენ. **ეს ის ოქრუაშვილია, ხალხს სახლში რომ უვარდებოდა, ტელეკამერების თანხლებით საცვლების ამარა აჩვენებდა დაკავებულთა ოჯახის წევრებს საზოგადოებას და ეს უხაროდა. ის ოქრუაშვილი, რომელსაც სწორედ ოჯახის წევრების მიმართ მუქარით მიაცემინეს ჩვენება ნაციონალებმა, ის ოქრუაშვილი, რომელმაც ნაცების ციხეში ორი დღეც ვერ გაძლო, იმიტომ, რომ არასწორად, არაადამიანურად მოექცნენ. ახალი ხელისუფლების ციხიდან კი სოციალურ ქსელში განცხადებებს ავრცელებს და გვარიანადაც ღლაბუცობს.**

ისევ უგულავას დავუბრუნდეთ. **ეს ის უგულავაა, აგვისტოს ომში ერთ-ერთ სარდლად რომ მოგვევლინა, ბოლოს კი ისე დაიმალა, რომ თავისი გარემოცვაც ვერ პოულობდა. ის უგულავაა, რომელიც საგრიალოდ ევროპაში ჩვენი ფულით დადიოდა ძმაკაცებთან ერთად და არ აინტერესებდა, რას იტყოდა ამომრჩეველი. მაშინ უგულავა „ვლასტში" იყო და, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ყველაფერი ფეხზე ეკიდა, მაგრამ მთავარი ეს არ არის, მთავარი ისაა, რომ ხელისუფლებამ მას ბრალი რამდენიმე ათეული მილიონის გაფლანგვისთვის წაუყენა და ციხეში სამი წლით გაისტუმრა.** ახლა დაფიქრდით, საქართველოს რამდენი მოქალაქე წავა სამი წლით ციხეში თუნდაც მილიონის სანაცვლოდ? ჩვენ გეტყვით, ბატონებო: ყოველი მეორე კი არა, თითქმის 95% მოაწერს ამაზე ხელს და სიამოვნებით მოიხდის სასჯელს მილიონის სანაცვლოდ. გაფლანგვას თუ ედავებით, **დააბრუნებინეთ ის ათეულობით მილიონი და მერე გაუშვით ციხეში. თუ ფულს ვერ პოულობთ, ქონებით აგებინეთ პასუხი, 48 მილიონის ქონებას აუცილებლად უპოვით, მაგრამ არა! ხელისუფლებას ასე შორს წასვლა არ სურს, რადგან თვითონაც „შორს" იხედება და მომავალში, შესაძლოა, მათაც ქონებით აგებინონ პასუხი, რაც ხელს ნამდვილად არ აძლევთ. აი, 2-3 წლით ციხეს კიდევ ნებისმიერი მოიხდის, რა პრობლემაა?! მთავარია, რომ მილიონები ხელუხლებელი იქნება.**



**დააბრუნებინეთ ის ათეულობით მილიონი და მერე გაუშვით ციხეში. თუ ფულს ვერ პოულობთ, ქონებით აგებინეთ პასუხი, 48 მილიონის ქონებას აუცილებლად უპოვით. მაგრამ არა! ხელისუფლებას ასე შორს წასვლა არ სურს, რადგან თვითონაც „შორს" იხედება და მომავალში, შესაძლოა, მათაც ქონებით აგებინონ პასუხი, რაც ხელს ნამდვილად არ აძლევთ. აი, 2-3 წლით ციხეს კიდევ ნებისმიერი მოიხდის, რა პრობლემაა! მთავარია, რომ მილიონები ხელუხლებელი იქნება**

ცოტა ხანს უგულავას შევეშვათ და **ვანო მერაბიშვილზე** ვთქვათ. ბატონი ვანო ციხიდან 20 თებერვალს გამოდის. დიახ, **იმ კაცს უშვებენ ციხიდან, რომელიც კამერების წინ ორ გვამს ითხოვდა და რომლის სახელსაც პოლიციის პოლიტიზება უკავშირდება.** ბატონი ვანოს დედა, **ჟენია მერაბიშვილი,** ახალციხის სკოლის დირექტორი იყო და წლის დირექტორადაც დაასახელეს საქართველოს მასშტაბით. ჰოდა, ქალბატონ ჟენიას 2009 წელს ორმა ახალგაზრდამ ქათმები მოჰპარა, უფრო ზუსტად, **ბიჭებმა საქეიფოდ შვიდი ქათამი მოიპარეს, მათგან ორი ჟენია მერაბიშვილის იყო. თითო ქათამი თითოს ერთ წლად შეუფასეს და ბიჭები 7-7 წლით გამოამწყვდიეს საპყრობილეში. ჰო, შვიდი ქათმის მოპარვისთვის 7-7 წელი ჩამოურიგეს, უგულავას კი ათეულობით მილიონის მოპარვისთვის, ხოლო ვანო მერაბიშვილს ორი გვამის მოთხოვნისთვის სასაცილო სასჯელი აკმარეს. ადამიანის ციხეში გაშვება არავის უხარია, მაგრამ, სანამ კანონი არ კანონობს, სანამ უსამართლობის განცდა არის, მანამდე არაფერი გვეშველება.**

ნებისმიერმა ჩინოსანმა რომ ჩაიდოს 50 მილიონი ჯიბეში იმის იმედად, რომ 3-წლიან სასჯელს აკმარებენ, გასაკვირი იქნება? **უგულავასთვის გამოტანილი განაჩენი სასჯელი კი არა, მაღალჩინოსნების წაქეზებაა იმისკენ, რომ ქვეყანა ძარცვონ და ჩვენი ფული თქვლიფონ, თორემ სასჯელი ადეკვატური რომ ყოფილიყო, ასე აღარ მოხდებოდა.**

არაერთხელ გვითქვამს, რომ კანონები უნდა გამკაცრდეს და მეტი პოლიტიკური ნება, მეტი პრინციპულობაა საჭირო დამნაშავეების დასასჯელად. სამწუხაროდ, „ოცნებას" ჩამოთვლილთაგან არც ერთი არ აქვს. **მმართველ გუნდს არც გამბედაობა ჰყოფნის და არც ერთი ადგილი საიმისოდ, რომ დამნაშავე შესაბამისად დასაჯოს. სწორედ ამიტომ დაიტოვა „ოცნებამ" მოსამართლეთა ის კორპუსი, რომელიც მანამდე იყო. და აგერ, იმავე მოსამართლეების განაჩენით, მაგალითად, მარნეულის ყოფილი მერი გაამართლეს, რომელზეც ამბობდნენ, მოქალაქეს შარდი დაალევინაო, ახლა ეს შარდი ლუდი აღმოჩნდა. მეორედ მოსვლას რომ ამბობენ, თურმე მოსულა მესია და არ ვიმჩნევთ. უფალმა წყალი ღვინოდ გადააქცია და მოსამართლემ კიდევ შარდი — ლუდად, მეტი რა უნდა ექნა?!** ისე გამოვიდა, რომ ლუდის დალევის გამო იჩივლა დაზარალებულმა: მერმა ლუდის დალევა მაიძულაო... აბსურდულობის დონეს ხომ ხვდებით, ბატონებო?!

ჯერჯერობით არავინ იცის, რა სისტემით, მაგრამ 2020 წელს არჩევნები გველოდება. **ცალკე ხელისუფლება და ცალკე ოპოზიცია იმის დამტკიცებას ცდილობენ, რომ ქვეყანას ისინი გადაარჩენენ. არადა, ერთიც ნანახი გვაქვს და მეორეც და ამომრჩეველმა ზუსტად იცის, რომ რეალურად ქვეყნის გადარჩენა, სწორ გზაზე დაყენება არც ერთს არ სურს ან შეიძლება სურს, მაგრამ დასავლეთი არ აძლევს იმის უფლებას, რომ მოსახლეობამ ამოისუნთქოს. მაძღარ მოსახლეობას სხვა მოთხოვნები გაუჩნდება, უკეთესს და უკეთესს მოითხოვს, ახლა კი კარტოფილისა და ხახვის ფულით კმაყოფილდება.** ეს მოცემულობა მოქმედ პოლიტიკოსებს ხელს აძლევთ და მის შეცვლას არ აპირებენ. დიდი-დიდი, იმ კარტოფილის შესაწვავი ზეთი გამოურიონ დაპირებებში, თორემ დანარჩენი იგივე იქნება. ისევ იქნებიან უგულავები და მერაბიშვილები, რომლებიც მილიონებსაც მოიპარავენ, ორი გვამის შეკვეთასაც მისცემენ და ამის გამო სათანადოდ არ დაისჯებიან. კიდევ გავიმეორებ: **ათეულობით მილიონის გამო კი არა, მილიონის გამო მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სამი წლით ციხეში სიხარულით წავა, არც პრესკონფერენციებს მოაწყობს და არც სენტიმენტალურ სცენებს დადგამს, წავა, დაჯდება და კაცურად მოიხდის. მაგრამ დრომ ისე მოიტანა, რომ მილიონები მხოლოდ ადამიანთა გარკვეული ჯგუფისთვის არის ხელმისაწვდომი, ამომრჩეველი კი ხახვსა და კარტოფილზეც იოლად გადადის.**

ყველაზე საინტერესო, იცით, რა არის? ხელისუფლება თუ შეიცვლება, უგულავა (და არა მხოლოდ ის) საპყრობილეს, როგორც გმირი, ისე დატოვებს; იმ მილიონებსაც არავინ მოჰკითხავს და კვლავ დატრიალდება ბედის ბორბალი. შემდეგ სასამართლოს წინაშე მილიონების სხვა მჭამელები წარსდგებიან, ისინი მიიღებენ არაადეკვატურ სასჯელს და ასე გაგრძელდება დაუსრულებლად. ამ ამბის დასასრული კი პოლიტიკიდან მათი წასვლაა, მაგრამ ცოცხალი თავით არ მიდიან და... ხალხმა უნდა გაყაროს, თუმცა, როგორც თავში მოგახსენეთ, სხვა არავინ ჩანს პოლიტიკურ ასპარეზზე და ამჯერადაც ცუდსა და უარესს შორის მოგვიწევს არჩევანის გაკეთება.

**ბესო ბარბაქაძე**

**ბიჭებმა საქეიფოდ შვიდი ქათამი მოიპარეს, მათგან ორი ჟენია მერაბიშვილის იყო. თითო ქათამი თითოს ერთ წლად შეუფასეს და ბიჭები 7-7 წლით გამოამწყვდიეს საპყრობილეში. ჰო, შვიდი ქათმის მოპარვისთვის 7-7 წელი ჩამოურიგეს, უგულავას კი ათეულობით მილიონის მოპარვისთვის, ხოლო ვანო მერაბიშვილს ორი გვამის მოთხოვნისთვის სასაცილო სასჯელი აკმარეს. ადამიანის ციხეში გაშვება არავის უხარია, მაგრამ, სანამ კანონი არ კანონობს, სანამ უსამართლობის განცდა არის, მანამდე არაფერი გვეშველება**



ლევან გაბრიაძის ფილმი დაძაბული და მშფოთვარე დღევანდელობის დასამშვიდებელი ელექსირია. იმიტომ კი არა, რომ გაპრიალებულ რეკლამასავით დავარცხნილ-დალაგებულია, არამედ იმიტომ, რომ ადამიანური ურთიერთობების სითბოთი არის გაკეთილშობილებული.

## ბრავო!

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როცა ცარიელ ბიბლიოთეკაში ვირთხა იპოლიტესთან ერთად კითხულობ წიგნებს

## ანუ ლენინის სასიკვდილო განაჩენისგან სტალინის მიერ დახსნილი მომავალი ელექტრომონტიორი

**P.S. სახელდახელო წერილი, რომელსაც დღეს გთავაზობთ, მაინცდამაინც პოსტ სკრიპტუმით უნდა დავიწყო, მთავარი შთაბეჭდილებით, რომელიც ჩემზე მოახდინა ლევან გაბრიაძის ფილმმა „ჰარი-ჰარალე, დედაო“.**
**ეს ორიგინალური კინოსურათი უწინაც რამდენჯერმე ვნახე — მაშინაც, როცა იგი აშშ-ის კინოაკადემიის პრემია „ოსკარზე“ წარსადგენი ფილმების სიაში ჩაწერეს. ამ მოვლენაზე წერილიც გამოვაქვეყნე. სხვა დროსაც მითქვამს ორიოდე სიტყვა, მაგრამ ამჯერად დიდი ომისდროინდელი პატარა ბიჭების თვალით შევხედე და საბოლოოდ დავრწმუნდი — შედევრია!**
**ამის სათქმელად დავიწყე პოსტ სკრიპტუმით და კიდევ იმიტომ, რომ დღეს ყველა, ვისაც არ ეზარება და საჭიროა თუ არა, თავის საგაზეთო წერილს P.S.-ით ამთავრებს. მე დამეზარა.**

### უშესავლოდ და ქვესათაურების გარეშე

2020-ის თებერვლის მეორე დეკადის დასაწყისში ევროპას შხაპუნა წვიმამ და ქარიშხალმა რომ გადაუარა და წალეკა, ხოლო ჩვენი ევროპელი პარტნიორები ვაი-ვაის რომ იძახოდნენ და სახლებიდან გამოსვლის ეშინოდათ, კი ვიცოდი, რა უნდა გაეკეთებინათ სტიქიის თავაშვებულობის ასალაგმავად, მაგრამ არ გამიმხელია, რადგან მაინც ვერ შეძლებდნენ.

**რეზო გაბრიაძის** ბაბუას, რომელიც იმერეთში გადაუღებელ ნალექებს (წვიმის სახით) შეუწუხებია, ველარ მოუთმენია ბუნების ასე გაწელილი თავხედობა, პიზის კოშკივით გადახრილი და ხანძარგადატანილი თავისი ქოხის ქვემოდან გამოუძვრია წლების წინათ უქმად დაგდებული, **იაპონიასთან ომის დროს რომელიღაც იქაური ტომის სოფლიდან წამოღებული ნაალაფევი — თავმომრგვალებული მორის ნაჭერი, მარჯვნიდან და მარცხნიდან ორი მოზრდილი, მრგვალი რიყის ქვა მიუგორებია, აუყუდებია ეს, სახელდახელოდ კონსტრუირებული ფალოსის მაგიური საკულტო ქანდაკება, ღრუბლებისთვის დაუმიზნებია და, რაც იცოდა და არ იცოდა, ყველა გინება „კატიუშას“ ზალპებივით მოქუფრული ცისთვის უსვრია.**

სასწაული მომხდარა, ბოშო! მეხთატეხა ჩამქრალა, როგორც ელიავაზე ნაყიდი წუნდებული ნათურა, გარღვეულა ღრუბელი და გამოუჭყეტია რეზოს დახატულ მზეს, რომელიც ჩვენ, ევროპელებს, რუსებსა და ამერიკელებს ერთი გვაქვს, მაგრამ ზეციური კანცელარიის მიერ დაწესებული გრაფიკით აშშ-ში გვიან ჩააღწევს. დამშვიდებულა იქაურობა და მოწმენდილი ციდან გალაკტიონის მარტივი და ალალი სტრიქონები სიმღერად გადმოღვრილა:

**წყალტუბოდან ქუთაისში**
**მიმავალო ქარო,**
**თუ მაისის ქუთაისმა**
**გკითხოს, ვინა ხარო,**
**უპასუხე, რომ სუნთქვა ხარ,**
**არ კი უთხრა, ვისი,**
**ამას თვითონ მიგიხვდება**
**ჩემი ქუთაისი.**

მას შემდეგ მზე ბევრჯერ ჩავა და ისევ ამოიწვერება ასე დიდი და ჩახჩახა (**გოგლა ლეონიძე**), გაივლის წლები და ქუთაისის თეთრ ხიდზე მოფლატუნე ნაბიჯებით შემოდგება მთელი ფილმის განმავლობაში მკვირცხლად მორბენალი, ორიგინალური პროფილის მქონე, პიონერის წითელყელსახვევიანი, გრუზა ხუჭუჭთმიანი ბიჭი, ახლა უკვე მხრებში მოხრილი ხანდაზმული კაცი. შედგება. ჩახედავს მდინარეს, გადააფურთხებს და აღმოაჩენს, რომ ადამიანის თავისუფლების ამრიგად გამოხატვა (რაც მსურს, იმას ვაკეთებ!) აღარ არის იმ სიამოვნების მომგვრელი, როგორიც მის ბიჭობაში იყო.

მიწამდე ვერ ჩააღწევს წამიერი კვალის დასატოვებლად, რიონის ტალღები აიტაცებს ხარის რქაზე დამჯდარი ბუზივით და შეუერთდება H2O-ს მირიად მოლეკულას.

გაქრება, როგორც კერძო სახელი, კერძო ადამიანის.

საერთოდ, ალბათ, ასეა.

მაგრამ ასე არ არის **რეზო გაბრიაძის შემთხვევაში, რადგან მისი სახელი იმდენადვე მატერიალისტური ფენომენია, რამდენადაც ჩვენთვის მიუწვდომელი მოვლენა, რომლის არსს იქ თუ განვვიმარტავენ, ვარსკვლავთა ბრწყინვალებაში, იქ, მაღლა, სადაც „ხანდახან ვიღაცვიღაცებს დაუნახავთ ვარსკვლავებში აჩაჩა ურემი. ურემზე თითებით ნაძერწი მოღუნული სანთელი ანათებდა, უსასრულობაში რაღაცას ეძებდა“...** („შერეკილები“).

ეს ფილმი, როგორც რეჟისორმა **ლევან გაბრიაძემ** თქვა, მისი ოჯახის ფესვებზე მოგვითხრობს, მამამისზე — რეზო გაბრიაძეზე, და ისეთივე ალოგიკურობით, ურთიერთგამომრიცხაობით ერთ არსად არის შეკრული, როგორც მხიარული ქართული ხალხური ლექსი:

**ჰარი-ჰარალე, დედაო,**
**გადავჯექ**
**კურდღელზედაო,**
**გავაჭენ-გამოვაჭენე,**
**გავუშვი მინდორზედაო,**

რომელიც ქართულ ყირამალად მოვნათლეთ არცთუ დიდი ხნის წინათ.

**ბელა ახმადულინამ** მწერალ **ანდრეი ბიტოვს** ადამიანის ზნეობრიობის სამკაული უწოდა: ჩემსავით მასაც სჭირდება კავკასია, კავკასიაში არის რაღაც, რაც ჩვენ გვამშვიდებსო.

**ლევან გაბრიაძის ფილმი დაძაბული და მშფოთვარე დღევანდელობის დასამშვიდებელი ელექსირია. იმიტომ კი არა, რომ გაპრიალებულ რეკლამასავით დავარცხნილ-დალაგებულია, არამედ იმიტომ, რომ ადამიანური ურთიერთობების სითბოთი არის გაკეთილშობილებული და დაწყნარებული, უმწვავესი ისტორიული კატაკლიზმების შედეგად ჩვენს ცხოვრებაში დალექილი ნეგატივიზმის გასანეიტრალებლად (მთხლეს რომ ეძახიან იმერეთში).**



**სიზმარში გამოეცხადებიან დამნაშავე რეზო გაბრიაძეს მსოფლიო პროლეტარიატისა და მშრომელთა მასების ბელადები — ლენინი და სტალინი და იწყებენ კამათს, როგორი სასჯელი დაიმსახურა კალაპოტიდან ამოვარდნილმა ამ ახალგაზრდამ: დაიხვრიტოს დაუყოვნებლივ (ლენინი), თუ კადრებს გაფრთხილება სჭირდება, ციმბირს — ათვისება, ამიტომ ცოცხალი უნდა დარჩეს და გაციმბირდეს, როგორც ოსტატი ელექტრომონტიორი (სტალინი)**



სამყარო, რომელიც ჩვენი ცხოვრებაა, როგორც წესი, ყურადღების მიღმა გვრჩებოდა და მხოლოდ მას შემდეგ შევიგრძენით იგი, როცა რეზო გაბრიაძემ შემოქმედის თვალით დანახული გაგვიცოცხლა, დაგვიწერა და დაგვიხატა, ლევანთან — თავის ვაჟთან ერთად.

პირველივე კადრებიდან მიენდობით ავტორებს და მიჰყვებით ფილმის სიუჟეტს. მიჰყვებით და სულ მალე იგრძნობთ, რომ თქვენს ცხოვრებაზე გელაპარაკებიან გაბრიაძეები.

თავიანთი რაკურსით.

გაგახსენდებათ, რომ გასული საუკუნის ორმოციანი წლების დასაწყისში, დიდი სამამულო ომის დროს წითელვარსკვლავიანი თვითმფრინავით თქვენც დასდევდით ფაშისტების „მესერშმიტებს“ — ერთი სამის წინააღმდეგ და სამივეს მიწას დაანარცხებდით თქვენი ტყვიამფრქვევით დაცხრილულ-აალებულებს.

ატყვევებდით ჰიტლერს, მუხლებზე დაცემულს, ხელებაწეულს, შავი სვასტიკიანი სამკლაურით და საწვინტლეზე მიხატულივით მოღრეცილი ულვაშით: „გიტლერ კაპუტ!“

ფიქრების ქარბორბალა აგიტაცებთ და ზემოდან დაგანახებთ დავიწყებულ იმდღევანდელობას, რომელშიც ოთხმოცი წლის წინათ გიცხოვრიათ.

უცხოვრია პატარა ქუთაისელ ბიჭსაც, რეზო გაბრიაძეს, და ესაა მთავარი: უპირველესად, მისია ეს „ჩემი თავგადასავალი“, რომლის თქვენი თავგადასვლისთვის მისასადაგებლად მოგონებებში იწყებთ ქექვას.

ამაოდ, რადგან ვირთხა იპოლიტესთან ერთად არც ერთ ჩვენგანს არ გვიმეცადინია უმკითხველოდ დარჩენილ საქალაქო ბიბლიოთეკაში. ვერც წარმოვიდგენდით, რომ „იპოლიტეს“ დასავლეთევროპული ლიტერატურა ▶





# რეზო გაბრიაძის სახელი იმდენადვე მატერიალისტური ფენომენია, რამდენადაც ჩვენთვის მიუწვდომელი მოვლენა, რომლის არსს იქ თუ განგვიმარტავენ, ვარსკვლავთა ბრწყინვალებაში, იქ, მაღლა, სადაც „ხანდახან ვიღაც-ვიღაცებს დაუნახავთ ვარსკვლავებში აჩაჩა ურემი“.

ბრავო!
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀იტაცებდა კლასიკოსების შედევრების დერმანტინის ყდაში ჩასმული წიგნების მაღალხარისხოვანი გემური თვისებების გამო. ხოლო კერასინკაზე გადაფარჩხული, კაბაწამოხდილი ბიბლიოთეკარების ეროტიკულ „ცოცხალ სურათებს“ სამკითხველო დარბაზში დაგვიანებით მისული პატარა ბიჭი ყურადღებას არ აქცევდა.

დაგვიანებული, მაშასადამე, სოციალიზმის მშენებლებს ჩამორჩენილი უნდა დაისაჯოს — გინდა ცხადში, გინდა სიზმარში!

სწორედ სიზმარში გამოეცხადებიან დამნაშავე რეზო გაბრიაძეს მსოფლიო პროლეტარიატისა და მშრომელთა მასების ბელადები — ლენინი და სტალინი და იწყებენ კამათს, როგორი სასჯელი დაიმსახურა კალაპოტიდან ამოვარდნილმა ამ ახალგაზრდამ: დაიხვრიტოს დაუყოვნებლივ (ლენინი), თუ კადრებს გაფრთხილება სჭირდება, ციმბირს — ათვისება, ამიტომ ცოცხალი უნდა დარჩეს და გაციმბირდეს, როგორც ოსტატი ელექტრომონტიორი (სტალინი).

თუ, რა თქმა უნდა, შეისწავლის და აითვისებს ამ ხელობას დანაშაულზე წასწრებული ინდივიდი.

კამათობენ ტირანები, მაგრამ ისე, თითქოს ქართულ კინოხელოვნებაში სახელგანთქმული სახასიათო მსახიობები კვანტალიანი და ჟორჟოლიანი, რომელიღაც თავიანთ მხიარულ ფილმში — უბოროტოდ, სისხლის წყურვილის გარეშე.

თუმცა სცენარის ავტორი ამ სცენას ცინიზმს არ აკლებს.

არც ერთ მწერალს, არც ერთ რეჟისორს არ შეუქმნია XX საუკუნის ტიტანების მსგავსი სახეები.

ბოროტისა თუ კეთილის, აქ არ განიხილება.

კეთილი გულის გამო, მაღალი ზნეობის კარნახით მტერსაც კი ადამიანურად ეპყრობიან, ცივსისხლიან არიელებს, დამარცხებულებს (ერთ ოფიცერს კონკრეტულად) რეზოს ბებია და ბაბუა, რომელთა შვილიც (რეზოს ბიძია), სამხედრო პილოტი, ომში იყო დაღუპული, და რამდენჯერაც თვითმფრინავი გადაუფრენდა მათ სოფელს, ბებიას იმდენჯერ ცრემლით ევსებოდა თვალები.

ბაბუა, სოფლის ინტელიგენციის ეს წარმომადგენელი, როგორც ჭეშმარიტი ჯენტლმენი, არ იმჩნევდა, რომ საბჭოთა შინაგანი ჯარების ოფიცერმა გერმანელ ტყვეთა ბანაკიდან მის ოჯახს კერძო მეურნეობაში დამხმარე ძალად გერმანელი ოფიცერი მოუვლინა: ფრიცის ეზოში გამოჩენისთანავე დაუყოვნებლივ გაეცლებოდა იქაურობას. ბებიას ეცოდებოდა. ხანდაზმულ ქალბატონს, რომელსაც ბებერი და ბრძენი დედამიწის გამომეტყველება აღბეჭდვოდა სახეზე (ანდრეი ბიტოვი).

გერმანელმა ტყვეებმა ისე კეთილმოაწყვეს თავიანთი ბანაკი (ყვავილნარიც გააშენეს), რომ ძნელი იყო იმის გარკვევა, ვინ ცხოვრობდა მავთულხლართებიანი ღობის შიგნით, ვინ — გარეთ.

გარეთ ბიჭი იზრდება. წვიმის წყლის გუბეში სწავლობს ცურვას, რომელშიც თავკომბალები, წურბელები და ათასგვარი მიკრობები სწავლობდნენ ცხოვრებას.

შემდეგ ბაყაყებად ჩამოყალიბებულ თავკომბალებთან ერთად პაპიროსს გააბოლებს და საქვეყნო ყველაფერსა და არაფერზე გააბამს მათთან საუბარს.

ბაყაყებს საფრანგეთში ჭამენ...

ამას წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოში რომელიღაც ჩვენებური ბიზნესმენი ბაყაყების ფერმის ამუშავებას აპირებდა დასავლეთ საქართველოში...

„ანტრე, გენაცვალე!“

გუბე დაშრა და ცხელ ამინდში იქ მონებივრე კამეჩმაც თავისი გზა მონახა, თავისი წილი უღელი დაიდგა, რომლის დეფიციტი საქართველოში არასოდეს გვიგრძვნია, განსაკუთრებით, ომისდროინდელი პატარა ბიჭების თაობას.

ამაზეც არის ეს ფილმი და კიდევ მაგალითის მიმცემიცაა ახალუხლებისთვის, რომლებიც ხვალეს ჯერ არ გაუნაწყენებია 2020 საკრალური თარილით გამორჩეულ XXI საუკუნეში.

**განტერესებთ, როგორ მიიღო ახალგაზრდობამ ეს კინოშედევრი? რას ფიქრობს? მხოლოდ ერთი მაგალითი, უამრავიდან:**

„მე არაფერი ვიცი ომისშემდგომი დროის შესახებ, არ განმიცდია ტკივილი ომის დანაკარგებით გამოწვეული, არ მიცხოვრია საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. ახალგაზრდა ვარ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ხელოვნების მეშვეობით არ შემიძლია ვიგრძნო ის ყველაფერი, რასაც ადამიანები გრძნობდნენ და განიცდიდნენ. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ჭეშმარიტად ჩინებულ ნაწარმოებთან გვაქვს საქმე...

ფილმი (მულტფილმი) „ჰარი-ჰარალე, დედაო“ პირველი ქმნილებაა, რომლის შესახებაც ვწერ ჩემს პირველ და ძალიან მოკლე გამოხმაურებას...

ჭეშმარიტად სულისშემძვრელი კინოა, რომელიც ცრემლს მოგგვრის, მაგრამ უფრო მეტად ამ ცრემლის დამალვის სურვილს აღგიძრავს: გაიღიმებ, ამოისუნთქავ და განაგრძობ ფილმის ყურებას იმ აღფრთოვანებითა და გულის თრთოლვით, რომელსაც პატარა ბიჭი განიცდის ხიდიდან გადაფურთხებისას და ელოდება იმას, რაც არ შეიძლება მოხდეს.


რეზო გაბრიაძე


ლევან გაბრიაძე



**«ეს მულტიფლიკაციური ფილმი მდიდარია იმ ქართული საბჭოთა იუმორით, რომელიც რუსეთელებმა საქართველოს დამოუკიდებლობასთან ერთად დავკარგეთ»**



„ჰარი-ჰარალე, დედაო“ სურათია, რომელიც ჩაგითრევს არა ატმოსფეროში, არამედ გრძნობასფეროში პატარა ადამიანისა, რომელიც უბრალოდ ცხოვრობს, მარტივად შესცქერის ცხოვრებას, ისმენს და შეიგრძნობს.

ფილმი სავსეა ზუსტი და დახვეწილი მინიშნებებით: ომის შემდეგ ვირთხა ბიბლიოთეკაში ჰეგელის ყდას ლუკმას ჩამოახევს და გემრიელად მიირთმევს; ლენინის თვალში სტალინი მშვიდობისმოყვარეა, ხოლო „სიკვდილის პირას“ ყოფნა, როცა ბავშვს 38 და 5 გრადუსი სიცხე აქვს, საუკეთესო რამაა, რაც ბავშვს შეიძლება დაემართოს...

უამრავი სულის შემძვრელი სურათია, უამრავი საოცარი აზრით. ასეთი კინოს ყურება ძალიან კარგია მაშინ, როცა საქმე ბევრი გაქვს, მაგრამ ძალა აღარ გყოფნის.

მიმაჩნია, რომ აუცილებლად უნდა იცოდე, რაც წარსულში თავს გადაგვხდენია, განსაკუთრებით კი, უახლეს ისტორიაში, რათა გამხნევდე და შეუდგე ნებისმიერი სამომავლო საქმის განხორციელებას და არა მიღებას“.

ამ ჩანაწერის ავტორს ილია ჰქვია.

**და რახან სოცქსელებში შევიხედეთ, ორ მაგალითსაც დავუმატებ, მხოლოდ ორს:**

„...ეს ფილმი ადამიანების სიყვარულსა და პატივისცემაზეა, იმ ადამიანებს შორისაც კი, რომლებიც დაპირისპირებულები აღმოჩნდნენ ტრაგიკული და სასტიკი ომის დროს. ვიმედოვნებ, რომ ვნახავ უფრო მეტ ასეთ რუსულენოვან ფილმს, რადგან მათ კვალზე ჩვენ, ყველანი, ცოტათი მაინც უკეთესები ვხდებით.

მე პირადად ძალიან მიყვარს ქართული კულტურა და კინო, ამიტომ ეს ფილმი ჩემთვის აბსოლუტურად მაგიური იყო. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა რეზო და ლეო გაბრიაძეებს, თემურ ბექმამბეთოვს (პროდიუსერს) და ყველას, ვინც ამ უჩვეულოდ მგრძნობიარე ფილმის შექმნაში მონაწილეობდა“ (**seriza**).

„ეს მულტიპლიკაციური ფილმი მდიდარია იმ ქართული საბჭოთა იუმორით, რომელიც რუსეთელებმა საქართველოს დამოუკიდებლობასთან ერთად დავკარგეთ“ (**aragorn**).

დანარჩენზე ზემოთ მოგახსენეთ — უადგილოდ ატანილ პოსტ სკრიპტუმში.

**არმაზ სანებლიძე**



**და მაინც P.P.S.**

**კინოკრიტიკოსებმა „ჰარი-ჰარალე, დედაო“ ახალ ჟანრს — დოკუმენტურ ანიმაციას მიაკუთვნეს. იმ ჟანრს, რომელიც პარადოქსულობისა და ოქსიუმორონის (მახვილგონივრული სისულელის) შეუთავსებლის შეთავსებით ხასიათდება, ისტორიული დოკუმენტისა და ფანტაზიის ნაყოფის შერწყმით. ამ გზით წარმოიქმნება ახალი არსობრივი ხარისხი, რომელსაც ფიგურებიც ეთქმის, და ეს ყველაფერი არისტოტელედან, ციცერონიდან, კვინტილიანიდან და ა.შ., ანტიკური რიტორიკიდან მოდის.**

**ეს ფილმი ცალკეული ეპიზოდებით, მომხიბლავი პატარა ნოველების მოზაიკით შეკრულ ერთ დიდ პანოდ წარმოგვიდგება.**

**კალმის რამდენიმე მოსმით არის გადმოცემული, ასეც შეიძლება ითქვას.**

**დასასრულ, „წარმოუდგენელია არ მოიხიბლო მთხრობელის საოცრად თბილი ხმით, კეთილი ღიმილით, ნახატი პერსონაჟების არაჩვეულებრივად რბილი და ჭკვიანური იუმორით და, რაც მთავარია, განსაკუთრებული ინტონაციური აქცენტებით, რომლებითაც რეზო თავისი ცხოვრების ისტორიას გადმოგვცემს“, — ასე თქვეს კინოკრიტიკოსებმა ჯერ კიდევ 2018-ში.**

**ჩვენ ორი წლით დავაგვიანეთ.**

**სირცხვილს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გადაგვარჩინა.**

**ა.ს.**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

სისტემა

**იალტა-პოტსდამის სისტემა კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა პოტსდამის დაწყებამდე; გეგმა „წარმოუდგენელის“ მიხედვით, 1945 წლის 1 ივლისს აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის სამხედრო ძალები ვერმახტის 10 დივიზიასთან ერთად თავს უნდა დასხმოდნენ სსრკ-ს და გაეჩაღებინათ ახალი ომი.**

# იალტა-პოტსდამიდან დღევანდელობამდე



იალტის კონფერენციაზე

**დღევანდელ სისტემურ მოდელში — გაერო, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი — არანაირ მრავალპოლუსიანობა არ შეიძლება არსებობდეს. ეს არის ბჟეზინსკის ზღაპრები მისი «დიდი საჭადრაკო დაფიდან». მხოლოდ ბრძოლაა კონტროლის ხელში ჩასაგდებად; თანაც ეფემერული, საყოველთაო ქაოსის გამოწვევით, თუკი დასავლეთი ამ კონტროლს მართლაც დაკარგავს**

**რა უძლოდა იალტა-პოტსდამის სისტემის შექმნას?**

მცირე ექსკურსი:

*** 1911 წელი — აშშ-ის უზენაესი სასამართლოს ანტიმონოპოლიური გადაწყვეტილება Standard Oil-ის (როკფელერის სანავთობე კორპორაცია) მიმართ: გაიყო 34 კომპანიად, ჯამურმა კაპიტალიზაციამ მყისვე მოიმატა 3,5-ჯერ. ოლიგარქიამ დაიწყო სანავთობე ექსპანსია;**

* 1912 წელი — **ვუდრო ვილსონის** პრეზიდენტად გაყვანა. არჩევნებს იგებდა პრეზიდენტი **უილიამ ტაფტი,** მაგრამ **როტშილდებთან** დაახლოებულ მორგანების კლანთან დაკავშირებული ვილსონის არჩევა უზრუნველყო რესპუბლიკელების რიგებში განხეთქილებამ, რომელიც გამოიწვია არჩევნებში „მესამე კანდიდატის — ექსპრეზიდენტ **თეოდორ რუზველტის** — მონაწილეობამ;

*** 1913 წლის სექტემბერი — ვენაში გამართულ სიონისტური მოძრაობის XI კონგრესზე ხელმძღვანელობის შეცვლა; როტშილდების კონტროლქვეშ გადასვლა და ინტეგრაცია ანგლოსაქსონურ ინტერესებთან (ბალფურის დეკლარაცია და ერთა ლიგის მიერ ინგლისისთვის მიცემული პალესტინის მანდატი);**

* 1913 წლის ბოლო — ფედერალური სარეზერვო სისტემის შექმნა: სპეცოპერაცია სამი ვარიანტით — მთავრითა და ყურადღების გადამტანებით. გეგმა მიღებული იქნა 1910 წლის 22 ნოემბერს ბანკირების საიდუმლო შეხვედრაზე, რომელიც ჯორჯიის ნაპირებთან, კუნძულ ჯეკილზე გაიმართა. შეხვედრას ხელმძღვანელობდა პოლკოვნიკი **ჰაუსი**, მოგვიანებით — ვილსონის მრჩეველი, რომელმაც პირადად შეარჩია ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველთა პირველი შემადგენლობა (კონგრესში პროექტი გაიტანა 5 ძმა როკფელერის ბაბუამ დედის მხრიდან, სენატორმა **ნელსონ ოლდრიჩმა**);

*** 1914 წელი — I მსოფლიო ომი: პოლიტიკური რესურსის კონსოლიდაციითა და მსოფლიოს ფინანსებზე კონტროლის დაწესების შემდეგ ოლიგარქია დაიძრა მსოფლიოზე ბატონობის მოსაპოვებლად. ერთა ლიგის პროექტი — ეს იყო მსოფლიოს მთავრობა ოთხი იმპერიის — რუსეთის, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და ოსმალეთის — ნანგრევებზე.**

**მცირე გადახვევა: რისთვის დასჭირდათ მონარქიების დანგრევა? იმისთვის, რომ წაერთმიათ მათთვის ძალაუფლების ორგანიზების დინასტიურობის პრინციპი და გადაეცათ ის ოლიგარქიული ბიზნესისთვის. და არჩევნებში მონაწილე პოლიტიკოსები ოლიგარქიის მარიონეტებად გადაექციათ.**

* 1917-1918 წლები — ვერსალის ზავის შედეგები გადაფარა ოქტომბრის რევოლუციამ; ეს იყო პირველი გლობალისტური პროექტის სისტემური კრახი. **უინსტონ ჩერჩილის** განცხადებით, „ბოლშევიკები წარმოადგენენ ინტერნაციონალს — დაწესებულებას და იდეას, რომელიც სრულიად უცხო და მტრულია ჩვენი ცივილიზაციისთვის“ (ე.ი. აღვნიშნოთ: ბოლშევიზმი არ შეესაბამება დასავლური გლობალიზმის ცივილიზებულ პროექტს);

*** 1920 წელი — აშშ უარს ამბობს ვერსალის ზავის რატიფიკაციაზე და არ შედის ერთა ლიგაში; კურსი აღებულია პირველი მსოფლიო ომის გადათამაშებაზე;**

* 1920 წლის მაისში მკვეთრად ეცემა ფედერალური სარეზერვო სისტემის ფსონები, რომლებსაც 1929 წლის თებერვალში მკვეთრად მაღლა სწევენ და ამით იწვევენ ე.წ. დიდ დეპრესიას. ამ აფერის საკვანძო ფიგურები იყვნენ ინგლისის ბანკის დირექტორი **მონტეგიუ ნორმანი** და აშშ-ის ფინანსთა მინისტრი (სამი ადმინისტრაციის პერიოდში!) ბანკირი **ენდრიუ მელანი;**

*** ბოლო მოვლენებს შორის, 1927 წლის თებერვალში, კონგრესმა შესწორებები შეიტანა ფედერალური სარეზერვო სისტემის შესახებ კანონში, გააუქმა 20-წლიანი შეზღუდვა აღნიშნული სისტემის უფლებამოსილებებზე და ეს უფლებები უვადოდ მიანიჭა, ამით კონგრესმა ოლიგარქებს ხელ-ფეხი გაუხსნა მაქინაციების ჩასატარებლად;**

* 1932 წელი — გერმანიის ყოფილი კანცლერი **ფრანც ფონ პაპენმა** კელნში **ჰიტლერი** წარუდგინა მონტეგიუ ნორმანსა და ძმებს — **ალენ** და **ჯონ ფოსტერ დალესებს;** ზუსტად ერთი წლის შემდეგ ფონ პაპენმა ჰიტლერი შეიყვანა გერმანიის ფინანსურ და სამრეწველო წრეებში, კიდევ ორი კვირის შემდეგ კი ჰიტლერი კანცლერი გახდა; რაიხსბანკის ხელმძღვანელად დაინიშნა მონტეგიუ ნორმანის პროტეჟე **იალმარ შახტი**, რომელიც ნორმანთან ერთად როტშილდების უახლოესი გარემოცვის წევრია. მანამდე შახტი ხელმძღვანელობდა ვაიმარის რაიხსბანკს, მაგრამ დატოვა თანამდებობა, როდესაც **ოუენის** რეპარტიული გეგმა შეიცვალა **იანგის** გეგმით, რომლის მიხედვითაც 1930 წელს შექმნეს საერთაშორისო ანგარიშების ბანკი. ეს ბანკი მოგვიანებით დასავლეთის მიერ ჰიტლერის დაფინანსების არხი იყო (გლობალური ხელისუფლების სისტემაში ეს ბანკი დღესაც „ტივტივებს“: აკონტროლებს ცენტრალური ბანკების ბაზელის კლუბსა და „ოცეულის ჯგუფის“ ფინანსური სტაბილურობის საბჭოს);

*** და ბოლო პუნქტი: გერმანიის მრეწველობის აღდგენა მოხდა ორი ჰოლინგის — I.G. Farbenindustrie-სა და Vereinigte Stahlwerke-ს მიერ. ეს ორი მმართველი კომპანიაა აშშ-ში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჰოლდინგები დაშალეს, მათი არქივები კი დაიკარგა. ასე წაიშალა კვალი.**

რა დასკვნების გაკეთება შეიძლება ამ ყველაფრიდან?

**მთავარი:** გლობალურმა ოლიგარქიამ გერმანული ნაციზმის კონსტრუქცია შექმნა „რუსული საკითხის“ გადასაჭრელად, რომელიც დღის წესრიგში დადგა ოქტომბრის რევოლუციის გამო. სწორედ ოქტომბრის რევოლუციამ გაწყვიტა დროებითი მთავრობის კავშირი საგარეო მართვასთან.

**ცნობისთვის:** ჰიტლერი — ანტანტის მიერ გაკონტროლებული გერმანიის სამხედრო დაზვერვის აგენტი, რომელიც გადაბირებული იყო 1919 წელს, რათა სათავეში ჩასდგომოდა **ანტონ დრექსლერის** გერმანიის მუშათა პარტიას; 1921 წელს, როცა მისი ლიდერი გახდა, სახელი გადაარქვა და უწოდა ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის მუშათა პარტია. ე.წ. ლუდის პუტჩის ჩაფლავების შემდეგ გადაიყვანეს მოქმედ რეზერვში, რომელშიც მისი და **რუდოლფ ჰესის** კურატორი იყო **კარლ ჰაუსჰოფერი** — გენერალი, გამოჩენილი გეოპოლიტიკოსი, ავტორი კონცეფციისა Lebensraum („ცხოვრებისეული სივრცე“), ოკულტისტი მისტიკოსი საიდუმლო საზოგადოება Thule-Gesellschaft-დან, მას ეკუთვნის „მაინ კამპფის“ ძირითადი იდეები, რომლებიც ჰიტლერს უკარნახა. თვითონ ჰიტლერმა კი მათი ვექტორი გაშალა აღმოსავლეთისკენ, რომელსაც, სხვათა შორის, ეწინააღმდეგებოდა ჰაუსჰოფერი.



კარლ ჰაუსჰოფერი და რუდოლფ ჰესი

ამრიგად, **მეორე მსოფლიო ომის წინ დასავლეთის სტრატეგია იყო ის, რომ ერთმანეთისთვის დაეჯახებინა გერმანია და საბჭოთა კავშირი, რათა შემდეგ ორივესთვის ეკარნახა თავისი ნება. ამას ადასტურებს რუსი მზვერავი-არალეგალი, გენერალი იური დროზდოვი; ეს 1941 წლის ივნისში აღიარა აშშ-ის მომავალმა პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა. ანგლო-ამერიკული გეგმა მდგომარეობდა იმაში, რომ დალოდებოდნენ მომენტს და ომში ჩართულიყვნენ თავიანთი პირობებით. და დაბრუნებოდნენ ახალი მსოფლიო წესრიგის პროექტს, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამ ჩააფლავა.**

ანტიჰიტლერული კოალიცია — ეს იყო დასავლეთის იძულებითი ნაბიჯი, რათა მოხვედრილიყვნენ გამარჯვებულთა წრეში და მონაწილეობა მიეღოთ ომის შემდგომი მსოფლიოს დანაწილებაში, თუმცა არა ისე, როგორც სურდათ, არა დამოუკიდებლად, არამედ საბჭოთა კავშირთან ერთად.

იალტა-პოტსდამის სისტემა ერთი მხარეა დასავლეთისთვის იძულებითი კომპრომისისა, მეორე მხარე — ამ ფონზე გაჩაღებული ცივი ომი: **ჯორჯ კენანის** „გრძელი ტელეგრამა“, **ჩერჩილის** სიტყვა ფულტონში, ნატოს და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა და სხვ.

**იალტა-პოტსდამის სისტემა კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა პოტსდამის დაწყებამდე; გეგმა „წარმოუდგენელის“ მიხედვით, 1945 წლის 1 ივლისს აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის სამხედრო ძალები ვერმახტის 10 დივიზიასთან ერთად თავს უნდა დასხმოდნენ სსრკ-ს და გაეჩაღებინათ ახალი ომი.**

ავანტიურისტები გამოაფხიზლა ამ თარიღის (1945 წლის 1 ივლისი) წინ საბჭოთა კავშირის არმიის ნაწილების გადაჯგუფებამ, რომლის შედეგადაც ანგლო-ამერიკელებმა დაინახეს, რომ მათი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის მხედართმთავრობისთვის ცნობილი იყო. შედეგად დაიკარგა მოულოდნელობის მომენტი და შანსი გამარჯვების მოსაპოვებლად. ამის შემდეგ სსრკ-ის წინააღმდეგ გამოიყენეს ატომური შანტაჟი, როცა აშშ-მა წარმატებით გამოსცადა ატომური ბომბი. სწორედ ამ შანტაჟით დაიწყო პოტსდამის კონფერენცია.

ამრიგად, **იალტა-პოტსდამის სისტემა — ეს არის ომის შემდეგ შექმნილი ბალანსის შედეგი, რომელიც ხელს არ აძლევდა დასავლეთს, ამიტომ ის გამუდმებით განიცდიდა შეტევას — დასავლეთის ატომური მონოპოლიის განმტკიცებიდან (ბარუხის გეგმა გაეროში) კარიბის ზღვის დონემდე დაპირისპირების ესკალაციამდე. როცა ცხა-** ▶

## სისტემა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ანტიჰიტლერული კოალიცია — ეს იყო დასავლეთის იძულებითი ნაბიჯი, რათა მოხვედრილიყვნენ გამარჯვებულთა წრეში და მონაწილეობა მიეღოთ ომის შემდგომი მსოფლიოს დანაწილებაში, თუმცა არა ისე, როგორც სურდათ, არა დამოუკიდებლად, არამედ საბჭოთა კავშირთან ერთად. იალტა-პოტსდამის სისტემა ერთი მხარეა დასავლეთისთვის იძულებითი კომპრომისისა, მეორე მხარე — ამ ფონზე გაჩაღებული ცივი ომი: ჯორჯ კენონის „გრძელი ტელეგრამა“, ჩერჩილის სიტყვა ფულტონში, ნატოსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა და სხვ.**

# მეორე მსოფლიო ომის წინ დასავლეთის სტრატეგია იყო ის, რომ ერთმანეთისთვის დაეჯახებინა გერმანია და საბჭოთა კავშირი, რათა შემდეგ ორივესთვის ეკარნახა თავისი ნება. ამას ადასტურებს რუსი მზვერავი-არალეგალი, გენერალი იური დროზდოვი; ეს 1941 წლის ივნისში აღიარა აშშ-ის მომავალმა პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა. ანგლო-ამერიკული გეგმა მდგომარეობდა იმაში, რომ დალოდებოდნენ მომენტს და ომში ჩართულიყვნენ თავიანთი პირობებით და დაბრუნებოდნენ ახალი მსოფლიო წესრიგის პროექტს, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამ ჩააფლავა

**◀ დი შეიქნა, რომ ომის გზით საბჭოთა კავშირს ვერაფერს დააკლებდნენ, ბრძოლაში ჩართეს ე.წ. რბილი ძალის ჰიბრიდული ვარიანტი და აამოქმედეს პროექტები:**

* რომის კლუბი, რომელშიც ჩართეს დასავლეთთან კომპრომისზე ორიენტირებული საბჭოთა ელიტის გავლენიანი ნაწილ;.

* განმუხტვის. სსრკ ჩაითრიეს ჰელსინკის პროცესში. შედეგი — **სსრკ-ის დაშლა.** სწორედ ეს სურდა დასავლეთს; სახელდობრ, იმიტომ, რომ საბჭოთა მეომრებს არავინ ელოდა ევროპის ცენტრში 1945 წელს, ასევე დღესაც ცდილობენ, არ დაუშვან გლობალური ბალანსის აღდგენა. განიხილავენ ყველა ვარიანტს და იმის მიხედვით, როგორ მიმდინარეობს ნატოს წვრთნებისთვის მზადება, ჩანს, რომ ისინი ამუშავებენ რუსეთთან სრულმასშტაბიანი ომისთვის.

მაგრამ მთავარი წნეხი მიმდინარეობს კომპრომისის „მეორე ვარიანტზე“, რომელიც დაშიფრულია „მრავალპოლუსიანი მსოფლიოს“ მითში, ვინაიდან **ნამდვილი მრავალპოლუსიანობა — ეს არის რამდენიმე დამოუკიდებელი ცენტრის არსებობა თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემებითა და ინსტიტუტებით, თანაც ეს ცენტრები ისე ძლიერია, რომ თითოეულ მათგანს მარტო შეუძლია დაუპირისპირდეს არა მხოლოდ ნებისმიერს, არამედ დანარჩენი ცენტრების კოალიციასაც კი.** მრავალპოლუსიანი სისტემა — ეს არის **მორტონ კაპლანის** „ერთპიროვნული ვეტოს“ სისტემა, ხოლო **დღევანდელ სისტემურ მოდელში — გაერო, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი — არანაირი მრავალპოლუსიანობა არ შეიძლება არსებობდეს. ეს არის ბჟეზინსკის ზღაპრები მისი „დიდი საჭადრაკო დაფიდან“. მხოლოდ ბრძოლაა კონტროლის ხელში ჩასაგდებად; თანაც ეფემერული, საყოველთაო ქაოსის გამოწვევით, თუკი დასავლეთი ამ კონტროლს მართლაც დაკარგავს.**



პოტსდამის კონფერენციაზე

## იალტა-პოტსდამის სისტემა — ეს არის ომის შემდეგ შექმნილი ბალანსის შედეგი, რომელიც ხელს არ აძლევდა დასავლეთს, ამიტომ ის გამუდმებით განიცდიდა შეტევას — დასავლეთის ატომური მონოპოლიის განმტკიცებიდან (ბარუხის გეგმა გაეროში) კარიბის ზღვის დონემდე დაპირისპირების ესკალაციამდე. როცა ცხადი შეიქნა, რომ ომის გზით საბჭოთა კავშირს ვერაფერს დააკლებდნენ, ბრძოლაში ჩართეს ე.წ. რბილი ძალის ჰიბრიდული ვარიანტი და აამოქმედეს პროექტები

ასეთი კონტროლის ხელში ჩაგდებას დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა ჩინეთი. ბოლო მოვლენები გვაჩენებს, რომ ამის იმედი ქრება. ამიტომაც ღრმავდება რუსეთ-ჩინეთის ინტეგრაცია, რომელსაც პოლიტკორექტულობიდან გამომდინარე კავშირს არ უწოდებენ, მაგრამ ეს საქმის არსს არ ცვლის. ეს არის კავშირი. მის ჩარჩოშიც დასავლეთს წარედგინება გლობალური ალტერნატივა, რომლის სტრუქტურაშიც იწყებს ჩამოყალიბებას:

* **ინსტიტუტების სისტემა** — თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაცია, ინფრასტრუქტურული ინვესტიციების აზიური ბანკი, განვითარების ახალი ბანკი; ბრიქსი (კავშირი 5 ქვეყნისა — ბრაზილიის, რუსეთის, ინდოეთის, ჩინეთისა და სამხრეთი აფრიკის) და სხვ.;

* გეოპოლიტიკური პროექტები — ევრაზიის ეკონომიკური კავშირი და „სარტყელი და გზა“, რომლებიც დაკავშირებულია დიდ ევროაზიურ პარტნიორობასთან.

**სააგენტო regnum.ru-ზე გამოქვეყნებული ვლადიმერ პავლენკოს წერილის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**P.S. რისთვის ვწერთ ყოველივე ამას? დაკვირვებული მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ზემოაღწერილ პროცესებში დასავლეთის თვალსა და ხელში საქართველოს აქვს გასახარჯი მასალის როლი. ეს უნდა ესმოდეს ყველას, ვინც ნატო-ამერიკა-ევროკავშირს გაიძახის, ისინი უნდა დაფიქრდნენ თავიანთ პასუხისმგებლობაზე ხალხისა და ქვეყნის წინაშე.**

„კონგრესში ფედერალური პროკურორის მოხსენებაში კონკრეტულ სახელებს ელოდებიან“, — განაცხადა წარმომადგენლობით პალატაში რესპუბლიკური პარტიის საპარლამენტო ორგანიზატორმა სტივენ სკელისმა ტელეარხ Fox News-ის ეთერში.

# ტრამპი ვენდეტას ამზადებს — იმპიჩმენტის წამომწყებებისთვის გზა გაჭყავთ ციხისკენ





სტივენ სკელისი



**სტივენ სკელისის** თქმით, ყველა, ვინც მონაწილეობდა **დონალდ ტრამპის** წინააღმდეგ აგორებულ კამპანიაში და პრეზიდენტის გადასაყენებლად თავის უფლებამოსილებას ბოროტად იყენებდა, გისოსებს მიღმა უნდა იყოს.

ამასთანავე, სკელისმა აღნიშნა, რომ ლაპარაკია არა მხოლოდ იმპიჩმენტის წამომწყებებზე, არამედ მათზეც, ვინც მონაწილეობდა სკანდალურ საქმეში „რუსეთის ჩარევის შესახებ“.

აშშ-ის პრეზიდენტის 6 თებერვლის განცხადებაზე საუბრისას, კონგრესმენმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ „ტრამპმა მიუთითა გარკვეულ უპატიოსნო პირებზე, კერძოდ, ბინძურ პოლიციელებზე“. აქ სკელისს მხედველობაში ჰყავდა აშშ-ის სამართალდამცავი ორგანოების მაღალჩინოსნები.

მან, აგრეთვე, აღნიშნა, რომ მოუთმენლად ელოდება კონექტიკუტის შტატის ფედერალური პროკურორის, **ჯონ დარემის,** მოხსენებას, რომლის მომზადებაც მას Russia Gate-ს წყაროების შემოწმების შემდეგ იუსტიციის სამინისტრომ დაავალა.

**„ადამიანებმა უნდა უპასუხონ,** — განაცხადა სკელისმა, — **გადააჭარბეს თუ არა თავიანთ უფლებამოსილებას, იმისთვის, რომ ფაქტობრივად, ჩამოეშორებინათ აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი. ამ ადამიანების ადგილი ციხეშია“.**

როგორც მედიასაშუალებები ადრე იუწყებოდნენ, ამერიკელმა სენატორებმა მხარი არ დაუჭირეს საბრალდებო მუხლებს ტრამპის იმპიჩმენტის პროცედურის ჩარჩოში. კერძოდ, 100-დან მხოლოდ 48 სენატორმა დაუჭირა მხარი პრეზიდენტის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესახებ. ამასთანავე, კონგრესისთვის ხელის შეშლაში პრეზიდენტის დადანაშაულებას მხარს უჭერდა აშშ-ის კონგრესის ზედა პალატის 47 წევრი.

**news-front.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სამმა ძლიერმა ძალამ შეძლო იმხანად დედამიწის ერთ მეექვსედზე გადაჭიმული უძლიერესი იმპერიის დაშლა და მისი ურთიერთშეთანხმებით გაყოფა, ხოლო მითურ მსოფლიო რევოლუციის კოცონზე ფიჩხის მაგივრად რუსი ხალხის დასაწვავად გამეტება. ამ უზარმაზარი ხალხის მასას ღმერთმა უშველა — კავკასიონის მთებს მიჯაჭვულ ამირანს ჯაჭვი გააწყვეტინა და რუს ხალხს მხსნელად მოუვლინა.**

# საუკუნის ღალატი

**რუსეთის თვალუწვდენელ იმპერიას ყოველთვის ჰყავდა ფარული თუ ხილული მტრები. ყველაზე დიდ ინტერესს რუსეთის იმპერიის მიმართ მასონები იჩენდნენ. ანგლო-საქსების გაერთიანებულმა მასონურმა ძალებმა სამი მხრიდან შეუტიეს რუსეთს: გერმანიიდან სპეცვაგონით ლენინი ჩამოვიდა, ამერიკიდან სპეციალური ხომალდით ტროცკი მოევლინა ქვეყანას თავისი „არმიით“, დიდი ბრიტანეთი კი მუდმივად იყო რუსეთში თავისი „მი-6“-ით (მი-6 დიდი ბრიტანეთის ყველაზე გასაიდუმლოებული და ყველაზე ძლიერი სპეცსამსახურია, რომელიც ოთხმოცდაათ სადაზვერვო ოფისს ფლობს მსოფლიოში).**

სამმა ძლიერმა ძალამ შეძლო იმხანად დედამიწის ერთ მეექვსედზე გადაჭიმული უძლიერესი იმპერიის დაშლა და მისი ურთიერთშეთანხმებით გაყოფა, ხოლო მითურ მსოფლიო რევოლუციის კოცონზე ფიჩხის მაგივრად რუსი ხალხის დასაწვავად გამეტება. ამ უზარმაზარი ხალხის მასას ღმერთმა უშველა — კავკასიონის მთებს მიჯაჭვულ ამირანს ჯაჭვი გააწყვეტინა და რუს ხალხს მხსნელად მოუვლინა.

იმპერიას მთავარი მოღალატე მოუკვდა და მის ადგილას თავისუფლებისა და ერთობის ხმალი აღიმართა, რომელმაც სძლია, როგორც შინაურ შეიარაღებულ თუ ფარულ მტრებს, ასევე გაერთიანებულ „12-თა შეტევას“ და დედამიწის ერთი მეექვსედი იხსნა კატასტროფისგან, რომელსაც მასონთა მთავარი კომისარი უპირებდა მთავარ მოღალატეთა შორის ტერიტორიებისა და ნედლეულის გადანაწილებას. 1929 წელს ჩატარებულმა საბჭოეთის კომუნისტური პარტიის მე-16 ყრილობას, რომელმაც გააოგნა მსოფლიო თავისი წარმატებით, შინაურმა თუ გარეულმა მტერმა თუ მოყვარემ გამარჯვებულთა ყრილობა უწოდა.

1921 წელს კი **სტალინმა** განაცხადა:

**„ჩვენ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს 50-100 წლით ჩამოვრჩებით. თუ ჩვენ ამ ჩამორჩენას 10 წელიწადში ვერ დავძლევთ და მათ ვერ დავეწევით, ისინი ჩვენ გაგვსრესენ“.**

გავიდა ათი წელიწადი და მსოფლიოს თექვსმეტმა დიდმა თუ პატარა სახელმწიფომ იარაღი აიღო ხელში საბჭოეთის წინააღმდეგ. 1941 წლის 22 ივნისს ჰიტლერი ვერაგულად დაესხა თავს საბჭოთა კავშირს. სტალინმა თავისი ძველი წინაპრების ანდაზები გაიხსენა: **„რუსები ომს არ იწყებენ, ისინი ომს ამთავრებენ“, „რუსი არ ბარდება, რუსი კვდება“.**

დამწვარ რაიხსტაგზე, როდესაც კედლებს ასუფთავებდნენ, ათასი მინაწერი გამოჩნდა. ერთ-ერთ კედელზე ყველაზე მაღლა ქართული წარწერა იყო: **„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.**

300 მილიონი კაცი სანთელს უნთებდა და გლოვობდა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ომში დაღუპულ რაინდებს.

საკოლმეურნეო მინდვრებზე, ფაბრიკა-ქარხნებში, ცაში თუ ხმელეთზე გუგუნებდა საბჭოთა ადამიანის არნახული გამძლეობითა და მონდომებით შექმნილი მძლავრი ტექნიკა თუ დამხმარე ნაკეთობანი. მტრისგან თუ ორგულისგან გასუფთავებული ხაზინა თანდათან ივსებოდა ოქროს ზოდებით, საკოლმეურნეო კალოები — მარცვლით, ფაბრიკა-ქარხნები — უმაღლესი ხარისხის ნაწარმით.

**სულ მალე, ომის დამთავრებიდან ოთხ წელიწადში, საბჭოთა უკიდეგანო სივრცე გააყრუა ატომური ზეძლიერი ბომბის აფეთქების ხმამ, რომელსაც მოჰყვა წყალბადის ბომბი, კოსმოსში გაშვებული თანამგზავრი და ადამიანის გასვლა ღია კოსმოსში.** სამასმა მილიონმა ადამიანმა სამართლიანად დაიმსახურა თავისუფალი საბჭოთა ადამიანის საპატიო სახელი, საბჭოთა კავშირმა — ამქვეყნიური სამოთხე, მისმა ბრძენმა ბელადმა კი — კრემლში მობინადრე ღმერთის სახელი. **ყველა ცივილიზაციას თავისი ღმერთი ჰყავს. თანამედროვე ცივილიზაციას 2000 წლის წინათ ჩაუყარა საფუძველი იესო ქრისტემ, ის 33 წლის იყო ბრბომ ჯვარზე რომ გააკრა, მაგრამ სამართლიანობისა და თანასწორობის იდეას, რომელიც ქრისტემ იქადაგა, აგერ უკვე ოცი საუკუნეა, მტკიცედ იყენებენ ჩაგრულთა დასაცავად.**

მაინც ვინ იყვნენ ის ბარბაროსები, რომლებმაც თავიანთი ღმერთი სიცოცხლეს გამოასალმეს, ან როგორ იყო ღმერთი, როდესაც იგი მოკვდავმა ადამიანებმა მოკლეს? — სწორედ ეს კითხვები აწვალებს და სტანჯავს საქრისტიანოს და არა მხოლოდ მას.

**როგორც ამბობენ, ჩვენ თანამედროვე ცივილიზაციის ბოლო ეტაპზე ვდგავართ. თუ როგორ შეიცვლება არსებული ცივილიზაცია ახლით, ალბათ, მოფიქრებული და გადაწყვეტილიცაა, მაგრამ სამართლიანობა და თანასწორუფლებიანობა მომავალ ცივილიზაციაში უპირველესი რომ იქნება, ამის საფუძველს სწორედ თანამედროვე ცივილიზაციის ის ბოლოდროინდელი მახინჯი ფორმები ადასტურებს, რომლის გამოც, ალბათ, კიდევ უფრო დაჩქარდება პლანეტის მომავალი. ცივილიზაციის შეცვლის კონცეფცია არ ეხება მხოლოდ ერთ სახელმწიფოს და ერთ კონტინენტს, შესაცვლელია პლანეტაზე ნიადაგი, ატმოსფერო, ფლორა და ფაუნა. აღსანიშნავია, რომ ღმერთის რწმენა ადამიანთა მცირე ნაწილში შემორჩა და ისიც სხვის დასანახავად და მოსატყუებლად.**

იქნება თუ არა მარადიული ახალი ცივილიზაცია? — ალბათ, არა, რადგან უცვლელი და მუდმივი არაფერი არსებობს. ახალი ცივილიზაციის ხანგრძლივობა ადამიანების გონიერებასა და ქცევის ნორმებზე იქნება დამოკიდებული.

**რა ჰქონდა და რა უდევს საფუძვლად თანამედროვე ცივილიზაციას? — სახარების ათი მცნება — ეს გონივრული ზოგადი დებულება არის ყველა ჯურის, ფერისა და კონტინენტის ადამიანთა ცხოვრების უკეთილშობილესი მიზანი. ამ მიზნის ღვთაებრივი ავტორი იყო ძე კაცისა სახელად იესო (ქრისტე).**



**რა იქნება მომავალი ცივილიზაციის ქვაკუთხედი?** — სამართლიანობა და თანასწორუფლებიანობა, უკლასო საზოგადოება, სადაც „აქლემი უფრო გაძვრება ნემსის ყუნწში“, ვიდრე ერთი კაცი მილიარდებს დაეუფლება.

**ასეთ საზოგადოებას საფუძველი ჩაეყარა სოციალიზმის ბოლო ეტაპზე, რომელმაც სულ 30 წელიწადი იარსება და მას სტალინიზმის სახელით იცნობს სრულიად მსოფლიო, როგორც ამქვეყნიურ სამოთხეს.**

**ვინ იყვნენ ის ბარბაროსები, რომლებმაც სამოთხე დაარბიეს და ღმერთი მოკლეს?**

1991 წლის 29 ივნისს, ორშაბათს, გვიან საღამოს, მოსკოვის საერთაშორისო აეროპორტში განსაკუთრებული დაცვის ქვეშ თვითმფრინავი დაეშვა. წითელი ხალიჩით გაწყობილ ლაინერის კიბეზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი **ჯორჯ ბუში** გამოჩნდა — ერთ კაცში გაერთიანებული აშშ-ის ორი უმაღლესი თანამდებობის ყველაზე არაპროფესიონალი ხელმძღვანელი, პრეზიდენტობამდე ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უფროსის, ხოლო შემდეგ ამერიკის პრეზიდენტის სავარძლის მფლობელი.

**აშშ-ის პრეზიდენტის სსრკ-ში ჩამოსვლის გამოცხადებული მიზანი იყო განიარაღების დოკუმენტზე ხელის მოწერა, რომელსაც ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში შეხვედრისას ჩაეყარა საფუძველი (ეს ფორმალურად). ძირითადი და მთავარი, რასაც პრეზიდენტის ვიზიტი ითვალისწინებდა, შეთქმულებთან მოლაპარაკება, მონაწილეთა წათამამება და დაპირებები იყო დავალებების კარგად შესრულებისთვის.**

მეორე დღეს, 30 ივნისის, 15 საათზე, ნოვო-ოგარიოვოში გაიმართა ერთი-ერთზე შეხვედრა გორბაჩოვთან, იმავე დღეს ერთი-ერთზე შეხვედრა გაიმართა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი რესპუბლიკის ხელმძღვანელბორის **ელცინთანაც.** რა თემაზე უნდა ჰქონოდათ საუბარი აშშ-ის პრზიდენტსა და რესპუბლიკის ხელმძღვანელს ყველასთვის გაუგებარი იყო.

31 ივნისს ნოვო-ოგარიოვოში ჯორჯ ბუშთან გამოცხადდა ყაზახეთის ლიდერი **ნურსულთან ნაზარბაევი.** ასევე უპასუხოდ დარჩა კითხვა, თუ რა მიზანი ჰქონდა ამ შეხვედრას. იმავე დღეს, ნაზარბაევთან საუბრის შემდეგ, ჯორჯ ბუში სასწრაფოდ გაფრინდა კიევში უკრაინის ხელმძღვანელ **ლეონიდ კრავჩუკთან** მოსალაპარაკებლად. უკრაინაში კრავჩუკთან საიდუმლო შეხვედრის შემდეგ, პრეზიდენტ ბუშის თვითმფრინავმა კურსი ამერიკის შეერთებული შტატებისკენ აიღო.

დასრულდა ყველაზე დიდი ტრაგედიის მოსამზადებელი სამუშაოები. აუცილებლობის შექმნის ძირითადი საკითხები გადაწყვეტილია. დადგა გარდაქმნის საჭიროება.

საჭიროებამ თვითონ შექმნა მიზანი. მიზანი თვითონ ქმნის ენერგიას, ენერგიამ უნდა გამოიწვიოს ქმედება, ქმედება იღებს შედეგს, შედეგი კი აუცილებლობის შექმნის მიზეზად გადაიქცევა.

**ამ მხრივ ყველაზე თვალსაჩინოა იური ანდროპოვის მიერ ჩაფიქრებული და მიხეილ გორბაჩოვის მიერ განხორციელებული ვითომ ლოთობის წინააღმდეგ გატარებული კამპანია, რომელმაც 300 მილიარდი მანეთით დააზარალა სახელმწიფო, თანაც ხალხის აღშფოთება (ზოგის სიმპათია) დაიმსახურა. დაიხურა არყის მწარმოებელი ქარხნები. არანაკლები ფინანსური და მორალური ტრავმა მიაყენა ქვეყანასა და ხალხს კავშირის მასშტაბით, სიგარეტის დამამზადებელი ფაბრიკების დახურვამ, რომელიც ადამიანებს უიმედობისკენ, ქვეყანას კი კატასტროფისკენ უბიძგებდა.**

ხორციელდებოდა გრანდიოზული პროექტები ▶

**აშშ-ის პრეზიდენტის სსრკ-ში ჩამოსვლის გამოცხადებული მიზანი იყო განიარაღების დოკუმენტზე ხელის მოწერა, რომელსაც ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში შეხვედრისას ჩაეყარა საფუძველი (ეს ფორმალურად). ძირითადი და მთავარი, რასაც პრეზიდენტის ვიზიტი ითვალისწინებდა, შეთქმულებთან მოლაპარაკება, მონაწილეთა წათამამება და დაპირებები იყო დავალებების კარგად შესრულებისთვის**



ბორის ელცინი, მიხეილ გორბაჩოვი და ჯორჯ ბუში

**ყველა ცივილიზაციას თავისი ღმერთი ჰყავს. თანამედროვე ცივილიზაციას 2000 წლის წინათ ჩაუყარა საფუძველი იესო ქრისტემ, ის 33 წლის იყო ბრბომ ჯვარზე რომ გააკრა, მაგრამ სამართლიანობისა და თანასწორობის იდეას, რომელიც ქრისტემ იქადაგა, აგერ უკვე ოცი საუკუნეა, მტკიცედ იყენებენ ჩაგრულთა დასაცავად.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ჩვენ თანამედროვე ცივილიზაციის ბოლო ეტაპზე ვდგავართ. თუ როგორ შეიცვლება არსებული ცივილიზაცია ახლით, ალბათ, მოფიქრებული და გადაწყვეტილიცაა, მაგრამ სამართლიანობა და თანასწორუფლებიანობა მომავალ ცივილიზაციაში უპირველესი რომ იქნება, ამის საფუძველს სწორედ თანამედროვე ცივილიზაციის ის ბოლოდროინდელი მახინჯი ფორმები ადასტურებს, რომლის გამოც, ალბათ, კიდევ უფრო დაჩქარდება პლანეტის მომავალი. ცივილიზაციის შეცვლის კონცეფცია არ ეხება მხოლოდ ერთ სახელმწიფოსა და ერთ კონტინენტს, შესაცვლელია პლანეტაზე ნიადაგი, ატმოსფერო, ფლორა და ფაუნა. აღსანიშნავია, რომ ღმერთის რწმენა ადამიანთა მცირე ნაწილს შემორჩა და ისიც სხვის დასანახავად და მოსატყუებლად**



მარცხნიდან: ლეონიდ კრავჩუკი, ნურსულთან ნაზარბაევი და ბორის ელცინი

◀ ქვეყნის ხელოვნური გზით ჩამოშლის აუცილებლობისა:

*** საუდის არაბეთს ხელოვნურად შეამცირებინეს ნავთობის ფასი, რასაც საბჭოთა კავშირისთვის სასიკვდილო შედეგები მოჰყვა;**

* „პერესტროიკის“ სტრატეგიის მიხედვით, მოხდა მსოფლიოში არნახული ტრაგედია, რომელმაც გააოგნა მსოფლიო — ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქებამ აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა, როგორც ბუნებას, ისე საბჭოთა კავშირის ხალხებს;

*** გაწერილი გეგმის მიხედვით, საბჭოთა კავშირის ნგრევისა და მისი პრესტიჟის ნულზე დაყვანის კულმინაციას წარმოადგენდა მოსკოვში, წითელ მოედანზე (იქ, სადაც სტალინის ფეხქვეშ იყრებოდა დამარცხებული გერმანელების დროშები და შტანდარტები) გერმანელ მფრინავ მათიას რუსტის მიერ სპორტული თვითმფრინავის დასმა, რასაც მოჰყვა წითელი არმიის სრული დეზორგანიზაცია და ამას შეეწირა 160 მარშალი და გენერალი. ეს მთელი თავდაცვის განიარაღება იყო. ბოლო სტადიას წინ უძღოდა ანდროპოვის მიერ წარმოებული ძირგამომთხრელი საქმიანობა, რომელმაც საბოლოო კრახამდე მიიყვანა ზემძლავრი სახელმწიფო;**

* მეტად საეჭვო მდგომარეობაში დაიძინა და ველარ გაიღვიძა საბჭოთა კავშირის მარშალმა, სსრკ-ის თავდაცვის იმჟამინდელმა მინისტრმა **უსტინოვმა;**

*** მანამდე კიდევ უფრო დამაეჭვებელი და უცნაური სიკვდილით დაიღუპა ბელორუსიის ცეკას პირველი მდივანი მაშეროვი, რომლის დაჯავშნილი მანქანა შესაკეთებლად დააყენეს, ხოლო დაცვის უფროსი შეუცვალეს, სოფლის გზაზე მაშეროვის ავტომობილს ტრაქტორი დაეჯახა და ბელორუსიის ცეკას პირველი მდივანი ადგილზე გარდაიცვალა;**

* იმავე წელს ბაიდარით სეირნობისას მოულოდნელად გარდაიცვალა **კოსიგინი** — საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;

*** 1982 წელს დახვრიტეს ანდროპოვის პირველი მოადგილე ცვიგუნი;**

* 1982 წლის გაზაფხულზე თავდასხმა მოეწყო მოსკოვის ქალაქკომის პირველ მდივან გრიშინზე;

*** როგორც მაშეროვი, ავტოკატასტროფაში გარდაიცვალა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ პატარიძე, იმავე წელს უგზო-უკვლოდ დაიკარგა მედუნოვის საქმის მთავარი ფიგურანტი, გელენჯიკის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი პოგოდინი;**

* 1981 წელს საეჭვო მდგომარეობაში გარდაიცვალა **სუსლოვი.** სამსახურში წასვლის წინ ექიმმა მას ურჩია, მიეღო აბი, რომელიც მიაწოდა. წამლის მიღების შემდეგ სუსლოვი ცუდად შეიქნა და რამდენიმე საათის შემდეგ გარდაიცვალა. გარდაცვალებისთანავე მის ადგილზე ანდროპოვი დაინიშნა. აღსანიშნავია, რომ სუსლოვის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ ის ახალგაზრდა ექიმიც უეცრად გარდაიცვალა, რომელმაც სუსლოვს ტაბლეტი მიაწოდა;

* 1982 წელს მოკვდა **ლეონიდ ბრეჟნევი.** როგორც ამბობენ, ისიც საეჭვო ვითარებაში. ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ სიკვდილის მომენტში მის გვერდით არ აღმოჩნდა არც ერთი ექიმი, როდესაც სხვა დროს მის ჯანმრთელობას თვალყურს ადევნებდა ექიმთა ჯგუფი;

* თავის სამუშაო კაბინეტში მკვდარი იპოვეს უმაღლესი საბჭოს მდივანი **მიხეილ გიორგაძე;**

* 1984 წელს დახვრიტეს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი **შჩოლოკოვი.**

1984 წლის ოქტმბრის ბოლოს საბჭოთა კავშირის მარშალი, შეიარაღებული ძალების მინისტრი **უსტინოვი** გაემართა ჩეხოსლოვაკიაში, ვარშავის პაქტის ქვეყნების დიდი სამხედრო წვრთნების დასათვალიერებლად. წვრთნების წარმატებით დამთავრების ბოლოს, საღამოს გაიმართა ვახშამი ღია ცის ქვეშ, იმავე დღეს სამშობლოში დაბრუნებული მარშალი შეუძლოდ შეიქნა, დეკემბერში კი უსტინოვი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ამავე დღეს, გორბაჩოვი მეუღლე **რაისასთან** ერთად ოფიციალური ვიზიტით ინგლისში გაფრინდა პრემიერმინისტრთან შესახვედრად, მათ მიჰქონდათ საჩუქარი რკინის ლედისთან. გორბაჩოვისა და **მარგარეტ ტეტჩერის** შეხვედრა ოფიციალურ ვიზიტს შეიარაღების შემცირებაზე საფუძველი არ ჰქონდა, რადგან გორბაჩოვს არ ახლდა არათუ თავდაცვის მინისტრი, არამედ რომელიმე მაღალჩინოსანი სამხედროც კი ან თუნდაც სამხედრო ექსპერტი. შეხვედრა შეხვედრისთვის იყო გამიზნული. მარგარეტ ტეტჩერს გორბაჩოვმა სიამაყით გადასცა საბჭოთა კავშირის თავდაცვის ზესაიდუმლო რუკა. ამ რუკაზე აღნიშნული იყო ყველა ადგილი, რომლებზეც განლაგებული იყო ის ბირთვული რაკეტები, რომლებიც დამიზნებული იყო ინგლისისა თუ მსოფლიოს სხვადასხვა სტრატეგიულ ობიექტზე.

გაოცებული მარგარეტ ტეტჩერი ხან რუკას დახედავდა, ხან გაკვირვებით მიაპყრობდა მზერას გორბაჩოვს.

— ქალბატონო პრემიერმინისტრო, ჩვენ ამით უნდა დავასრულოთ, — მიმართა გორბაჩოვმა.

— დიახ, — უპასუხა მასპინძელმა და გადახედა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს — „მი-6“-ის (სადაზვერვო სამსახურის) დირექტორს.

* აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გულის მწვავე უკმარისობით, ერთმანეთის მიყოლებით გარდაიცვალენ: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის თავდაცვის მინისტრები, რომლებიც იმ საღამოს ვახშამს ესწრებოდნენ ჩეხოსლოვაკიაში.

**ასე მზადდებოდა მსოფლიოს უდიდესი ტრაგედია ათეული წლების განმავლობაში, რომლის საბოლოო შედეგიც 1991 წლის 8 დეკემბერს დადგა.**

1991 წლის 24 მაისს კრემლის სხდომათა დარბაზში გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი, რომელზეც მიგვიწვიეს ქართველი კომუნისტებიც, თუმცა საქართველოს დამოუკიდებლობა უკვე გამოცხადებული ჰქონდა და ჩვენც ფორმალურად დავირქვით დამოუკიდებელი საქართველოს კომუნისტური პარტია. პლენუმს საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ჯიმი მიქელაძე**, მდივნები: **სერგო რიგვავა** და მე, **გრიგოლ ონიანი,** ვესწრებოდით. ჩვენ, როგორც საპატიო სტუმრები, დარბაზის პირველ და მეორე რიგებში დაგვსვეს. ჩვენ გვერდით ისხდნენ საბჭოთა კავშირის მარშალი **იაზოვი,** შინაგან საქმეთა მინისტრი **პუგო,** „კა-გე-ბე“-ს უფროსი **კრიუჩკოვი** და ყველა ის, ვინც პრეზიდიუმის მაგიდას არ უჯდა.

განიხილებოდა საკითხი: **„პარტიის შემდგომი ამოცანები, გარდაქმნის პერიოდი“.** პლენუმზე სიტყვით გამოვიდა ქვეყნის პირველი პრეზიდენტი და ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მიხეილ გორბაჩოვი. მოხსენება იდენტური იყო ყველა იმ მოხსენებისა, რომლებიც იკითხებოდა ყველა პლენუმზე თუ ყრილობაზე, იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში არც ერთხელ ტაში არ დაკრულა. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. ვამბობ კამათს, მაგრამ ეს არ იყო კამათი. ეს იყო ბრძოლა არსებობისთვის, თვითგადარჩენისთვის. ეს იყო ყველას ბრძოლა ერთის წინააღმდეგ. პლენუმის ერთი მეოთხედი, რომელიც თითქოს გამოყოფილი იყო საერთო დარბაზიდან, იყვნენ მაღალი რანგის სამხედროები და სწორედ იმ სექტორიდან გაიგონებდით, ხან აღშფოთებულ შეძახილებს და ხან — მწარე შეგინებას.

აქტიურობდნენ სიტყვაში გამომსვლელი ქალები, რომლებიც ხანდახან ჩამოდიოდნენ ტრიბუნიდან და პირდაპირ პრეზიდიუმის მაგიდასთან მჯდომ გორბაჩოვს ცხვირწინ მუშტებს უქნევდნენ. ასე გაგრძელდა თითქმის სამ საათს. **იანაევი,** რომელსაც პლენუმი მიჰყავდა, შესვენებას აცხადებდა, მაგრამ პლენუმის მონაწილენი უარს ამბობდნენ შესვენებაზე. გორბაჩოვმა სიტყვა იანაევს სთხოვა და ტრიბუნაზე ავიდა. მახსოვს მისი სიტყვები:

„მე პრეზიდენტი ვარ და ჩემი აღმზრდელი კომუნისტური პარტია მინდა გადავარჩინო ჩემი პრეზიდენტობით, თქვენ კი აქ მუშტებს მიღერებთ და შეურაცხმყოფთ, მეც ადამიანი ვარ და ნერვები მეც მაქვს. და, თუ ასეთი ხელის შემშლელი ვარ თქვენთვის, კომუნისტებისთვის, მე ვაცხადებ, რომ გადავდექი პარტიის გენერალური მდივნის თანამდებობიდან“, — თქვა გორბაჩოვმა და გასასვლელისკენ გაემართა.

მთელი დარბაზი ოვაციისგან ინგრეოდა. ყვიროდნენ: **„გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს! ძირს გორბაჩოვი და ელცინი!“**

ამ ოვაციაში იანაევმა შესვენება გამოაცხადა და ყველა გორბაჩოვს დაედევნა.

უცებ პლენუმის მონაწილეებში ხმა დაირხა, გენერალურ მდივნად სხდომის მეორე ნაწილში გრაჩოვი უნდა ავირჩიოთო. ავღანეთის გმირი ყველასთვის ნაცნობი იყო. ყველა მივდიოდით მასთან, ვესალმებოდით და ვულოცავდით თანამდებობას და მხარდაჭერას აღვუთქვამდით.

ზარი დაირეკა. სხდომის მეორე ნაწილი იწყებოდა. ყველა მონაწილე ხალისით შევედით დარბაზში, დგებოდა ნანატრი წუთები. პარტიის მოღალატე პლენუმზე პარტიიდან უნდა გაგვერიცხა. ჩვენს ადგილებზე დავსხედით. დარბაზში სრული სიჩუმეა. პრეზიდიუმში შემოდის პოლიტბიუროს მთელი შემადგენლობა. წინ გორბაჩოვი მოუძღვის. დარბაზში ჩოჩქოლი ატყდა. შემოსვლისთანავე სიტყვის წარმოთქმა იანაევმა დაიწყო და პლენუმის წევრებს მოგვილოცა, რომ პარტია გადარჩა და ბევრი თხოვნის შემდეგ გორბაჩოვი რჩება გენერალური მდივნის თანამდებობაზე.

ფეხზე წამოიშალა პლენუმის მთელი შემადგენლობა, ყველა თავის ენაზე აგინებდა გორბაჩოვსა და იანაევს, სამხედროებმა დემოსტრატიულად დატოვეს პლენუმის დარბაზი. დარბაზი ნელ-ნელა ცარიელდებოდა ყოველგვარი გადაწყვეტილების მიღების გარეშე. პლენუმი მთელმა შემადგენლობამ დატოვა.

**(გაგრძელება იქნება)**

**P.S. მადლობას მოვახსენებ ზურაბ მაისურაძეს — პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეს, იმ შესანიშნავი ნაშრომისთვის, რომლიდანაც ვისარგებლე ზოგიერთი მასალის მოპოვებისას.**

მაიდნის ექო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პროცესი, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „მარინჩენკო-ტამტურას საქმე" (სინამდვილეში, მათ გარდა, კიდევ სამი ყოფილი „ბერკუტელია" ბრალდებული), 5 წელია, მიმდინარეობს. 2015 წლის 24 თებერვალს კიევის სასამართლომ გამოიტანა განაჩენი მათი დაპატიმრების შესახებ: მთავარი პროკურატურის ვერსიით, უკრაინაში ისინი მონაწილეობდნენ „საპროტესტო აქციის მონაწილეთა დახვრეტაში 2014 წლის 20 თებერვალს ინსტიტუტის სახელობის ქუჩაზე", ამ ხნის განმავლობაში — 2019 წლის ბოლომდე, ისინი საგამოძიებო იზოლატორში იმყოფებოდნენ. შემდეგ სასამართლომ შეცვალა თავისუფლების აღკვეთის ზომა — ტამტურასა და მარინჩენკოს საშინაო პატიმრობა მიუსაჯეს.**

# სიმართლე ევრომაიდანზე თანდათან სააშკარაოზე გამოდის

## ამაზე უკრაინული «ბერკუტის» მებრძოლებიც იტყვიან თავის სათქმელს




**სრულიად უკრაინა განიხილავს, ერთი შეხედვით, გიჟურ გადაწყვეტილებას, რომელიც მიიღეს კიევსა და არაღიარებულ რესპუბლიკებს შორის ცოტა ხნისწინანდელი გაცვლის მონაწილეებმა. სპეცდანაყოფ „ბერკუტის" ყოფილი წევრები, რომლებსაც 2013-2014 წლებში მაიდანზე მიმდინარე აქციების პერიოდში მკვლელობებში ადანაშაულებენ, კიევში დაბრუნდნენ. რატომ დაბრუნდნენ ისინი უკრაინის დედაქალაქში, სადაც ცოტა ხნის წინათ იზოლატორში ისხდნენ, და რა ელით მათ?**




8 თებერვალს სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია: „სპეცდანაყოფ „ბერკუტის" ყოფილი წევრები — ალექსანდრე მარინჩენკო და სერგეი ტამტურა კიევში დაბრუნდნენ. ისინი ჩავიდნენ დონეცკიდან, სადაც 2019 წლის ბოლოს გაგზავნეს გასაცვლელად".

იმისათვის, რომ გავიგოთ, ეს რას ნიშნავს, მცირე ექსკურსი გავაკეთოთ უახლეს ისტორიაში.

### საგამოძიებო იზოლატორიდან – გასაცვლელთა სიაში

პროცესი, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „მარინჩენკო-ტამტურას საქმე" (სინამდვილეში, მათ გარდა, კიდევ სამი ყოფილი „ბერკუტელია" ბრალდებული), 5 წელია, მიმდინარეობს. 2015 წლის 24 თებერვალს კიევის სასამართლომ გამოიტანა განაჩენი მათი დაპატიმრების შესახებ: მთავარი პროკურატურის ვერსიით, უკრაინაში ისინი მონაწილეობდნენ **„საპროტესტო აქციის მონაწილეთა დახვრეტაში 2014 წლის 20 თებერვალს ინსტიტუტის სახელობის ქუჩაზე".** ამ ხნის განმავლობაში — 2019 წლის ბოლომდე, ისინი საგამოძიებო იზოლატორში იმყოფებოდნენ. შემდეგ სასამართლომ შეცვალა თავისუფლების აღკვეთის ზომა — ტამტურასა და მარინჩენკოს საშინაო პატიმრობა მიუსაჯეს (24 ოქტომბრიდან 19 დეკემბრამდე), ახალი წლის წინ კი ისინი ჩართეს გასაცვლელთა სიაში. იმხანად უკრაინამ ლუგანსკისა და დონეცკის სახალხო რესპუბლიკებს 123 კაცი გადასცა და მიიღო 76.

ნაციონალისტები და **პოროშენკოს** პარტიის მომხრეები აპროტესტებდნენ „ბერკუტის" ყოფილი თანამშრომლის ჩართვას გასაცვლელთა სიაში, მაგრამ უკრაინის პრეზიდენტმა **ზელენსკიმ** სხვაგვარად გადაწყვიტა.

### არაფერი დასრულებულა, ყველაფერი ახლა იწყება

გაცვლის შემდეგ „ბერკუტელთა" ადვოკატებმა განაცხადეს, რომ ამ ისტორიაში წერტილის დასმა ნაადრევია. მათი თქმით, მათი დასაცავების გასაცვლელთა სიაში ჩასმის ფაქტით ხელისუფლებამ აღიარა პროცესის პოლიტიკური ხასიათი, ხოლო **მიზეზი, რომლითაც „ბერკუტელებმა" მიაღწიეს გაცვლას, არის პოროშენკოს რეჟიმის უარი, ობიექტურად გამოეძიებინა 2014 წლის თებერვლის მოვლენები და სურვილი, დარტყმა აეცილებინათ ნამდვილი დამნაშავეებისთვის.**

**„მაიდნის საქმის გადაწყვეტა, პოლიტიკური თვალსაზრისით, დევს 2014 წლის თებერვლის მოვლენების სამართლებრივ შეფასებაში საზოგადოების მხრიდან, იურიდიული თვალსაზრისით — ადეკვატურ სამართლებრივ შეფასებაში, რომელიც ითვალისწინებს ბრალდების კორექციას ჩვენი დასაცავების მიმართ ან ამნისტიას 2014 წლის დაპირისპირების ყველა მონაწილისთვის, მათ შორის, სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებისთვის",** — დაწერეს იმხანად ადვოკატებმა უკრაინის პრეზიდენტის სახელზე გაგზავნილ წერილში.

მათ მხარი დაუჭირა იურისტმა **ანდრეი პორტნოვმა.** „ბერკუტის" გათავისუფლებული თანამშრომლები არსად არ უნდა გაიცვალონ. საჭიროა სასამართლოში სიარული, გამამართლებელი განაჩენის მოპოვება და დადგენა იურიდიული ფაქტებისა, რომლებიც საჭირო იქნება მომავალში, როცა გაჩნდება გადამწყვეტი ნება მკაცრი ზომების გამოსაყენებლად".

პორტნოვი უწინ თვითონ იყო „ბერკუტელთა" მსგავსი: სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ის იძულებული შეიქნა, გაქცეულიყო უკრაინიდან და დაბრუნდა მხოლოდ ვლადიმერ ზელენსკის ინაუგურაციის წინ. როდესაც იანუკოვიჩი პრეზიდენტი იყო, პორტნოვი მისი გარემოცვის წევრად ითვლებოდა. განვითარებულმა მოვლენებმა (იანუკოვიჩის მომხრეების თვითმკვლელობებმა 2014 წლის გაზაფხულზე) დაადასტურა, რომ პოტრნოვი სასამართლომდე ცოცხალი, დიდი ალბათობით, ვერ მიაღწევდა.

ამიტომ გასაკვირი არ არის პორტნოვის გამოხმაურება: „ეს არის კიდევ ერთი სიგნალი, მიმართული ე.წ. ღირსების რევოლუციის მიმდინარეობისას მასობრივი მკვლელობის მონაწილეთა დემითოლოგიზაციისა და დეჰეროიზაციისთვის. და, რა თქმა უნდა, ჩვენ მხარს ვუჭერთ მათ საჯარო მოთხოვნას, გაუქმდეს კანონი არეულობის მომწყობთა ამნისტიის შესახებ".

### გაცვლა კი არა, გაქცევება

სხვათა შორის, არც ეს არის ყველაფერი. უწინარესად, იმიტომ, რომ მათი არყოფნისას კიევში გრძელდებოდა საქმის განხილვა, თუმცა ეს აკრძალულია უკრაინის კანონმდებლობით. მეორე — მხოლოდ შობა-ახალი წლის დღესასწაულების შემდეგ შეძლეს ადვოკატებმა დეკემბერში განხორციელებული გაცვლის დეტალების ფართო საზოგადოებამდე მიტანა. **ამ გაცვლის, აგრეთვე, თავიანთი დასაცავების ბედის შესახებ ადვოკატები იგებდნენ მხოლოდ მედიასაშუალებებში გავრცელებული ინფორმაციით, რადგან დეკემბრის ბოლოდან კავშირი აღარ ჰქონდათ კლიენტებთან. „რატომ მოხვდნენ ბიჭები გასაცვლელთა სიაში, როგორ მოხდა ეს, ჩვენთვის უცნობია. ჩვენ არ ვყოფილვართ მოლაპარაკებებში ჩართული და ჩვენთვის არავის არაფერი უცნობებია", — განაცხადა ადვოკატმა ალექსანდრე გოროშინსკიმ ინტერნეტგამოცემა „სტრანა.უა"-სთვის მიცემულ ინტერვიუში.**

**საეჭვოა, «ბერკუტის» ყოფილ წევრებს რამე ილუზია ჰქონდეთ უკრაინის მართლმსაჯულების მიმართ. ამის მიუხედავად, დღეს ისინი კიევში არიან. რატომ? უწინარესად, იმიტომ, რომ საქმის ბოლომდე მიყვანის მცდელობა მათ გაცვლამდეც ჰქონდათ არაერთხელ; მეორე — მათ, ალბათ, ესმით, რომ საქმე მხოლოდ ორ ადამიანს არ ეხება. ამასთანავე, ერთადერთი პირობა, რომლითაც ისინი შეიძლება გამართლდნენ, სასამართლო პროცესის პოლიტიკური ხასიათის აღიარებაა «ბერკუტის» ყოფილი თანამშრომლების მიმართ. აქედან, თავის მხრივ, ნახევარი ნაბიჯი რჩება კიდევ ერთ აღიარებამდე: ევრომაიდანი უნდა აღიარონ სახელმწიფო გადატრიალებად, რომლის პროვოცირებაც ძალადობის ესკალაციით გამოიწვია იმჟამინდელმა ოპოზიციამ**


სერგეი ტამტურა


ალექსანდრე მარინჩენკო

რატომ დათანხმდნენ ბერკუტელები გაცვლაში მონაწილეობაზე იმხანად, ახლა კი დაბრუნდნენ? ამ კითხვას პასუხს სცემენ მარინჩენკო და ტამტურა. მათი თქმით, უარს შეიძლება გაცვლა სრულად ჩაეშალა. ასე კი მათ ხელი შეუწყვეს იმ ადამიანების გათავისუფლებას, რომლებიც წლების განმავლობაში ისხდნენ საგამოძიებო იზოლატორში.

### ბოლო შანსი

საეჭვოა, „ბერკუტის" ყოფილ წევრებს რამე ილუზია ჰქონდეთ უკრაინის მართლმსაჯულების მიმართ. ამის მიუხედავად, დღეს ისინი კიევში არიან. რატომ?

უწინარესად, იმიტომ, რომ საქმის ბოლომდე მიყვანის მცდელობა მათ გაცვლამდეც ჰქონდათ არაერთხელ; მეორე — მათ, ალბათ, ესმით, რომ საქმე მხოლოდ ორ ადამიანს არ ეხება. ამასთანავე, ერთადერთი პირობა, რომლითაც ისინი შეიძლება გამართლდნენ, სასამართლო პროცესის პოლიტიკური ხასიათის აღიარება „ბერკუტის" ყოფილი თანამშრომლების მიმართ. აქედან, თავის მხრივ, ნახევარი ნაბიჯი რჩება კიდევ ერთ აღიარებამდე: ევრომაიდანი უნდა აღიარონ სახელმწიფო გადატრიალებად, რომლის პროვოცირებაც ძალადობით ესკალაციით გამოიწვია იმჟამინდელმა ოპოზიციამ (სწორედ ოპოზიციონერების სინდისზეა აქციის მონაწილეებისა და სამართალდამცველების სიკვდილი). და არა „თავისუფლების ნაციონალური იდეის გამოხატვამ", როგორც აპირებენ უკრაინის პარლამენტში გაცხადებას.

და ეს უნდა აღიაროს, სახელდობრ, უკრაინამ, სხვაგვარად მომავლის განსჯის შანსი არ აქვთ. დაუჯერებელია? მხოლოდ ერთი შეხედვით. არის ჟურნალისტ **ჟან მიკალესინის** ფილმი, რომელიც აჩვენეს ჯერ კიდევ 2017 წელს. არის აქტივისტ **ივანე ბუბენჩიკის** ოთხი წლისწინანდელი აღიარება, რომლის მიხედვითაც, მან 2014 წლის თებერვალში მოკლა მილიციის, სულ ცოტა, ორი თანამშრომელი. დასასრულ, არის საპროტესტო აქციების მონაწილის — **ვლადიმერ ვენჩაკის** ჩვენება, რომელიც მან მისცა სწორედ ყოფილი „ბერკუტელების" საქმის განხილვისას სასამართლოზე: „პირველად დამჭრეს ზურგში, მაგრამ არა სამთავრობო კვარტლიდან გასროლით, საიდანაც მოდიოდა ასეთი საფრთხე... არამედ სასტუმრო „უკრაინის" მხრიდან".

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყველა საჭირო სიტყვა უკვე ნათქვამია, დარჩენილია ამის აღიარება.

**vz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით**
**მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

საკანდალო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2017 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის, ვიქტორ იანუკოვიჩის, ადვოკატებმა კიევში სამშობლოს ღალატის საქმეზე გამართულ სასამართლო პროცესზე წარადგინეს მტკიცებულებები ქართველი დაქირავებულების ყოფნის შესახებ 2014 წლის კიევის მაიდანზე განვითარებულ მოვლენებში. ჩვენებებში ქართველი სნაიპერის — ალექსანდრე რევაზიშვილისა, რომელიც ჩართული იყო 2014 წელს განვითარებულ პროცესებში, ნათქვამია, რომ ის პირადად მონაწილეობდა საპროტესტო აქციის მონაწილეთა მკვლელობაში.**

# აშშ-ში აჩვენეს მამხილებელი ფილმი უკრაინულ მაიდანში ობამას, ბაიდენისა და სააკაშვილის როლზე

**ამერიკულმა ტელეარხმა One America News-მა, რესპუბლიკურ პარტიასთან დაახლოებულმა ტელევიზიამ, აჩვენა დოკუმენტური ფილმი „იმპიჩმენტი. ბაიდენის ფული. მასობრივი მკვლელობები“, რომელშიც აღწერილია უკრაინის მეოთხე პრეზიდენტის, ვიქტორ იანუკოვიჩის, ხელისუფლებიდან ჩამოშორების პროცესში აშშ-ის მონაწილეობის დეტალები.**



**«ჩვენთან კარავში მოვიდა მამულაშვილი ერთ უკრაინელთან და კამუფლაჟში გამოწყობილ ამერიკელთან ერთად. უკრაინელი გაგვეცნო, როგორც ანდრეი, ხოლო ამერიკელი, როგორც ჩვენი ინსტრუქტორი, ამერიკელი კრისტოფერ ბრაიანი», — ამბობს ერთ-ერთი სნაიპერი ალექსანდრე რევაზიშვილი. სხვა სნაიპერმა, კობა ნერგაძემ, განაცხადა, რომ კრისტოფერ ბრაიანი მას სააკაშვილმა გააცნო**

ფილმი, რომლის ავტორია აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ყოფილი მრჩეველი, პოლიტიკის ექსპერტი **მაიკლ კაპუტო**, დაახლოებით 1 საათს გრძელდება, დროის ნახევარზე მეტი ეთმობა უკრაინას. კერძოდ, ლაპარაკია აშშ-ის იმჟამინდელ ლიდერ **ბარაკ ობამასა** და მისი ადმინისტრაციის როლზე უკრაინის მეოთხე პრეზიდენტ **ვიქტორ იანუკოვიჩის** ხელისუფლებიდან ჩამოშორების საქმეში 2014 წელს მაიდანზე ხალხის მასობრივ დახოცვაზე; ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის, **ჯო ბაიდენის,** ოჯახის წევრების მონაწილეობაზე კომპანია „ბურისმას“ კორუფციულ მაქინაციებში; აგრეთვე, უკრაინელი მაღალჩინოსანი პირების მონაწილეობაზე აშშ-ის 2016 წლის არჩევნებში დემოკრატიული პარტიის კანდიდატების მხარეს.

ფილმის გადაღებაში მონაწილეობდნენ უკრაინის უშიშროების სამსახურის ყოფილი შეფი **ვალენტინ ნალივაიჩენკო**, უკრაინის პარლამენტის ყოფილი დეპუტატი **სერგეი პაშინსკი**, საქართველოს ყოფილი **პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი,** უკრაინის ექსგენპროკურორი **ვიქტორ შოკინი**, „ბერკუტის“ ერთ-ერთი თანამშრომელი და მისი ადვოკატი **ალექსანდრე გოროშინსკი.** ფილმში, აგრეთვე, ნაჩვენები არიან ქართველი სნაიპერები, რომლებიც კიევში გამგზავრებისა და მაიდანზე განვითარებულ პროცესებში მონაწილეობისთვის გადაიბირა მიხეილ სააკაშვილის თანამებრძოლმა **მამუკა მამულაშვილმა.** სნაიპერები ამტკიცებენ, რომ კიევში ყალბი პასპორტებით ჩავიდნენ, ხოლო სროლა ორგანიზებული იყო პარლამენტის ექსსპიკერ **ანდრეი პარუბიისა** და **სერგეი პაშინსკის** მიერ, რომლებიც, აგრეთვე, პასუხს აგებდნენ სნაიპერების მომარაგებაზე იარაღით.

საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე, სახელად **ზურაბი** მიუთითებს, რომ მაიდნის აქციის პერიოდში კიევში შეხვდა სააკაშვილსა და ოდესის ოლქის მილიციის ყოფილ უფროს **გიორგი ლორთქიფანიძეს**, აგრეთვე, უკრაინის უშიშროების სამსახურის უცნობ წარმომადგენელს. **„როცა მე შევხვდი ლორთქიფანიძესა და სააკაშვილს, მიშამ გვითხრა, რომ ჩვენთან იყო უკრაინის უშიშროების სამსახურის წარმომადგენელი. ჩვენ დაგვავალეს, გვეთვალთვალა იანუკოვიჩის გადაადგილების მარშრუტისთვის, და ისინი, ჩანს, გეგმავდნენ იანუკოვიჩის მკვლელობას“,** — განაცხადა ზურაბმა. **ფილმში ნათქვამია, რომ საქართველოს 45 მოქალაქიდან, რომლებიც მაიდნის აქციების პერიოდში ჩაიყვანეს კიევში, ცოცხალი გადარჩა მხოლოდ 14.**

კაპუტო პარალელს ავლებს უკრაინაში მომხდარსა და ტრამპის იმპიჩმენტს შორის და მიუთითებს ერთი და იმავე ხელწერასა და ამ მოვლენებში ფინანსისტ **ჯორჯ სოროსის, ჯო ბაიდენის**, აგრეთვე, აშშ-ის დემოკრატიული პარტიის ზოგიერთი წარმომადგენლის მონაწილეობაზე. მათ, ტრამპის ექსმრჩევლის აზრით, ანგარებიანი მიზნებით შეეძლოთ ხანგრძლივი კრიზისის პროვოცირება უკრაინაში.

**შეგახსენებთ: ჯერ კიდევ 2017 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა მტკიცებულებები 2014 წელს კიევში გამართულ აქციებზე ქართველი სნაიპერების ყოფნის შესახებ, რომლებსაც ამერიკელი ინსტრუქტორი ხელმძღვანელობდა. ლაპარაკი იყო, აგრეთვე, იმაზეც, რომ სახელმწიფო გადატრიალების მომენტში კიევის ცენტრში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოქმედებდა სნაიპერების სამი ჯგუფი, მათ შორის ქართულიც.**

2019 წლის ივლისში რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** ამერიკელ რეჟისორ **ოლივერ სტოუნისთვის** მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ იცის ქართველი სნაიპერების მონაწილეობის შესახებ 2014 წელს კიევში განვითარებულ მოვლენებში.

**კიევში ქართველი მსროლელების შესახებ პირველად მოთხრობილი იყო ფრანგი ჟურნალისტების დოკუმენტურ ფილმში. ამ ფილმში ქართველი სნაიპერები, რომლებიც მონაწილეობდნენ 2014 წლის თებერვალში კიევის მაიდანზე განვითარებულ მოვლენებში, ამბობენ, რომ ინსტრუქციებს აძლევდათ ყოფილი ამერიკელი სამხედრო, რომელიც მათ წარუდგინა საქართველოს ყოფილმა პრეზიმდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და მისმა თანამებრძოლმა მამუკა მამულაშვილმა.**

„ჩვენთან კარავში მოვიდა მამულაშვილი ერთ უკრაინელსა და კამუფლაჟში გამოწყობილ ამერიკელთან ერთად. უკრაინელი გაგვეცნო, როგორც ანდრეი, ხოლო ამერიკელი, როგორც ჩვენი ინსტრუქტორი, ამერიკელი კრისტოფერ ბრაიანი“, — ამბობს ერთ-ერთი სნაიპერი **ალექსანდრე რევაზიშვილი.** სხვა სნაიპერმა, **კობა ნერგაძემ,** განაცხადა, რომ კრისტოფერ ბრაიანი მას სააკაშვილმა გააცნო.

**„სააკაშვილმა კამუფლაჟით შემოსილი მამაკაცი ჩვენ წარმოგვიდგინა, როგორც აშშ-ის ყოფილი სამხედრო მოსამსახურე, ჩვენი ინსტრუქტორი კრისტოფერ ბრაიანი. მოგვიანებით მამულაშვილისგან შევიტყვე, რომ ის სნაიპერად მსახურობდა აშშ-ის არმიაში. ბრაიანი სააკაშვილსა და მამულაშვილს ინგლისურ ენაზე ელაპარაკებოდა“, — განაცხადა ნერგაძემ. მისი თქმით, თითოეულ მსროლელს განსაცვიფრებელი რაოდენობის ტყვია უნდა გაესროლა, იარაღი დაეტოვებინა და სროლის ადგილს გასცლობა.**

„მე უნდა ავსულიყავი მესამე სართულის დერეფანში და სართულებზე ასვლისას ვხედავდი, იმ ნომრებიდან, რომელთა ფანჯრებიც მაიდანზე გადიოდა, როგორ ისროდა სნაიპერი, მისი მეწყვილე კი ყოველი გასროლის შემდეგ ფანჯარას ხურავდა, გასროლის წინ კი აღებდა. სნაიპერი ისროდა დაახლოებით ნახევარი მეტრის მოშორებით ფანჯრიდან. წყვილი სროლების შემდეგ გადიოდა მომდევნო ოთახში და უკვე იქიდან ისროდა“, — ამბობს ნერგაძე.

2017 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში უკრაინის ყოფილ პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის ადვოკატებმა კიევში სამშობლოს ღალატის საქმეზე გამართულ სასამართლო პროცესზე წარადგინეს მტკიცებულებები ქართველი დაქირავებულების ყოფნის შესახებ 2014 წლის კიევის მაიდანზე განვითარებულ მოვლენებში. ჩვენებებში ქართველი სნაიპერის — ალექსანდრე რევაზიშვილისა, რომელიც ჩართული იყო 2014 წელს განვითარებულ პროცესებში, ნათქვამია, რომ ის პირადად მონაწილეობდა საპროტესტო აქციის მონაწილეთა მკვლელობაში.

**ინტერნეტში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**





კობა ნერგაძე



ალექსანდრე რევაზიშვილი





მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გამოცემა „ბლუმბერგი“ ნიანგის ცრემლებს ღვრის საქართველოს ბედზე (ნეტავ თუ იციან, საერთოდ, საქართველო სადაა?!) და, რადგან ჩვენი ჩათრევა ვერ მოახერხა ტრამპის საწინააღმდეგო კამპანიაში, ცდილობს, ამისთვის სამაგიერო ბიძინა ივანიშვილს გადაუხადოს.**



# ვლადიმერ პუტინი: სანამ პრეზიდენტი ვარ, რუსეთში არ იქნება «მშობელი №1» და «მშობელი №2», იარსებებს მხოლოდ «დედა» და «მამა»

**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა კონსტიტუციაში შესწორებების შესატანი წინადადებების მოსამზადებელ სამუშაო ჯგუფთან შეხვედრისას განაცხადა, რომ, სანამ სახელმწიფოს მეთაური იქნება, რუსეთში არ დამკვიდრდება ტერმინები: „მშობელი №1“ და „მშობელი №2“, იარსებებს მხოლოდ „დედა“ და „მამა“.**

რუსეთის პრეზიდენტის ამ განცხადებას საერთაშორისო რეაქცია მოჰყვა.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ბრიტანეთი ამაყობს ერთი და იმავე სქესის მქონე პირებს შორის ქორწინების ლეგალიზაციას და ყველას მოუწოდა სექსუალური უმცირესობის დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლისკენ.

ბრიტანელთა გამოხდომას უპასუხა რუსეთის სენატორმა **ალექსეი პუშკოვმა:** „თუ გაერთიანებულ სამეფოში მშობლებს სურთ, დაუძახონ „მშობელი №1“ და „მშობელი №2“, აგრეთვე, ჰყავდეთ უსქესო ბავშვები — ეს მათი საქმეა. ჩვენ მათ თავს არაფერს ვახვევთ, მაგრამ ჩვენთვის უცხო ცნებებსაც არ მივიღებთ“, — აღნიშნა პუშკოვმა.

იტალიის პარლამენტის დეპუტატმა პარტია „ჩრდილოეთის ლიგიდან“ — **ვიტო კომენჩინიმ** კი რუსეთის პრეზიდენტის სიტყვებს მამასა და დედაზე **„მკაფიო, სამართლიანი და გონიერი“** უწოდა. **„ოჯახის ბუნებრივი სახეობის დაცვა — ეს ფუნდამენტური ამოცანაა, რადგან ოჯახის მხოლოდ ასეთი ტიპი შეესაბამება ქრისტიანულ ფასეულობებს“,** — ხაზი გაუსვა კომენჩინიმ. დეპუტატმა, ამასთანავე, აღნიშნა, რომ მისი პარტია ზუსტად ასეთი მიმართულებით მოქმედებს, ხოლო პარტიის ლიდერმა **მატეო სალვინიმ**, როცა ის იტალიის შსს-ს ხელმძღვანელობდა, ოფიციალური ანკეტებიდან ამოიღო „მშობელი №1“, „მშობელი №2“ და დააბრუნა სიტყვები „დედა“ და „მამა“.

**„ჩვენ მოვუწოდებთ, დავიცვათ ის საზოგადოება დაცვისა, რომელიც შედგება პიროვნებებისგან და არა დანომრილი ადამიანებისგან“,** — განაცხადა იტალიელმა დეპუტატმა და დასძინა, რომ **ვლადიმერ პუტინი** აჩვენებს ტრადიციული ფასეულობებისა და მასზე დაფუძნებული საზოგადოების დაცვის შესანიშნავ მაგალითს, აგრეთვე, ქრისტიანების დაცვისა, რომლებსაც დევნიან მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში“.

რადიო sputnik-ის ვებგვერდზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

# ბლუმბერგისა და ტრამპის პოლემიკა საქართველოს კრიტიკის ფონზე




**გამოცემა „ბლუმბერგი“, რომელიც ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატს, ნიუ-იორკის ყოფილ მერს, მოქმედ პრეზიდენტ დონალდ ტრამპის დაუძინებელ მტერს — მაიკლ ბლუმბერგს ეკუთვნის, „ქართული ოცნების“ მიერ ლობისტური კომპანიის დაქირავების თაობაზე აქვეყნებს სტატიას, რომელშიც ბიძინა ივანიშვილს „ჩრდილოვან ბოსად“ მოიხსენიებს.**

გამოცემა „ბლუმბერგი“ ნიანგის ცრემლებს ღვრის საქართველოს ბედზე (ნეტავ თუ იციან, საერთოდ, საქართველო სადაა?!) და, რადგან ჩვენი ჩათრევა ვერ მოახერხა ტრამპის საწინააღმდეგო კამპანიაში, ცდილობს, ამისთვის სამაგიერო **ბიძინა ივანიშვილს** გადაუხადოს. ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველო ავტორიტარიზმისკენ გადაიხარა.

„ბლუმბერგის“ ინფორმაციით, დაქირავებული ლობისტები, ძირითადად, სწორედ „ქართული ოცნების“ მითითებებით იმუშავებენ.

„ამისთვის რამდენიმე მიზეზი არსებობს. თავდაპირველად, თვითონ ივანიშვილია პასუხისმგებელი საქართველოს რეგრესზე, რომელიც რეპრესიებში გადაიზარდა. საქართველომ გამოიცვალა რამდენიმე პრემიერმინისტრი, რომლებიც ივანიშვილის კონტროლის ეფექტიან კონსოლიდაციას ახორციელებდნენ და ბოლო პერიოდში ივანიშვილის ოპოზიციის დაშინებასა და დაპატიმრებაზეც გადავიდნენ. ამის უკანასკნელი მაგალითია ის, რომ უზენაესმა სასამართლომ თბილისის ყოფილ მერ გიგი უგულავას 3-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა დანაშაულისთვის, რომელზეც ის დაპატიმრებული უკვე იყო“.

აქ გამოცემა ურცხვად მანიპულირებს ცნებებით. ამ საქმეზე უგულავა არ ყოფილა დაპატიმრებული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გამო, გამამტყუნებელი საპატიმრო განაჩენი უგულავას მიმართ კანონიერ ძალაში პირველად ახლა შევიდა.

„ბლუმბერგის“ ინფორმაციით, ლობისტ **ქოულმანს** რთული საქმე აქვს.

„იმის გათვალისწინებით, რომ აშშ-ს ავტორიტარული პარტნიორები ჰყავს, მაგალითად, ისეთი, როგორც საუდის არაბეთია, შესაძლოა, იმ თემის განხილვა, რომ ამერიკა სტრატეგიული მიზნების გამო ბევრის მომთმენია, მაგრამ საქართველოს ჰქონდა შესაძლებლობა, ბოლო 15 წლის განმავლობაში ვაშინგტონთან უფრო ახლო ურთიერთობა დაემყარებინა კანონის უზენაესობის დაცვითა და სამართლიანი არჩევნების ჩატარებით. ქოულმანის ახალი კლიენტი, სამწუხაროდ, სულ სხვა მხარეს არის. ამას ვერანაირი ფული ვერ შეცვლის“, — წერს გამოცემა. „ბლუმბერგი“ თავს იბრმავებს და იყრუებს, ვითომ უგულავას და „ძმათა მისთა“ მმართველობის პერიოდში საქართველოში სულ კანონის ზეიმი გვქონდა ყოველდღე და თურმე მხოლოდ ახლა გვყავს დიქტატორი მმართველი.

ამასობაში დონლად ტრამპმა სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ მაიკლ ბლუმბერგის დამცინავი ფოტო გააზიარა და გააკრიტიკა კიდეც.

**„მინი მაიკლ ბლუმბერგი არის მასხარა და „ლუზერი“, რომელსაც აქვს ფული, მაგრამ დებატები არ შეუძლია. ის მე უენერგიო ჯებ ბუშის პაწაწინა ვერსიას მახსენებს, მაგრამ ჯებს მეტი პოლიტიკური უნარი აქვს და შავკანიან მოსახლეობას უკეთესად ეპყრობოდა, ვიდრე მინი“,** — წერს ტრამპი.

მისივე თქმით, ბლუმბერგი **„163 სანტიმეტრი უსიცოცხლო ენერგიის მასაა, რომელსაც არ სურს პროფესიონალ პოლიტიკოსებთან დებატებში შესვლა“.**

ტრამპის განცხადებას ასევე „ტვიტერით“ გამოეხმაურა ნიუ-იორკის ყოფილი მერი.

„დონალდ ტრამპ, მე და შენ ნიუ-იორკში ბევრი საერთო ნაცნობი გვყავს. ხალხი დაგცინის და კარნავალის მყეფავ კლოუნს გეძახის. მე მაქვს ჩანაწერები და რესურსები, რომ დაგამარცხო, ასეც ვიზამ“, — წერს ბლუმბერგი.

**«მინი მაიკლ ბლუმბერგი არის «ლუზერი», რომელსაც აქვს ფული, მაგრამ დებატები არ შეუძლია. ის მე უენერგიო ჯებ ბუშის პაწაწინა ვერსიას მახსენებს, მაგრამ ჯებს მეტი პოლიტიკური უნარი აქვს და შავკანიან მოსახლეობას უკეთესად ეპყრობოდა, ვიდრე მინი», — წერს ტრამპი**

**P.S. როგორც მაიკლ ბლუმბერგის საარჩევნო შტაბმა განაცხადა, აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში ბლუმბერგის გამარჯვების შემთხვევაში, ვიცეპრეზიდენტი იქნება სააკაშვილის მფარველი „ანგელოზი“ ჰილარი კლინტონი.**

მოამზადა
**გიორგი გავაშელმა**

# გენერალ კარბიშევის გმირობა



**რუსი და საბჭოთა ფორტიფიკატორი, თვალსაჩინო მეცნიერი, სამხედრო ინჟინერი, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო აკადემიის პროფესორი, საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტი დიმიტრი კარბიშევი 75 წლის წინათ, 1945 წლის 18 თებერვალს გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკ მაუთჰაუზენში დაიღუპა.**

„ყინულივით ცივი წყლის“ ნაკადის ქვეშ გენერლის დაღუპვა შეუდრეკელი სულის სიმბოლოდ იქცა. ეს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაგალითია.

გენერალ-ლეიტენანტი **დიმიტრი კარბიშევი** დაიბადა ომსკში, დაამთავრა ნიკოლაევის საჰაერო-საინჟინრო აკადემია. არის უნიკალური საფორტიფიკაციო ციხესიმაგრე ბრესტის, სიმბირსკის, სამარის, სარატოვის, ჩელიაბინსკისა და სხვა ქალაქების საინჟინრო ნაგებობათა ავტორი.

1941 წლის აგვისტოში დასავლეთ ბელორუსიაში სამხედრო ნაწილი ალყაში მოექცა, მძიმედ დაჭრილი კარბიშევი ტყვედ ჩავარდა. მაიდანეკის, ოსვენციმის სიკვდილის ბანაკებში გენერალი ხელმძღვანელობდა წინააღმდეგობის მოძრაობას სამხედრო ტყვეებს შორის. 1945 წლის 18 თებერვალს ფაშისტებმა კარბიშევი თანამებრძოლებთან ერთად საშინელ ყინვაში გარეთ გამოიყვანეს, გადაასხეს წყალი და ცოცხლად გაყინეს.

კარბიშევი სიკვდილის შემდეგ დააჯილდოვეს ლენინის ორდენით და მიანიჭეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. გენერლის ძეგლები დადგმულია მაუთჰაუზენში, ომსკში, ტალინსა და ყაზანში.



**ხელისუფლების მიერ ამ ნაბიჯის გადადგმა იქნება დიდი სიტყვა ხალხის, ეკლესიისა და ხელისუფლების თანამშრომლობის ჰარმონიზაციის კუთხით. ეს იქნება იმის ხაზგასმა, რომ: ქართული, მხოლოდ ქართული გზა! ქვეყნის გადარჩენის სხვა გზა არ არსებობს – ქვეყანა ერის ბუნებიდან გამომდინარე უნდა იმართებოდეს!**

ფოსტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა გელათის კონგრესი: დავით აღმაშენებლის ძეგლი უნდა დაბრუნდეს იმ სივრცეში, რომელშიც მისი აღმართვა აკურთხა საქართველოს პატრიარქმა



**8 თებერვალს, დავითობას, გელათის აკადემიის ისტორიულ კედლებში გაიმართა მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა კონგრესი, რომელმაც ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე იმსჯელა. კონგრესმა განიხილა „ქართული დოქტრინის“ შემუშავების საკითხი, რომლის იდეაც ცნობილ არქიტექტორსა და მოღვაწეს — გიგა ბათიაშვილს ეკუთვნის და რომელზეც უკვე მუშაობს მეცნიერთა ჯგუფი.**

კონგრესის მონაწილეებმა ხატმწერ **შალვა გერაძის** მიერ შესრულებული დავით აღმაშენებლის ხატი ჩააბრძანეს გელათში, რომელიც აკურთხა ქუთათელ გაენათელმა მიტროპოლიტმა, **მეუფე იოანემ** და ხატმა სამუდამოდ დაივანა გელათის მონასტერში.

კონგრესის მონაწილეებმა: ცნობილმა არქიტექტორმა, არქიტექტურის პროფესორმა **გიგა ბათიაშვილმა**, ანსამბლ „რუსთავის“ ხელმძღვანელმა **ანზორ ერქომაიშვილმა**, რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარემ, პოეტმა **დავით შემოქმედელმა**, აკადემიკოსმა **არნოლდ გეგეჭკორმა**, პროფესორებმა; **რეზო ბალანჩივაძემ** და **ვახში ჟვანიამ**, ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე **ბუბაზ მეგრელიძემ** და გელათის აკადემიის წევრმა, პოლიტიკოსმა **თემურ შაშიაშვილმა** დააყენეს საკითხი დავით აღმაშენებლის ძეგლთა მიმართ სამართლიანობის აღდგენის შესახებ. შემუშავებული იქნა მიმართვა, რომელსაც კონგრესის სამასივე მონაწილემ დაუჭირა მხარი. გთავაზობთ მიმართვის ტექსტს უცვლელად.

**„დავით აღმაშენებლის ძეგლი უნდა დაბრუნდეს იმ სივრცეში, რომელშიც მისი აღმართვა აკურთხა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსმა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ**

ჩვენ, გელათის კონგრესის მონაწილენი, როგორც ვანდალურ ფაქტს, ასე ვაფასებთ მეფეთმეფის, დავით აღმაშენებლის, ძეგლის გადაადგილებას როგორც თბილისში, ასევე ქუთაისში. თუნდაც იმის გამო, რომ ეს ყველაფერი მოხდა ძეგლის ავტორებსა და მათ მემკვიდრეებთან შეთანხმების გარეშე და დღემდე არ არსებობს დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ძეგლი, რომელიც დაიდგა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით და სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით, გადაადგილებულიყო პირვანდელი ადგილიდან. ეს დასტურდება თბილისის მერიიდან, ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს ჩვენ მიერ შეტანილ განცხადებაზე მიღებული პასუხით, უფრო მეტიც, ქუთაისში ძეგლი დაიდგა ლენინის ძეგლის კვარცხლბეკზე ყოველგვარი არქიტექტურული ცვლილებების გარეშე!

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს იყო გარე ძალების მსახური ხელისუფლების ანტიქართული განწყობის დადასტურება და დღეს, როცა ამ უწმინდეს, ბიბლიურ ადგილზე — გელათში დავიწყეთ საუბარი „ქართული დოქტრინის“ შემუშავების აუცილებლობისა და ამ პროცესის დაწყების თაობაზე, ჩვენ უპირველესად მიგვაჩნია, რომ უნდა აღდგეს ისტორიული სამართლიანობა წმინდანი მეფის სახელთან დაკავშირებით და ძეგლი დაბრუნდეს იქ, სადაც მისი აღმართვა აკურთხა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.

ეს არ არის მექანიკური პროცესი. ეს არის დაბრუნება ქართულ ფესვებთან და ქართული ცნობიერებით და ზოგადკაცობრიული იდეალებისადმი ერთგულებით ფიქრი მომავლის საქართველოზე.

**მიგვაჩნია, რომ ხელისუფლების მიერ ამ ნაბიჯის გადადგმა იქნება დიდი სიტყვა ხალხის, ეკლესიისა და ხელისუფლების თანამშრომლობის ჰარმონიზაციის კუთხით. ეს იქნება იმის ხაზგასმა, რომ: ქართული, მხოლოდ ქართული გზა! ქვეყნის გადარჩენის სხვა გზა არ არსებობს – ქვეყანა ერის ბუნებიდან გამომდინარე უნდა იმართებოდეს!**

ყალბი და არაქართულია ქვეყნის გარეთ მხსნელის ძებნა. გარეთ მხოლოდ მეგობრები უნდა ვეძებოთ და არა პატრონები.

ჩვენ დღეს ამ დიდ ქართულ პროცესს ვიწყებთ. ქართული არასდროს ნიშნავდა ჩაკეტილობას. ქართული ყოველთვის იყო ნაზიარები ზოგადკაცობრიულთან.

საქართველოსთვის, ქართველობისთვის, თანამემამულეებისთვის, ჩვენი მეგობრებისთვის საამაყოა, რომ მსოფლიოს მოაზროვნე საზოგადოების მიერ, დავით აღმაშენებელი აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი უპირველესი და უძლიერესი სტრატეგი და მხედართმთავარი. ეს ამავე დროს უდიდესი პასუხისმგებლობაა.

ჩვენ სწორედ ამ პასუხისმგებლობით ვიღებთ ამ გადაწყვეტილებას და იმედი გვაქვს, რომ ის საქართველოს მოსახლეობის, უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების, ჩვენი ნამდვილი მეგობრების მიერ იქნება მხარდაჭერილი.

**დავით აღმაშენებლის ძეგლი უნდა დაბრუნდეს იმ სივრცეში, სადაც მისი აღმართვა აკურთხა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსმა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ!**

ამას ვადასტურებთ ამ გადაწყვეტილებაზე ჩვენი ხელმოწერით“

**„გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“ მხარდამჭერი ფონდის პრესცენტრი**

**«ჩვენ უპირველესად მიგვაჩნია, რომ უნდა აღდგეს ისტორიული სამართლიანობა წმინდანი მეფის სახელთან დაკავშირებით და ძეგლი დაბრუნდეს იქ, სადაც მისი აღმართვა აკურთხა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ. ეს არ არის მექანიკური პროცესი. ეს არის დაბრუნება ქართულ ფესვებთან და ქართული ცნობიერებით და ზოგადკაცობრიული იდეალებისადმი ერთგულებით ფიქრი მომავლის საქართველოზე»**

# წამალმა რომ მოარჩინოს!

**მსოფლიოში და, მაშასადამე, საქართველოშიც ადამიანების სიცოცხლის ხანგრძლივობა რომ გაიზარდა, ამაში, ცხადია, დიდი წვლილი მიუძღვის მედიცინას და კერძოდ — ფარმაკოლოგიას. აფთიაქებში წამლების ყველაზე ინტენსიური მომხმარებლები ხანში შესული ადამიანები ვართ და ეს არც არის გასაკვირი. 80 წელს გადაცილებულებს ხშირად გვაწუხებს ძვალ-სახსართა დაავადებები. სამწუხაროდ, ფარმაკოლოგიამ, როგორც ჩანს, ამ დაავადებისთვის ვერ მოიცალა, სამაგიეროდ, გააქტიურდა არაპროფესიული სექტორი, ტელეეთერში განთავსებული რეკლამებით გვთავაზობენ მრავალი სახის აბებსა და მალამოებს. შეჭირვებული ადამიანები, ცხადია, ყიდულობენ კუსტარული წესით დამზადებულ წამლებს, მაგრამ შედეგი უმრავლეს შემთხვევაში არ არის.**




**ერთი წლის წინათ (ყოველ შემთხვევაში, მე მაშინ შევიტყვე) ტელეეთერში გამოჩნდა კარგად გაფორმებული რეკლამა (განსაკუთრებით ტელეარხ „მაესტროს“ ეთერში) ძვალ-სახსარის სამკურნალო წამალ „ჰელიქს-ორიგინალისა“.**

გვაცნობებდნენ საკონტრაქტო ტელეფონების ნომრებს, ფასს და, სურვილის შემთხვევაში, წამალს დაუყოვნებლივ მოგვართმევდნენ მითითებულ მისამართზე.

მეც, რაკი მაწუხებს მუხლების ტკივილი და მიჭირს გადაადგილება, შევიძინე ზემოთ მითითებული წამალი, რომელიც მოთავსებულია ფლაკონში მრგვალი აბების სახით. წამალი დამზადებულია ლოკოკინის ბაზაზე და, როგორც რეკლამიდან ირკვევა, ერთი ფლაკონი უკვე აღადგენს მუხლებში იმ სითხეს, რომელიც საჭიროა მოძრაობისთვის. წამალმა შედეგი არ მომცა, მაგრამ მეორე ფლაკონი მაინც შევუკვეთე.

ამ მომენტში **ერთ-ერთ გაზეთში წავიკითხე ქალბატონ ქეთევან კიკნაძის (სახალხო არტისტის) წერილი, რომელსაც ეჭვი შეაქვს წამლის ვარგისიანობაში. იგი აღნიშნავდა, რომ შეძენილი წამალი შესამოწმებლად გაგზავნა, როგორც გაირკვა, მასში ლოკოკინის „არსებობა“ არ აღმოჩნდა, ანუ „წამალი“, რომელიც კუსტარული წესით მზადდება ქობულეთში, როგორც ჩანს, უმრავლეს შემთხვევაში ფალსიფიცირებულია. სხვათა შორის, როდესაც შიკრიკმა მომიტანა შეკვეთილი მეორე ფლაკონი, მას გავუზიარე ჩემი ეჭვი. ახალგაზრდა კაცი, როგორც კი ამ თემაზე დავუწყე საუბარი, უცებ შეტრიალდა და კისრისტეხით გაიქცა, ისე, რომ ჩემთვის ბოლომდე აღარც მოუსმენია.**

დავრეკე ჯანდაცვის სამინისტროში და ვიკითხე: მოწმდება თუ არა კუსტარული წესით დამზადებული წამლები. მიპასუხეს, რომ ასეთი ქვედანაყოფი სამინისტროში არ არის. არადა, უნდა იყოს, თუნდაც იმიტომ, რომ ადამიანი იყოს დაცული და არ ჩავარდეს თაღლითების ხელში. ვფიქრობ, სამინისტროს ხელმძღვანელობა მიხედავს ამ პრობლემას და შექმნის შესაბამის ქვედანაყოფს, რომელიც გააკონტროლებს კუსტარულად დამზადებული წამლების ვარგისიანობას და დადებით შემთხვევაში გასცემს სერთიფიკატს. წამალი კი გაიყიდება აფთიაქების ცალკე სექციაში და მომხმარებელიც იქნება დაცული.

**ნაპოლეონ ქარქაშაძე,**
**აკადემიკოსი**

**დავრეკე ჯანდაცვის სამინისტროში და ვიკითხე: მოწმდება თუ არა კუსტარული წესით დამზადებული წამლები. მიპასუხეს, რომ ასეთი ქვედანაყოფი სამინისტროში არ არის. არადა, უნდა იყოს, თუნდაც იმიტომ, რომ ადამიანი იყოს დაცული და არ ჩავარდეს თაღლითების ხელში. ვფიქრობ, სამინისტროს ხელმძღვანელობა მიხედავს ამ პრობლემას და შექმნის შესაბამის ქვედანაყოფს, რომელიც გააკონტროლებს კუსტარულად დამზადებული წამლების ვარგისიანობას და დადებით შემთხვევაში გასცემს სერთიფიკატს. წამალი კი გაიყიდება აფთიაქების ცალკე სექციაში და მომხმარებელიც იქნება დაცული**

მწარე სიმართლე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მიუხედავად იმისა, რომ ერის მამა ღიად აკრიტიკებდა რუსეთის იმპერიალისტურ პოლიტიკას საქართველოში, ოსმალური და სპარსული მუსლიმური არმიებისგან სანდო თავდაცვის ერთადერთ საშუალებად ის მაინც ქრისტიანულ რუსეთს მიიჩნევდა. იგი არ ელოდა საკმარის მხარდაჭერას ევროპული დიდი სახელმწიფოებისგან, თუ რატომ, ამაზე ქვემოთ ილიას წერილები გაგვცემს პასუხს.**

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

# ილიამ სტუდენტებს ურჩია, ევროპაზე დაყრდნობის ნაცვლად, «მეტი გაეკეთებინათ საქართველოსთვის»

## რატომ არ ელოდა ილია საკმარის მხარდაჭერას ევროპული დიდი სახელმწიფოებისგან

დღეს ისტორიის არაობიექტური გააზრება გვიშლის ხელს ყველაზე მეტად განვითარებაში, ვერც საკუთარ შეცდომებს ვხედავთ და, ცხადია, ვერც ვაანალიზებთ. „უნამუსოს სინდისი რომ გაუღვიძო, სილა უნდა გააწნაო“, — ნათქვამია. ამდენად, კრიტიკა ყველაზე უებარი წამალია სრულყოფისა და განვითარებისთვის. ილიას საქართველო რომ უყვარდა, იმიტომ იყო პირუთვნელი და „მოყვარეს პირში უძრახეს“ პრინციპით მოქმედებდა, თუმცა, კრიტიკასთან ერთად, მუდმივად ეფერებოდა მშობელ ხალხს. განსხვავებაც ესაა მის კრიტიკასა და ახლანდელ ქართველთა ლანძღვა-გინებას შორის — მასხრად აგდება ყველაფერ იმისა, რაც ძვირფასი გაგვაჩნია...

ილიას ძალიან აწუხებდა ის, რომ „ეს ქვეყანა, ხმელეთის თვალი, დიდის სამოთხის კუთხე პატარა, / ქედმოდრეკილი ნაღვლით საწყალი“, მის თანამედროვეთ უმწეოდ და უნუგეშოდ დაუგდიათ და მათის სიავით დაწყლულებული და გმობილი „უცხოს კალთის ქვეშ, ვითა ობოლი, შეფარებულა“.

„ვითა ობოლი, შეფარებულაო“.

რატომ არის დღესაც საქართველო დაობლებული?

იმიტომ, რომ თითქმის არავინაა ქართველთ შორის თავგამოდებული ქომაგი და დამცველი ქართველის ქართველობის, წესის, ადათის... მაგრამ, აბა, გაბედე და აქ ჩამოსახლებულ უამრავ უცხოელზე რამე საყვედური თქვი, იმწამსვე წამოგესევიან; პედერასტებზე რამეს იტყვი და „ჰომოფობი ხარო“, — აწიკვინდებიან... ნუთუ ყველაფერ ქართულს რომ გააკრიტიკებ და ტრადიციებს ლაფში ამოსვრი, მხოლოდ მაშინ ხარ „კაიტიპი“ და „პრადვინუტი“? რატომ იქცევიან ასე? იმიტომ, რომ ხელისუფლებაც და ოპოზიციური სპექტრის დიდი ნაწილიც დასავლეთიდან იმართებიან, იქ ეძებენ „უცხო კალთას“ თავის შესაფარებლად.

აი ამას ჰქვია ქვეყნის მტრობა და უსაზღვრო იდიოტიზმი.

როდესაც 1897 წელს კუნძულ კრეტაზე ოსმანთა ბატონობის წინააღმდეგ ბერძენთა აჯანყებით დაწყებული თურქეთ-საბერძნეთის ომი დასრულდა, ქართველ სტუდენტთა ჯგუფმა წერილობით მიმართა ილია ჭავჭავაძეს იმის საკითხავად, დაუჭერდნენ თუ არა მხარს ევროპული დიდი სახელმწიფოები საქართველოს თვითგამორკვევას. ილიამ მაშინ სტუდენტებს ურჩია, ევროპაზე დაყრდნობის ნაცვლად, „მეტი გაეკეთებინათ საქართველოსთვის“.

ჩვენო ხელისუფალნო, ნურც თქვენ გაირჯებით ტყუილად და ნუ ფლანგავთ დროსა და სახელმწიფო ბიუჯეტს ევროპაში სირბილით. როდის ყოფილა, რომ ჩვენს პრობლემებს გული აუჩუყებია ევროპელი „მეგობრებისთვის“?! იმის დაჯერება, რომ ევროპა რუსეთს დასჯის ან თუნდაც უსაყვედურებს საქართველოს გამო, ძალიან დიდი გულუბრყვილობაა, სხვა თუ არაფერი. ახლახან მიუნხენში გამოსვლისას მაკრონმა გასაგებად თქვა: რუსეთი ჩვენი მეზობელია, მასთან სახმელეთო საზღვარი გვაქვს და ურთიერთობებს არ გავაფუჭებთო. ქართული ანდაზა არ იცოდა, თორემ პირდაპირ გვეტყოდა: ჩემთვის მეზობელი კარისაო სინათლეა თვალისაო და თქვენი საქმისა თქვენ იცითო. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს კი საერთოდ არ უხსენებია საქართველო და არც სხვას მოსვლია აზრად, ეკითხა რამე. ყველამ თავისი საქმე გაიკეთა და წავიდ-წამოვიდნენ. ისე, ზურგს უკან ქართველთა დელეგაციას გულს კი უმაგრებენ და ამხნევებენ ხოლმე თვალში ნაცრის შეყრით. დავოსში მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე ევროპული სახელწიფოების მეთაურებმა გააბრიყვეს გახარია, თქვენ გვერდით ვართო, და ალანძღვინეს რუსეთის პრეზიდენტი და საერთოდ თუ არა, გარკვეული დროით მაინც გააქრეს შანსი რუსეთსა და საქართველოს მოლაპარაკებებისა და რაიმე შეთანხმებისა. ვის წისქვილზე ასხამენ ამით წყალს? საქართველოსაზე რომ არა, ცხადია. ილიამ კი — მეტი გააკეთეთ საქართველოსთვისო.

მიუხედავად იმისა, რომ ერის მამა ღიად აკრიტიკებდა რუსეთის იმპერიალისტურ პოლიტიკას საქართველოში, ოსმალური და სპარსული მუსლიმური არმიებისგან სანდო თავდაცვის ერთადერთ საშუალებად ის მაინც ქრისტიანულ რუსეთს მიიჩნევდა. იგი არ ელოდა საკმარის მხარდაჭერას ევროპული დიდი სახელმწიფოებისგან, თუ რატომ, ამაზე ქვემოთ ილიას წერილები გაგვცემს პასუხს.

ის საკითხი, რომ საქართველოს შეუძლია და აუცილებლად უნდა შეუერთდეს პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებულ ევროპას, ადრეც იდგა დღის წესრიგში. შესაბამისად, ყოველთვის იყვნენ კრიტიკოსები, რომლებიც ამ აზრს არ ეთანხმებოდნენ, ხაზს უსვამდნენ რა კულტურულ განსხვავებებს, და ამას ქართული თვითმყოფადობისთვის საფრთხედ მიიჩნევდნენ. ამ თვალსაზრისმა განვლილ წლებში სულ უფრო მეტი მხარდამჭერი მოიპოვა. ერთი მხრივ, ამის მიზეზი ევროპაში განვითარებული კრიზისებია, რომლებიც მას ნაკლებად მიმზიდველს ხდის.

ილია თავის წერილებში არაერთხელ ახსენებს, განიხილავს და აანალიზებს განვითარების იმ მოდელებს, რომლებსაც მისი თანადროული ევროპული სახელმწიფოები ირჩევენ. იქნება ეს გერმანია და პრუსია, საფრანგეთი, პორტუგალია, ინგლისი თუ ირლანდია.

### ევროპა 1886 წელს

**ტფილისი, 25 თებერვალს, 1886 წ.**

სახელოვანის ინგლისის მეცნიერის — დარვინის მიერ ეჭვგარეთ დაყენებული კანონი, რომელსაც „ბრძოლას არსებობისათვის“ ეძახიან, სათავეა ყოველის მოძრაობისა, რასაცკი დღეს ჩვენის თვალითა ვხედავთ სახელმწიფოთა შორის. ამიტომაც მეტი არ იქნება თვალი გაკვრით მაინც გადავავლოთ თვითოეულს სახელმწიფოს ევროპისას, და იმოდენად, რამოდენადაც გაზეთის მეთაური წერილი ნებას მოგვცემს, ავნიშნოთ, ვის რა ტკივილი აქვს შინ, თუ გარეთა, ვის რა იმისთანა „წვრილი“ აქვს, რომელიც გასაფრთხილებელია, რომ არ გასწყდეს.

* * *

ერთი ძლიერი სახელმწიფო დღეს **საფრანგეთია**, სხვათა შორის. ბისმარკის ოსტატურმა პოლიტიკამ და მოლტკეს გაწყობილმა ჯარმა უკან მიაყენა ეს ქვეყანა, რომელიც 1870 წლამდე სათავეში ედგა ყველაფერს ევროპაში და რომლის სიტყვასაც ყველა მოწიწებით და რიდით ისმენდა. მას აქეთ მარტო ერთმა გერმანიამ დაინარჩუნა ბურთი და მოედანი ევროპისა. მას აქეთია საფრანგეთი დიდის გულისტკივილით გაიყურება რეინისაკენ და გერმანიისაგან წართმეულს ელზას-ლოტარინგიას გასტირის. ჯერ ეს საზარელი ნივთიერი და მერე თავმოწონებული სითამამე საფრანგეთის ერისა, შეგინებული, დამარცხებული და დამცირებული ქვეყნის წინაშე სიამაყე ამაყის საფრანგეთისა, — ორივ ერთად წყლულსავით ჩაჰსდგომია გულში საფრანგეთს და მოსვენებას არ აძლევს. არ არის არც ერთი კაცი საფრანგეთში, რომ არ ნატრულობდეს ხელახლად გამკლავებას, ხელახლად შეჭიდებას, მაგრამ **საფრანგეთმა კარგად იცის, რომ დრონი მეფობენ. უმთავრესი ტკივილი ეს არის საგარეო საქმეებში, ყველასაგან ცნობილი, ყველასაგან აღიარებული. არ ვიცით, რას არ დაჰსთმობს საფრანგეთი, ოღონდ ეს ხელახლად გამკლავების დღე მოიმარჯვოს.** ბისმარკმა ეს ძალიან კარგად იცის. ისიც იცის, რომ ეს დღე გერმანიისათვის აუცილებელია, როცა იქნება მოვა. იგი, როგორც ჭკვიანი და შორსმხედველი კაცი, იმას კი არ ჰსცდილობს — აუცილებელი აიცილოს, არამედ იმას, რომ იმ დღემან მარტოდმარტო შეახვედროს საფრანგეთს, ან მაშინ, როცა საფრანგეთს სხვა მტერიც აუჩნდება. **ვაჭრობის ცილობამ ევროპაში საფრანგეთი აიძულა, თავისის ნაწარმოებ საქონლის გასასაღებლად შორს ქვეყნებში კოლონიები დაეჭირა. შეცდომა იყო ეს საფრანგეთის მიერ, თუ არ იყო, ჩვენ ამაზედ არას ვიტყვით, მხოლოდ ეს ვიცით, რომ ბისმარკი ძალიან ხელს უწყობდა საფრანგეთსა, ოღონდ მე-კი თვალი მომაშორეო და საცა გინდა ფეხი გაიდგიო.** საფრანგეთმა ჯერ ტუნისს წაავლო ხელი, პატრონობა დაიჩემა, და ამით ძალიან მოიმდურა თავისი თითქმის მუდამ მოყვარე იტალია, რომელსაც თავისი საბუთი ჰქონდა ტუნისის დაჭერისა. ეს რომ გაათავა, ტონკინისაკენ გაიწია საფრანგეთმა. ბევრი ანაცვალა ტონკინს ფული, თუ კაცი, და აქაც ამის გამო ერთი დაუძინებელი მტერი აიჩინა — ჩინეთი. **ბისმარკს ჯერ ეს მტრების აჩენა უხაროდა და მერე საფრანგეთის ასე შორს გატყუება და გაბმა. ეხლა ეგვიპტის საქმის გამო საიდღამღაც გაუტყვრა კინკლაობა საფრანგეთს ინგლისთან და იქამდე მიაღწია, რომ ერთმანეთზედ გული კარგად საგრძნობელად გაუგრილა.** არც ეს ეწყინა, რასაკვირველია, ბისმარკს, რომელსაც, ვინ იცის, იქნება ყოველ ამის თოკის წვერიც ხელში ეჭირა. ეს გარეთი ამბავი საფრანგეთისა. შიგნით, ხომ მოგეხსენებათ, რა ტკივილები აქვს. რესპუბლიკა, ესე იგი **ახლანდელი წყობა საფრანგეთისა, ჯერ კიდევ როგორღაც საფრთხეშია. ამ უკანასკნელმა არჩევანმა საფრანგეთს თვალი აუხილა მასზედ, რომ მონარქიელები ჯერ კიდევ ღონეს იჩენენ და იმედს არა ჰკარგავენ რესპუბლიკის დამხობისას. ბონაპარტელები, ორლეანელნი და სხვა მონარქიელნი, თუმცა შორი-შორს არიან ერთმანეთზედ, მაგრამ საერთო მტრად კი რესპუბლიკას ჰხადიან, და ვიდრე რესპუბლიკას ებრძვიან, ერთად ებრძვიან.** რასაკვირველია, როცა კაცის დასახელებაზედ მივარდება საქმე, — აბა მონარქად ვინ გინდათო, — მაშინ დღევანდელნი მოყვარენი, ბონაპარტელები, ორლეანელები და სხვანი ერთმანეთს შესაჭმელადაც არ დაინდობენ. ხოლო ამ დღემდე ისინი ერთად იღვწიან. ამას ყურადღება მიაქციეს რესპუბლიკელებმა და პალატას სთხოვეს კიდეც, გააძევეთ საფრანგეთიდან ყველანი, ვინც-კი სამეფო გვარეულობას ეკუთვნიანო. თუმცა ამისათვის ამორჩეულმა კომისიამ პალატისამ არ შეიწყნარა ესთხოვნა, მაგრამ მარტო ეს ამბავი საკმაო საბუთია ვიგულისხმოთ, რომ შიში მონარქიელებისა ასე თუ ისე არსებობს საფრანგეთში. ამ ბოლო ხანებში რომ დეზაკვილის ქვანახშირის თხრილებში მუშების არეულობა მოხდა, რომელიც თხრილების პატრონის ვეტერანის მოკვლით გათავდა და სხვა ამისთანანი, — ცხადად ამტკიცებენ, რომ სარჩოსაბადებელი მუშებისათვის საფრანგეთშიაც ადვილი საშოვარი არ არის.

ამ მხრითაც შინაური განწყობილება საფრანგეთისა, რომელსაც აუარებელი უსახლკარო, უბინაო ხელცარიელი მუშა ჰყავს, ბევრს ავს მოასწავებს, დასაფრანგეთის ბედის ეხლანდელ გამგეთათვის, როგორც თვით საფრანგეთისათვისაც, მწვავს ტკივილს შეადგენს. საზოგადოდ, მუშათა საქმე ყველა სახელმწიფოს ტკივილია ევროპაში და ეხლა რომ ინგლისში მუშათა აღრევა მოხდა, შესაძლოა, ცეცხლისავით მოედოს მთელს ევროპასა, თუ არა უწამლეს რა. ესეთი შინაური ამბები ნებას არ აძლევენ საფრანგეთის გამგებელთა მთელის სულით და გულით საგარეო საქმეებს მიეცნენ და ღონე ამ საქმეთათვის სრულად მოიკრიბონ.

**ტფილისი,**
**13 თებერვალი, 1886 წ.**

მეორე დიდი და ძლიერი სახელმწიფო ევროპაში ეგრეთ წოდებული **დიდი-ბრიტანიაა,** ანუ უკეთ ვსთქვ- ▶



**ილიას საქართველო რომ უყვარდა, იმიტომ იყო პირუთვნელი და «მოყვარეს პირში უძრახეს» პრინციპით მოქმედებდა, თუმცა, კრიტიკასთან ერთად, მუდმივად ეფერებოდა მშობელ ხალხს. განსხვავებაც ესაა მის კრიტიკასა და ახლანდელ ქართველთა ლანძღვა-გინებას შორის — მასხრად აგდება ყველაფერ იმისა, რაც ძვირფასი გაგვაჩნია...**

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რატომ არის დღესაც საქართველო დაობლებული? იმიტომ, რომ თითქმის არავინაა ქართველთ შორის თავგამოდებული ქომაგი და დამცველი ქართველის ქართველობის, წესის, ადათის...

◀ ათ, **ინგლისი**. ინგლისი, შოტლანდიით და ირლანდიით, ევროპისაგან მოწყვეტილი უშველებელი კუნძულია. იმისი შესავალი და გასავალი ოთხსავ კუთხივ ზღვა არის. ამისთანა მდებარეობამ ინგლისის საგარეო ისტორია ისე წარმართა, რომ ზღვით და ზღვებით უნდა ეცხოვრა. ამიტომაც, როცა შინ ცოტაოდნად მაინც ფრთები შეისხა, მაშინვე საკოლონიო პოლიტიკას დაადგა. თუმცა აქ მოცილენი გაუჩნდნენ, მაგალითებრ, ისპანია, პორტუგალია და ჰოლანდია, და ამა მოცილეთა არაერთხელ დაასწრეს ზღვისპირების დაჭერა აზიასა, აფრიკასა თუ ამერიკაში, მაგრამ **ინგლისმა მაინც იმოდენა დიდი ლუკმა მოიგდო ხელში, რომ ზღვათა მფლობელად დღესაც სამართლიანად იწოდება. რასაკვირველია, ამ საკოლონიო პოლიტიკის სათავე კაცმა თავდაპირველ ინგლისის მდებარეობაში უნდა მონახოს, როგორც ზემოდა ვსთქვით, მაგრამ ერთიც სხვა მიზეზია, რომ ინგლისი ასეთის მხნეობით და ღვაწლით გარე ქვეყნებისაკენ იწევს და თითქო ბინას იკეთებს.** მთელის ინგლისის ადგილ-მამული თითქმის მარტო 30.000 კაცს ეკუთვნის. დანარჩენი მთელიერი უადგილ-მამულოა. ამისთანა უსამართლოდ განაწილებას ადგილ-მამულისას ერთი სხვა უბედურობაც ზედ მოჰყვა. **როცა ჟამთა ვითარებისა გამო მატყლმა მეტად აიწია და დიდი ფასი დაიდო, ბევრმა ადგილ-მამულის პატრონმა საყანე, სახნავ-სათესი მამულები საძოვრებად გადააქცია და აუარებელი მხვნელ-მთესველი ხალხი, რომელიც მაგ მამულებზედ ქირით თუ იჯარით ჰსცხოვრობდა, სულ ცარიელზედ დარჩა. აქედამ წარმოსდგა იგი შესაბრალისი ხალხი, რომელსაც საცხოვრებლად თვისი მარჯვენაღა აქვს და სხვა არაფერი** და რომელსაც პროლეტარიატს ეძახიან. დასაწყისი ამ პროლეტარიატისა უმთავრესად ეს იყო, და თქმა არ უნდა, რომ დროთა მიმავლობაში ამ მიზეზს სხვა მიზეზებიც დაემატა და პროლეტარიატობა გააძლიერა. **თუმცა აუარებელმა მრეწველობამ, ფაბრიკებმა და ქარხნებმა, როგორც ღრუბელმა შეიწურა ეს უბინაო ხალხი, მაგრამ საკმაო იყო ერთს რომელსამე მრეწველობაში კრიზისი მომხდარიყო, როგორც ამერიკელების ომის დროს — ბამბეულობათა ქარხნების კრიზისი, რომ დიდძალი მშიერი და უბინაო მუშა ხალხი ცის ნაბარას დარჩენილიყო.**

ეს ერთი.

მეორეც ისა, რომ სიმრავლეს უმამულო მუშა ხალხისას ვერ აუვიდა ინგლისის ძლიერი და აუარებელი მრეწველობაცა. **მრავალი მუშა ხალხი უსაქმოდ ჰრჩება. ამის გამო წარმოუდგენელია ის სიღარიბე, ის სიღატაკე, ის განწირულობა, რომელიც ასე გულსაკლავად ჰღაღადებს ინგლისის ყოველს დიდს ქალაქში და ნამეტნავად ლონდონში.** ამ უშველებელს ბოღმას სახურავის ახდა უნდა, რომ გასვლის გზა მიეცეს, გავიდეს, თორემ, როგორც ქვაბში მომწყვდეული ორთქლი, ქვაბსაც გახეთქს და გარშამოსაც მილეწმოლეწავს. ეს კარგად იცის საქმიანმა და ჭკვიანმა ინგლისელმა და ამიტომაც ეტანება, სხვა ქვეყნებში დაიჭიროს ადგილები, რომ მეტი ხალხი გაიზიდოს ინგლისიდამ და ბინა ახლად დაჭერილს ქვეყნებში მოიკიდოს. ეს მეორე მიზეზი საკოლონიო პოლიტიკისა.

მესამე მიზეზი კიდევ აუარებელი მრეწველობაა. დიდძალს საქონელს ჰქმნის ინგლისი. ამ საქონელს გასაღება უნდა. ევროპა ველარ იტევს სიმრავლეს საქონლისას და ერთმანეთში გაძლიერებული ცილობაც ხელს უცრის. ვაჭრობის გზის გასახსნელად, საქონლის გასასაღებლად სხვა უფრო შორეული ქვეყნებიღაა, ნამეტნავად ის ქვეყნები, რომელთაც ზღვა აქვთ შესავალად. ინდოეთი, ჩინეთი და სხვა ქვეყნები აზიაში, მთელი აფრიკა, სამხრეთი ამერიკისა და სხვანი — სულ კაი ლუკმაა საქონლის აღებ-მიცემობისათვის. ბოლოს დროს ასე გაუჭირა საქმე სხვა სახელმწიფოებსაც ამ საქონლის უმუშტრობამ, რომ საფრანგეთმა, გერმანიამ და იტალიამაც-კი საკოლონიო პოლიტიკას ჩაჰკიდეს მაგრად ხელი და ამ სახით ზღვათა მფლობელსა ინგლისს მოცილედ გაუხდნენ.

**ინგლისს ყველაზედ დიდი ადგილები უჭირავს ევროპის გარეთ სხვა ქვეყნებში. ერთი უდიდესი მათგანი ინდოეთია.** როგორც თავის ორის თვალის ჩინს, ისე უფრთხილდება ინგლისი არამც თუ მარტო ამ დიდს ინდოეთს, არამედ სხვა კოლონიებსაც. ერთი საუკეთესო ზღვის გზა კოლონიებისაკენ საერთოდ — და ინდოეთისაკენ საკუთრივ — ხმელთაშუა ზღვაზედ უდევს ინგლისსა, მეორე სუეზის დიდს არხზედ ეგვიპტეში. ამას ზედ დაუმატეთ, რომ ხმელთაშუა ზღვის ნაპირები იტალიის მერმეთ ოსმალოსა და ბერძნებს უჭირავთ, რომ ოსმალეთის ასეთი თუ ისეთი მფლობელობა ძლიერ დამოკიდებულია ბალკანიის ნახევარკუნძულის ავკარგიანობაზედ, საბერძნეთის ღონის მეტნაკლებობაზედ, — ცხადი იქნება, რას იტკივებს ხოლმე ინგლისი, როცა ეგრეთ წოდებული აღმოსავლეთის საქმე გატყვრება ევროპაში. აქედამ ისიც ცხადია, რისთვისაც ჰღვრის იმოდენა სისხლს ეგვიპტის გამო, ჰღუპავს იმოდენა ფულსა, და გარდა ამისა იმდურებს ეგვიპტის გამო საფრანგეთსაც.

ავსტრიას რომ გლადსტონმა ერთხელ თითი დაუქნია და მრისხანედ დაუძახა: „ხელები უკანაო“ — ამისი მიზეზი ის არის, რომ კუდიანი ავსტრია ჩუმ-ჩუმად მიცოცავს ადრიატიკის ზღვისაკენ, ამ ზღვით ჰსურს გზა გაიხსნას და ხმელთაშუა ზღვაზედ გავიდეს. აბა ინგლისი ხელს რად შეუწყობს? რად მოინდომებს მეტი მეტოქე იჩინოს იქ, საცა ეხლა თითქმის მარტო თვითონ ჰბატონობს. ინდოეთისაკენ ხმელეთზედაც ერთი გზა მიდის, ხოლო ეს გზა რუსეთს უჭირავს. ეგრეთ წოდებული ავღანისტანის საქმე, რომელმაც შარშან ასეთი ალიაქოთი ასტეხა, სხვა არა არის რა გარდა იმისა, რომ **ინგლისს უნდა რუსეთს ეს გზა შეუკრას და ავღანისტანი წინ გადუღობოს, რადგანაც რუსეთსა და ინდოეთის შუა ავღანისტანია გადახარიხებული. ამიტომაც საქმე ისე გათავდა ინგლისსა და რუსეთს შორის, რომ ავღანისტანის და რუსეთის შუა მიჯნა დაიდვას, რომელსაც არც ერთი უნდა გადავიდეს და არც მეორე.** ინგლისის გა-



## როდის ყოფილა, რომ ჩვენს პრობლემებს გული აუჩუყებია ევროპელი «მეგობრებისთვის»?! იმის დაჯერება, რომ ევროპა რუსეთს დასჯის ან თუნდაც უსაყვედურებს საქართველოს გამო, ძალიან დიდი გულუბრყვილობაა, სხვა თუ არაფერი



## დავოსში მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე ევროპული სახელწიფოების მეთაურებმა გააბრიყვეს გახარია, თქვენ გვერდით ვართო, ალანძღვინეს რუსეთის პრეზიდენტი და საერთოდ თუ არა, გარკვეული დროით მაინც გააქრეს შანსი რუსეთსა და საქართველოს მოლაპარაკებებისა და რაიმე შეთანხმებისა. ვის წისქვილზე ასხამენ ამით წყალს? საქართველოსაზე რომ არა, ცხადია. ილიამ კი — მეტი გააკეთეთ საქართველოსთვისო

რეთი საქმეები ამაზედ ჰტრიალებს და ტკივილიც მაშინ გაუმწვავდება ხოლმე, როცა ისეთი ამბავი რამ გამოტყვრება, რომელიც ცოტად თუ ბევრად, შორიდამ თუ ახლოდამ, ამ საქმეებს შეეხება.

* * *

**ტფილისი,
14 თებერვალი, 1886 წ.**

შიგნით ინგლისს ბევრი ტკივილი აქვს და მათ შორის სამი მეტად დიდი. ერთი ის აღონებს ინგლისს, რომ კოლონიები როგორღაც ვერ ემორჩილებიან, თუმცა, უნდა მართალი ვსთქვათ, ინგლისი ურიგოდ არ ექცევა. მართალია, ინგლისს ჰსწამებენ, რომ კოლონიებს წურბელასავითა ჰსწოვსო, სარჩო-საბადებელს არ არჩენს და სულ თავისაკენ ითლისო, მაგრამ ყოველს ამაში ზოგი რომ მართალი იყოს, ათასი ტყუილია. განწყობილება კოლონიებისა, მათი გამგეობა, ისეთია, რომ ბევრს ენატრება. ადამიანის მუდამი სურვილი უკეთესობისა ხომ მოგეხსენებათ? აი სწორედ ეს უკვდავი სურვილი უფროა მიზეზი იმისთანა მოვლენისა, რომ, მაგალითებრ, კანადა შარშან აუჯანყდა ინგლისსა და აჯანყების მოთავენი სიკვდილით დაისაჯა. კანადაში ინგლისის მფლობელობას ცოტა არ იყოს საძირკველი შეერყა. ამას ინგლისი ასე თუ ისე კიდევ გაუძლებს, რომ გვერდით უფრო დიდი სატკივარი არა სჩენოდა. ეგ სატკივარი ირლანდიის საქმეა.

მტერ-მოყვარენი ინგლისისა, რა თქმა უნდა, არც ფულს და არც წაქეზებას არა ჰზოგვენ, რომ ეგ კერა ყოველთვის ჰღუოდეს საფრთხედ ინგლისის სამინისტროსი. ირლანდიის საქმის გამო ორნაირი აზრი ჰტრიალებს დღეს ინგლისშია. მეთაური ლიბერალებისა გლადსტონი, რომელსაც დღეს შინაურ საქმეებში ტოლი არა ჰყავს თითქმის მთელს ქვეყანაზედ, ირლანდიელების თანამგრძნობია. იგი ამბობს, რომ ირლანდიის დაწყნარება და დამშვიდება ორის საშუალებით შეიძლება მხოლოდო. ერთი, მიწების გამოსყიდვა მიწათმფლობელთაგან და მიწათმომქმედთათვის განაწილება სასყიდლითვე, და მეორე — ირლანდიისათვის თვითმართველობის მინიჭება, ისე კი, რომ ერთობას ინგლისისას არა ევნოს რაო. საკვირველია, რადიკალების მეთაურნი ჩამბერლენი და დილკი, და ბევრი სხვანი რადიკალები, უკანასკნელს საშუალობას თითქმის უარჰყოფენ. პირველის თანახმანი კი თვით კონსერვატორებიც არიან...

საქმეს სინათლე მოეფინება მხოლოდ მაშინ, როცა პარლამენტი კრებას მოახდენს და ამაზედ ლაპარაკს გაჰმართავს. საქმე ისეთს განწირულებამდე მივიდა, იქამდე გამწვავდა ეს ირლანდიის ტკივილი, რომ მაგას გადაწყვეტილი ან ჰო უნდა, ან არა. ეგ ტკივილი ისეთი რთულია და საშიში ინგლისისათვის, რომ ინგლისს საგარეო საქმისათვის არ აცლის და ხელ-ფეხს უკრავს. ამით **ინგლისი იძულებულია, ბევრი რამ დაუთმოს თავის მოცილე სახელმწიფოებს და ეს დათმობა ბოლოს ძვირად დაუჯდება. ამიტომაც, არა გვგონია გამოცდილმა გლადსტონმა პირველშივე ამ საქმეს არ ჩაავლოს ხელი და ასე თუ ისე წყურვილი არ გაამთელოს. დანარჩენი რასაკვირველია პარლამენტზეა დამოკიდებული.**

დღეს პარლამენტში სამის წყობის დასია. უკვე მოგეხსენებათ, რომ გლადსტონის სახელოვანმა კანონმა სოფლებსაც მიანიჭა არჩევანის ხმა და ამ ბოლოს არჩევანში სოფლებმა სულ ლიბერალები აირჩიეს დეპუტატებად, ქალაქებმა და პარნელისტებმა-კი — უფრო კონსერვატორების მომხრენი. დღეს ინგლისის ქვედა პალატაში არიან ლიბერალები სხვადასხვა ფერისა, რომელთ შორის რადიკალებიც არიან ჩამბერლენის და დილკის დროშის ქვეშ, კონსერვატორები, ესე იგი ტორიები, და პარნელისტები. ამბობენ, თუ ლიბერალები ერთმანეთში მოჰთავსდებიან, მაშინ პარნელისტები ვისაც მიუდგებიან, ის მხარე გაიმარჯვებსო. დღეს ლიბერალებისა და რადიკალების ერთობას განხეთქილების მიზეზი აქვს, მაგრამ ჯერ კიდევ სრულს განხეთქილებამდე საქმეს არ მიუხწევია, რადგანაც გლადსტონის სახელი იკავებს ორსავე მხარეს ერთის დროშის ქვეშ. ამაზედ თუ არ დიდი, არანაკლები ტკივილი ინგლისისა — მუშა ხალხის აღრევა არის. ეს ასეთი წყლულია, რომ შეიძლება ადამიანი თან გადაიტანოს.

**თუ იქ, საცა იმოდენა კანონიერი გზა აქვს ყველას თავისი ტკივილი სხვას გააგებინოს, მკურნალთა თვალი და ყურადღება მოიზიდოს და წამალი რამ მოაძებნინოს, სულსა და გულში გამჯდარი აქვს, მუშა ხალხი აიშალა და ძარცვა-გლეჯა დაიწყო, ჰსჩანს, სატკივარი დიდია და ღრმად განძირული აგებულებაში. ინგლისში ამისთანა ამბავი წუთიერს აფეთქებას ვერ მიეწერება: იქაური ხალხი, დიდი თუ პატარა, არამც თუ პატივისმცემელია, არამედ თაყვანისმცემელია კანონისა და წესისა.** იქ, თუ არ დიდი მიზეზი, ვერაფერი სხვა ვერ გამოიწვევდა ამ დიდს უწესობას. ამითი არის საშიში და გასაფრთხილებელი ეს საქმე. ეს ასეთი საქმეა, რომ მარტო დასაცხრომელი და დამაამებელი მალამო ვერას არგებს, როგორც მაგალითებრის ოციათასი თუმანი, რომელიც უსაქმოდ დარჩომილთა მუშათათვის ლონდონის ლორდ-მერმა მოაგროვა. ამ საშინელს მიზეზს ძირიანად უნდა აგებულებიდამ ამოჭრა. ეს საშინელი სატკივარი თუმცა კარგა ხანია ინგლისის აგებულებაში ჰბუდობს, მაგრამ დღეს მისმა სამინისტრომ მთელი თავისი დრო და მეცადინეობა ზედ უნდა შეალიოს. თუ მალე არ უპატრონეს და წამალი არ უპოვეს, ინგლისი სხვა საქმეთათვის ბევრს ველარ მოიცლის, ევროპის საქმეებს ისე გულდადებით ველარ მოჰკიდებს ხელსა, და გამსჭვალული ამ დიდი სენითა შინ, გარეთ საკმაოს ღონით ველარ გამოვა და ველარ იმოქმედებს. ეს ამბავი ყველაზედ მეტად ბისმარკს უნდა ჰფხანდეს გულს, რადგანაც **ამბობენ, რომ ამ ბოლოს ხანებში ბისმარკს სულ ერთი საზარელი ლანდი ელანდებაო: ინგლისმა, საფრანგეთმა და რუსეთმა ერთმანეთს ხელი არ მიჰსცენო. ჩვენ ბოლოს, როცა ყოველს დიდს სახელმწიფოს ამრიგად ჩამოვუვლით, შევიტყობთ, — თუ რამოდენად საბუთიანია და მოსალოდნელი ამისთანა თვალად დაუჯერებელი ზავი, რომელიც დღეს ბისმარკს ძილს უფრთხობს.**

დასაასრული
შემდეგ ნომერში

## ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*



## შტატებში უკეთესია, იყო გეი

**აიოვას შტატის მცხოვრები 30 წლის ადოლფო მარტინესი 15 წელიწადს ციხეში გაატარებს.**

ეს, არცთუ მცირე ვადა, მისთვის არც მკვლელობისთვის, არც გაუპატიურებისთვის, არც ნარკოტიკების გავრცელებისთვის არ მიუსჯიათ. მისი დანაშაული არის ის, რომ ადოლფო ნამდვილი მამაკაცია, რომელმაც ლგბტ-თემის დროშა ჩამოჰგლიჯა ქალაქ ეიმსის ქრისტეს გაერთიანებული ეკლესიის ფასადს და დაწვა იგი. ასე გამოხატა პროტესტი მამათმავლობის მოძალების გამო. ადოლფო დამნაშავედ ცნეს სიძულვილის ნიადაგზე ცეცხლის გაჩენის, ცეცხლთან უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა და ჰარასმენტის გამო. ბოლო პუნქტის გამო მარტინესს მხოლოდ 30 დღე მიუსაჯეს. იოლად გადარჩა: გამორიცხული არ იყო, ციხეში ათწლიანი ციხისთვის გამოეკრა ხელი.

ამასთანავე, ამერიკელმა ვაიმამამ, რომელმაც ნაშვილები რუსი ბიჭი, 21 თვის ბავშვი **დიმა იაკოვლევი** ავტომანქანის უკანა სავარძელში „დაივიწყა" 32 გრადუს სიცხეში, სასამართლომ გაამართლა. მიუხედავად იმისა, რომ, კანონით, 10 წელი უნდა მიესაჯათ.



## ექიმი ასობით ბავშვზე ძალადობაშია ეჭვმიტანილი

**ფრანგი ქირურგი ჟოელ ლე სკუარნეკი მხილებულია 349 ბავშვზე ძალადობაში. ასეთია წინასწარი მონაცემები, — იუწყება France Info პროკურატურის მონაცემებზე დაყრდნობით.**

თავდაპირველად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ამ გარყვნილმა ექიმმა 250 ბავშვზე იძალადა. გასული კვირის პარასკევს დასავლეთ საფრანგეთის ქალაქ ლორიანის პროკურორმა **ლორელინ პეირეფიტმა** პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ლე სკუარნეკი თავის 30-წლიანი პრაქტიკის განმავლობაში 349 არასრულწლოვანზე ძალადობაშია ეჭვმიტანილი. პროკურორმა აღნიშნა, რომ ზოგიერთ ფაქტს უკვე გაუვიდა ხანგრძლივობის ვადა. „ლორიანის პროკურატურა მუშაობს ამ ფაქტების დასაზუსტებლად", — დასძინა მან.

პროკურორმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ დაზარალებულთა საერთო რაოდენობიდან (229 ადამიანი) 197-მა შეიტანა საჩივარი.

გამოძიება ლე სკუარნეკის საქმეზე 2017 წლის მაისში დაიწყო და ამ პერიოდიდან ალკვეთილი აქვს თავისუფლება, პატიმარია.

პედოფილი სასამართლოს წინაშე ოთხ არასრულწლოვანზე ძალადობის ბრალდებით წარდგება.



# ნეოლიბერალური ზნეობა

## ლგბტ-მოძრაობა უკრაინაში სოროსისა და აშშ-ის საელჩოს მიერ იყო ორგანიზებული



**ტყუილად არ უწოდებენ აშშ-ში დემოკრატებს „Donkey"-ს. ეს სიტყვა სლენგში ნიშნავს „შტერს", „სულელს". დემოკრატების წარმომადგენლები არასოდეს ყოფილან ასეთ უაზრო სიტუაციაში: ჩაფიქრებული ჰქონდათ, დაერტყათ დონალდ ტრამპისთვის და მიიღეს არეულობა, რყევა საკუთარ პარტიაში. დემოკრატებს იმპიჩმენტი გრანდიოზულ პოლიტიკურ შეცდომად შემოუბრუნდათ, რომელიც ქვედა პალატაში უმრავლესობის დაკარგვად შეიძლება დაუჯდეთ. დღეისთვის ტრამპს გამარჯვების ისეთი ნაღდი შანსი აქვს, როგორიც არასდროს.**



მარი იოვანოვიჩი

„უკრაინის ქეისი" ვაშინგტონის ერთ-ერთი „კოშკისთვის" პანდორას ყუთად იქცა. დემოკრატებმა ისე ჩაისვარეს უკრაინაში, რომ ტრამპის ადვოკატი ვერ ასწრებს კომპრომანტების შეკრებას. ყველაზე სერიოზული ფაქტი კიევის ჩარევაა ამერიკულ არჩევნებში. გაირკვა, რომ ქალბატონი „ელჩი მარივანოენა" — დიპლომატი **მარი იოვანოვიჩი** უკრაინის ბნელ საქმეებში ყელამდეა ჩაფლული.

აშშ-ის პრეზიდენტისთვის წაყენებულ ბრალდებათა შორის ერთ-ერთი 2019 წლის ოქტომბერში უკრაინაში ამერიკის ელჩის უკანონო გათავისუფლება იყო. მაშინ ააგორეს ინფორმაციის ტალღა, რომ იგი თითქოს იმიტომ დაითხოვეს, რომ წარმატებით ებრძოდა უკრაინულ კორუფციას. კაცმა რომ თქვას, ეს სიმართლეც რომ ყოფილიყო, უცხო სახელმწიფოს ჩარევა უკრაინის საშინაო საქმეებში უხეში დარღვევაა, მაგრამ მარი იოვანოვიჩი გაიწვიეს სრულიად სხვა მიზეზის გამო: **კიეველი კორუფციონერები მას ლამაზ უკრაინელ ქალიშვილებზე ნაკლებად აღელვებდა.**

**აქტიური ლესბოსელი იოვანოვიჩი იმდენად დაკავებული იყო ლგბტ-თემის ინტერესების დაცვით უკრაინაში, რომ საერთოდ დაივიწყა თავისი სახელმწიფოს ინტერესები. ამერიკის საელჩო ლობირებდა არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანების მნიშვნელოვან თანამდებობებზე დანიშვნას. უკრაინელი მოხელეების პროფესიული თვისებები მათ სექსუალურ მიდრეკილებებზე ნაკლებად ფასობდა.**

მარი იოვანოვიჩი ლგბტ-ს ცნობილ მფარველ სოროსთან ერთად კიევში გეიაღლუმების ორგანიზატორი იყო. პირველ მასშტაბულ „პრაიდში" ეს ქალბატონი საელჩოს 60 თანამშრომელთან ერთად პირადად მონაწილეობდა, ხოლო ამერიკულ „ვარდისფერ-ცისფერ" კოლონას სათავეში ედგა ევროპისა და ევრაზიის საკითხებში სახელმწიფო მდივნის ამჟამინდელი მოადგილე **ჯორჯ კენტი.**

კიევში ამ სოდომური ღონისძიების დასაცავად თავგადაკლულმა პოლიციამ დაარბია მლოცველი ქრისტიანები. გადამხდელთა მილიონობით გრივნა დაიხარჯა „პრაიდის" უსაფრთხოების დაფინანსებაზე. აშშ-ის საელჩოს მოთხოვნით, 5 ათასზე მეტი პოლიციელი იცავდა რამდენიმე ასეულ ლგბტ-ელს.

იოვანოვიჩის წინადადებით, „პრაიდში" მონაწილეობდნენ უკრაინის აღმოსავლეთში მებრძოლი გეები. „მაგარი ჯარისკაცული სიყვარულის" თაყვანისმცემელთა ჯგუფი 30-კაციანი იყო, თუმცა მოგვიანებით ყველა მათგანმა უარყო პედერასტობა: ჩვენ მხოლოდ მხარს ვუჭერდით უკრაინაში თავისუფლებასა და დემოკრატიას, სულ ეგ იყოო.

კიევში გეისაელჩოს შესახებ საჩივრით აშშ-ის პრეზიდენტს ამერიკის მართლმადიდებლურმა მრჩევლმა მიმართა. მორწმუნეებმა ხმა აღიმაღლეს იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკელი დიპლომატები უკრაინაში სოდომური „ღირებულებების" გავრცელებით არიან დაკავებულნი.

ნაციონალისტი **იაროში** იძულებული გახდა, განეცხადებინა, რომ უკრაინის არმიაში გეები არ არიან. დასავლური ზნეობის დამცველები (გარწმუნებთ, რომ არიან!) საკმაო რაოდენობითაც არიან. უკვე არის საჯაროდ აღიარების შემთხვევებიც, აღიარებენ აივ ინფექციით დაავადებასაც. გეებს ინტერვიუს ართმევენ დასავლელი ჟურნალისტები, პედერასტი ჯარისკაცები გეიაღლუმებში მონაწილეობენ.

მას შემდეგ, რაც ტრამპმა „გეიელჩები" შეცვალა, მომდევნო „პრაიდისთვის" მზადებას პოროხობოტები (პოროშენკოს მხარდამჭერები) და მათი დასავლელი კურატორები შეუდგნენ. ვინიცის სასტუმრო „პოდოლიეში" გაიმართა ჟურნალისტების ტრენინგი აღნიშნული ღონისძიების ტოლერანტულად გაშუქების საკითხებზე. სემინარის ორგანიზატორი იყო საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ჟურნალისტური გამოძიებების ვინიცის სააგენტო". ღონისძიება ისეთი არ გამოუვიდათ, როგორიც ჩაფიქრებული ჰქონდათ: სამი უცხო პირი შევიდა სასტუმროს ტერიტორიაზე, დამსწრეთ ზეთი გადაასხეს და ბუმბულები დააყარეს.

ქათმები ხართო!

ჩვენი აზრით, ფინალი ზუსტად შეესაბამებოდა ამ მიმართულების მქონე სემინარს. ვიმედოვნებთ, რომ ბუმბული ისეთი მრავალფეროვანი იყო, როგორიც „პრაიდების" მოყვარულებს მოსწონთ.

**იგორ მირტოვსკი**

**აქტიური ლესბოსელი იოვანოვიჩი იმდენად დაკავებული იყო ლგბტ-თემის ინტერესების დაცვით უკრაინაში, რომ საერთოდ დაივიწყა თავისი სახელმწიფოს ინტერესები. ამერიკის საელჩო ლობირებდა არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანების მნიშვნელოვან თანამდებობებზე დანიშვნას. უკრაინელი მოხელეების პროფესიული თვისებები მათ სექსუალურ მიდრეკილებებზე ნაკლებად ფასობდა**

**ერგასი წელია, ვეწევი საგამომგონებლო საქმიანობას ჭაბუკობიდან. ამ ხნის მანძილზე შევქმენი 58 გამოგონება, გამოცემული მაქვს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე მონოგრაფია „მევენახეობა ახლებურად“. ახალგაზრდობის საგამომგონებლო საქმიანობის გააქტიურების მიზნით კი — „ვაზი ჩვენი სიამაყე“ და „ხვალის ვენახი“. დაჯილდოვებული ვარ ღირსების ორდენით, 3-ჯერ — ოქროს მედლით და 5-ჯერ — უმაღლესი საავტორო გასამ?ჯელოთი — 20 000 მანეთით. პირველი 20 000 გადავრიცხე ჩერნობილის დახმარების ფონდში. მონიჭებული მაქვს დამსახურებული გამომგონებლის წოდება.**

ფერმერი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვაზისა და პოეზიის ქვეყნის პრემიერმინისტრს, ბატონ გიორგი გახარიას

**ბატონო გიორგი!**

დარწმუნებული ვარ, დამეთანხმებით, სიახლე აქტუალურია მაშინ, თუ ის მნიშვნელოვანია. თქვენი რეფორმატორული ბუნება მკარნახობს, წარმოგიდგინოთ ინოვაცია, ვაზის სამშობლოში მევენახეობის ახლებურად განვითარების შესახებ, ვენახების მაღალ-დაბალი ფორმირებების გაშენებით, იმ მიზნით, რომ ტრაქტორმა დაბალ რიგს გადააბიჯოს, ერთი გავლით ორი რიგი დაამუშაოს და 50 %-ით დაიზოგოს მექანიზაციის ხარჯები და ფართორიგიანი ვენახების შემცირების ხარჯზე ათიათასობით ჰექტარი მიწა ჩვენი მცირემიწიანი ქვეყნის სამსახურში ჩადგეს. ეს ჰაერივით სჭირდება ხვალინდელ საქართველოს.

ვიწრო რიგიან ვენახებში (რომელიც ჯერ კიდევ ჭარბად არსებობს) მევენახეები გათავისუფლდნენ მონური შრომისგან. კერძოდ, ზურგის აპარატით ვაზის შეწამვლისგან და ვენახების ცხენით მოხვნისგან, მაგრამ „სტარტაპ საქართველომ“ არაფრად ჩააგდო აღნიშნული, მით უმეტეს, მის დირექტორ **დავით საგანელიძეს** ჩემი მეზობლის, **ფრიდონ ბურდულის,** დაკრძალვაზე ვთხოვე (რადგან მასთან მისვლა კაბინეტში შეუძლებელი აღმოჩნდა), ხელახლა განეხილათ. შემპირდა, მაგრამ ამაოდ. ეს გამოგონება საჩუქრად გადავეცი საქართველოს (პატენტი № 245) იმ მიზნით, რომ ჩვენი სამშობლო იყოს ამ ინოვაციის პიონერიცა და პატენტმფლობელიც.

პრაგმატულად თუ ვიმსჯელებთ, არავისთვის გახდება სადავო, რომ წინამდებარე წერილის ავტორი იმსახურებს პრემიერის დახმარებას არა თამაზ ქვლივიძის პირადი მიზნებისთვის, არამედ ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

**დახმარება კი ის იქნება, დაავალოთ „სტარტაპ საქართველოს“, რომლის უპირველესი მოვალეობაცაა სიახლეების ხელშეწყობა, განიხილოს გამოგონება არა ფორმალურად, არამედ დედააზრის გათვალისწინებით. და მთავრობის მაღალი ტრიბუნიდან ბატონ გიორგი გახარიას მიერ წარმოთქმული სიტყვები — „უნდა გვახსოვდეს, რომ ყველამ ერთად ვიზრუნოთ ჩვენს ქვეყანაზე, ერთად მოვუაროთ ჩვენს ქვეყანას“, საქმით იქნება დამტკიცებული.** გამოგონებების ქაოსიდან ასე გადავინაცვლებთ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გზაზე, ურომლისოდაც არამხოლოდ განვითარება-აყვავება, არამედ დალხინებული ცხოვრებაც შეუძლებელია.

აღნიშნულს იმასაც დავუმატებ, რომ, ბოლო წლებია, წარმატებით ვცდი პრეპარატს, რომელიც ვაზის შეწამვლის ჯერადობას ამცირებს. სრულფასოვანი შედეგების დასადასტურებლად წელს 100-ზე მეტი მევენახე გამოიყენებს და ურიგო არ იქნება, თქვენთვის სასურველი მეზვრეც ჩაერთოს ამ მნიშვნელოვან პროცესში.



გთხოვთ, გაითვალისწინოთ ისიც, რომ **ერგასი წელია, ვეწევი საგამომგონებლო საქმიანობას ჭაბუკობიდან. ამ ხნის განმავლობაში შევქმენი 58 გამოგონება, გამოცემული მაქვს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე მონოგრაფია „მევენახეობა ახლებურად“, ახალგაზრდობის საგამომგონებლო საქმიანობის გააქტიურების მიზნით კი — „ვაზი ჩვენი სიამაყე“ და „ხვალის ვენახი“. დაჯილდოვებული ვარ ღირსების ორდენით, 3-ჯერ — ოქროს მედლით და 5-ჯერ — უმაღლესი საავტორო გასამრჯელოთი — 20 000 მანეთით. პირველი 20 000 გადავრიცხე ჩერნობილის დახმარების ფონდში. მონიჭებული მაქვს დამსახურებული გამომგონებლის წოდება.**

ჩემი გამოგონებები დაუთვალიერებიათ ქვეყნის პრეზიდენტს, პრემიერმინისტრებს და ჩამოსულ თვალსაჩინო სტუმრებსაც. ჩემი გამოგონებული ვაზის რქების სამაგრები საქართველოს გარდა დაინერგა უკრაინაში, აზერბაიჯანში, სომხეთში და 1980-1990 წლებში ქვეყნის ბიუჯეტში შევიდა ორ მილიონზე მეტი მანეთის მოგება. აწარმოე საქართველოს პროგრამის წყალობით, 2015 წელს განახლდა მისი გამოშვება და დღესაც სარგებლობს ბევრი მევენახე.

რადგან ბრძანდებით არა მხოლოდ ვაზის, არამედ პოეზიის სამშობლოს პრემიერმინისტრიც, სიამაყით დავძენ იმასაც, რომ ვაზს მივუძღვენი არა ერთი ლექსი იმგვარად, რომ ვაზიც კი ვალაპარაკე.

ვაზი გამძლე ვარ გვალვისა, ეს ჩემი ფესვის არსია,
როგორც ვენახი კაცისთვის ცხოვრების შინაარსია.
ამაყად დავძენ, ნაღდია, აქ არაფერი ფარსია,
ვაზის და ღვინის ქვეყანა კვლავ აყვავების ღირსია!

შემწამლე, პაპავ, დროულად, ჭრაქმა არ მახლოს ხელიო,
გულით თუ გვინდა, დაგვიდგეს ბარაქიანი რთველიო,
ახალი წელი გახდება განვითარების წელიო,
რადგან მეკვლეა სიკეთე, აღორძინებას ველიო.

რქაწითელი ჯიშით ლაღობს, შემიდგი გვერდში სარიო
შემოვეხვევი შვილივით, ვეღარ გადამტეხს ქარიო
გამიფხვიერეთ ფესვები, ავაღორძინო ზვარიო
რომ აღტაცებით ავწიო სამშობლოს დროშის ტარიო.

**რუსთაველს კი დაბადების 850 წლის აღსანიშნავად 850-სტრიქონიანი პოემა მივუძღვენი მისთვის საკადრისი რითმით, მარცვლითა და, არათუ ვეშაირები, არამედ თავადაც მეშაირება 850 წლის უჭკნობი მგოსანი. მკითხველს პოემა სრულად შეუძლია იხილოს ბიბლუსის მაღაზიებში დასახელებით „ვაზისა და 850 წლის რუსთაველის საუბარი“.**

ვაზი რომ მამამ გამისხლა და გამომქონდა წალამი,
ფიქრის გალექსვა მომწადდა, ხელში ავიღე კალამი,
ფიცხლად ლერწისგან დავწანი შოთასთვის ოქროს ალამი,
რითაც რომ მინდა გაახლო რვაასი სტროფით სალამი.

ბევრი ვიფიქრე, რუსთველო, სიკეთით, არა ჯავრითა,
უკვდავად როგორ იქეცი სახელოვანი გვარითა?
ვხსენი და ვენახს ამოვხსენ რიგებში ვაზთა ჯარითა,
დალოცვილი ხარ ღვთისაგან, ნინოს ვაზისა ჯვარითა!

რა დედამ გშობა ასეთი, დაუჭკნობელო ქართველო,
ვხსენი და წიგნით ამოვხსენ, დიდსულოვანო რუსთველო,
სიტყვის ოსტატთა მეფე ხარ, ქართული სიტყვის მამრთველო,
სახიერდები ცოცხლადა, პოეზიისა მმართველო.

მამაც, გავიგე, მგოსანო, გყოლია გასაოცარი
დიდ ბასიანის რაინდი, ქართველ სპათ დასაფიცარი,
სამშობლოს მოსიყვარულე, მისი გულისა ფიცარი,
სისხლში ბადაგიც გდგომიათ, ბადაგის არსი რაც არი.

კვალსა გონებით გავყევი, მადლობელი ვარ თავისა,
ვარსკვლავმაგვარი ძმაც ვპოვე შენი და არა სხვაისა,
თან გამოვნახე ამინდი საუკეთესო თესვისა,
ძმადნაფიცი ხარ ვაზისა, დაუჭკნობელი ფესვისა.

ღმერთო, ღმერთო, გევედრები, სიბოროტე ყველას სძულდეს,
ავსა სისხლი დაეწმინდოს, რომ სიავე დაუსრულდეს,
ქველსა დარდი შენ მოაკელ, მას სიცოცხლე გაუგრძელდეს,
კაცსა კაი რაცა სურდეს, საწადელი აუსრულდეს.

გზას დავადექ დავით-გარეჯს, რომ ვეწვიე საგარეჯოს,
სამი ნატვრა გულს დამესვა — კაცი ქველად გაისარჯოს,
რომ არავინ არავისთვის სიბოროტე არ დახარჯოს,
საქართველოს ყველა კუთხეს ზეცის ძალით გაუმარჯოს!

მეაზრება კიდევ მეტი, ბაასობა ვაზთან ქველთან,
ჟამსა ვპოვებ — წალამს ვიღებ საშაიროდ რუსთაველთან:
აწ ჟამია გადარჩენის, ხმობა გვმართებს დიდგორ ველთან,
პოემისა დედააზრი ზიარია ოქროს რთველთან.

ცოცხალი ხარ, დიდო ბრძენო, მგოსანო და მჭერმეტყველო,
უნდა აგვყვე, არ დავეცეთ, ფონს გავიდეთ, რუსთაველო,
სასიკეთოს კვლავაც დავძენ, ჩემო ერო ბრძენმეტყველო,
ედემის ბაღს დავამსგავსოთ საყვარელი საქართველო.

ედემს ოდეს რომ ემსგავსოს საქართველო სანუკველი,
განადიდეთ კაცის ნიჭი ღვთით ნაბოძი უშურველი,
დაამკვიდრეთ ერთგულება წინაპრული უძლეველი,
აირჩიეთ დავითის გზა აწ და მარად საკვირველი.

ოქროს ხანიდან მოვდივარ შოთა ბევრისა მნახველი,
დია მწადია, მოგითხროთ გმირების საქმე ძირძველი,
ჭეშმარიტებით გიამბოთ წინაპრებისა ყოველი,
და თამარისა ამბავი, საქმენი გასაკვირველი.

ჩემს დროს ასანთიც არ იყო, არა თუ ავიაცია,
მაგრამ ქართველმა სამშობლო ისეთ ქვეყანად აქცია,
სულ გააოცა მსოფლიოს სხვადასხვა მძლავრი ნაცია,
იმგვარად, რომა ეპოქა უჭკნობად გადააქცია.

ერთხელ როცა ბასიანში მტრისა ჯარი შემოვარდა,
მოყვრის ცხენი წაბორძიკდა და მხედარი გადმოვარდა,
თამარმა რომ თვალი მოჰკრა, მყის საშველად მას მივარდა,
იმ მხედარსა ის ტკივილი იმწუთშივე განუქარდა.

მეფის ამგვარმა ქმედებამ ლაშქარი აღაფრთოვანა,
ერი მუშტად ისე შეკრა, ერთგულება შთააგონა,
გონიერმა გამარჯვება გონივრულად მოიგონა,
მტერი მოსრა, ავს და დუშმანს რისხვის ზარი გააგონა.

მე ბასიანშიც ვიდექი, როცა იბრძოდა თამარი,
სახელოვანი სარდლობა სამშობლოს ოქროს ქამარი,
ლეგენდარულად დაბრუნდა გამარჯვებული ლაშქარი,
მტერი მოისრა, დაგვირჩა მოსაგონარი ზღაპარი.

ვითა ნიკოლოზს, ბარბარეს, გიორგის, ნინოს, თომასა...
ოცნებაში აქვს მისდიოს სხვადასხვა საქმის წვდომასა,
მეცა ვნატრობდი რუსთველი მგოსნობასა და ფრენასა,
მომეცნეს ფრთენი, ავფრინდე, მივხვდე მას ჩემსა ნდომასა*.

აი, ასრულდა წადილი — „ლითონის ჩიტით“ ვიფრინე,
გავინავარდე ზეცაში, ძალმომატებით ვილხინე,
ჩემს ხელით ტურფად დაწნული რითმები ცაში მოვფინე,
ვარსკვლავთან მიახლოებით ქართველი მეტად ვაბრწყინე.

ავახმიანოთ მამული სიახლეებით ქარგული,
ნეტარებისკენ გავწიოთ სამშობლო ვაზით მორთული
სამოთხის ბაღად ვაქციოთ ეს მიწა-წყალი ქართული
საამო არის სასმელად ღვინო ქვევრისა განთქმული.

ბრძნული აზრები მოვიხმოთ ნაცადი დავითიანი,
ავაღორძინოთ სოფლები, სვიანი, ბადაგიანი,
ნიჭის წყალობით გავხადოთ ქვეყანა ბარაქიანი,
წალკოტად გადაიქცევა მიწაც ქართული მთლიანი.

დღეს რომ კომლები იცლება, ესაა უბედურობა
ამის მიზეზი ერთია — მძლავრობდა უკეთურობა,
ჭირსა ტკივილით ვაჟღერებ, არაა აქა ხუმრობა,
მჯერა, სატკივარს გააქრობს ქართულ ოცნების მთავრობა.

გულდაწყვეტილმა ვიხილე შემცირებული თაობა,
განა ამისთვის ილვწოდა ქართველთა ერისკაცობა?
უფრორე მეტად დავღონდი, რომ ვერ ვიხილე ერთობა
და სიყვარულის მაგიერ თვალს მოხვდა კაცთა მხეცობა.

ვძებნე და ვპოვე საშველი ჩვენი ერისა რჩენისა,
კანონი არის მთავრი მომავლის გამოჩენისა,
რომ აღარ გავხდეთ მოწმენი სასტიკი განაჩენისა,
გზებია გასაკაფავი, სამშობლის გადარჩენისა.

მით, რომე გზაა საჭირო მტერნი საომრად მზანია*,
მესმის პრობლემა მძიმეა, გრძელი და ასწლოვანია,
მაგრამ ქართველი ბრძენია, ბუნებით ხელოვანია
მიუღწევლობა მიზნისა, ქართველთვის დასანანია.

გავერთიანდეთ, დავიწყოთ აღორძინება ოცნებით
დიდი ილიას აზრებით, მისი სიბრძნით და გონებით
მხოლოდ და მხოლოდ დევიზით —
„ბრწყინვალ გიორგის მიზნებით“
ქვეყნის წინ სვლა ვცან შენებით, წინაპრებისა მიგნებით.

გმირ წინაპართა ბილიკზე ერი რომ მარად ნათობდეს,
და მომავალი სულ მუდამ მათ ნამოღვაწარს ამკობდეს,
მთავრობა გვინდა ელვარე, ერის სატკივარს აქრობდეს,
და ქვეყნის მთავარსარდალი სამაგალითოდ სარდლობდეს.

მომეცნეს ფრთენი, ავფრინდე, მივხვდე მას ჩემსა ნდომასა*
მით, რომე გზაა საჭირო მტერნი საომრად მზანია*.

****რუსთაველის ეს სტრიქონები არ ზის ბრჭყალებში შეგნებულად ლექსის არსიდან გამომდინარე.***

პატივისცემით, **თამაზ ქვლივიძე**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**წყვილმა ვისკონსინიდან (აშშ) შეიძინა ასლი ვან გოგის ნახატისა „ვაზა წითელი ყაყაჩოებით“. რეპროდუქცია ისეთი კარგი იყო, რომ მეუღლეებს ეჭვი შეეპარათ, ხომ არ იყო ეს ორიგინალი. სპეციალისტმა დაადასტურა, რომ ეს იყო ვან გოგის მიერ 1886 წელს დახატული სურათი, რომელიც 1,4 მლნ დოლარად არის შეფასებული.**

# განძეული, რომლებმაც მპოვნელები მილიონერებად აქცია

ზოგჯერ ბაზრობაზე მოქალაქეების მიერ გასაყიდად გამოტანილ ძველმანებში შეიძლება წააწყდეთ განსაცვიფრებელ საგანს, რომელიც მდიდარ ადამიანად გაქცევთ და, სანამ მავანი რარიტეტებს ეძებს, ზოგიერთ იღბლიანს ის, ასე ვთქვათ, თავზე ეცემა.




## 1. ჰარტფორდშირის განძი

ინგლისელმა **უესლი კარინგტონმა** ლითონის საძებნი უბრალო მოწყობილობა შეიძინა და პირველივე დღეს სენტ-ოლბანსის (ჰარტფორდშირი) ტყეში 55 რომაული ოქროს მონეტა იპოვა. მონეტების საერთო ღირებულებამ 260 ათასი გირვანქა სტერლინგი შეადგინა.




## 2. ნახატი «მაგნოლიები ოქროსფერ ხავერდზე»

ინდიანის შტატის (აშშ) მცხოვრებმა კედელზე ნახვრეტის დასაფარავად ნახატი შეიძინა. რამდენიმე წლის შემდეგ სამაგიდო აუქციონის თამაშისას ნახა, რომ სათამაშო ბარათზე ზუსტად ისეთი ნახატი იყო გამოსახული, როგორიც წლების წინ შეიძინა ნახვრეტის დასაფარავად. ექსპერტის მიწვევის შემდეგ ბედნიერმა შეიტყო, რომ მფლობელი იყო ამერიკელი მხატვრის — **მარტინ ჯონსონ ჰედის** მანამდე უცნობი შედევრისა, რომელიც 1,2 მლნ დოლარად არის შეფასებული.




## 3. ვან გოგის «ვაზა წითელი ყაყაჩოებით»

წყვილმა ვისკონსინიდან (აშშ) შეიძინა ასლი ვან გოგის ნახატისა „ვაზა წითელი ყაყაჩოებით“. რეპროდუქცია ისეთი კარგი იყო, რომ მეუღლეებს ეჭვი შეეპარათ, ხომ არ იყო ეს ორიგინალი. სპეციალისტმა დაადასტურა, რომ ეს იყო ვან გოგის მიერ 1886 წელს დახატული სურათი, რომელიც 1,4 მლნ დოლარად არის შეფასებული.




## 4. 1974 წლის პენი

**რობერტ ლოურენსს** მამისგან მემკვიდრეობით ერგო სენდვიჩის კოლოფში ჩაყრილი მონეტების კოლექცია. სწორედ ამ კოლექციაში აღმოჩნდა პენი (ბრიტანული ხურდა ფული) 1974-D, რომელიც თავდაპირველად შეაფასეს 300 დოლარად, შემდეგ კი გაირკვა, რომ მონეტა ალუმინისგანაა დამზადებული. ასეთი მონეტა სულ 10 ცალი მოჭრეს და, მიიჩნევდნენ, რომ ყველა განადგურებული იყო. უნიკალური პენის ღირებულება 2 მლნ დოლარია.




## 5. 1917 წლის ვისკი

**ბრაიან ფიტმა** თავისი სახლის სხვენზე იპოვა სამალავი, რომელშიც იყო 1917 წელს გამოშვებული 13 ბოთლი ვისკი. ექსპერტებმა განძი 2,6 მლნ დოლარად შეაფასეს. ბედნიერმა ფიტმა კი განაცხადა, რომ არ გაყიდის ამ ძვირფას ვისკის და მას მეგობრებთან ერთად დალევს.




## 6. ნიკოლოზ II-ის მიერ შეკვეთილი ფიგურა

ჯორჯ და ბეტი დევისებმა, როცა ძველმანებისგან სხვენის გაწმენდას შეუდგნენ, იპოვეს ადამიანის ფიგურა, რომელიც მათ ფასეულად მოეჩვენათ, როგორც გაირკვა, ეს ფაბერჟეს მიერ ქვისგან შექმნილი იშვიათი ფიგურა იყო, რომელიც ოსტატმა რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-ის შეკვეთით დაამზადა. ფიგურა აუქციონ Stair Galleries-ზე 5,2 მლნ დოლარად გაიყიდა.




## 7. უცნაური მარგალიტი

ფილიპინელ მეთევზეს კუნძულ პალავანთან ახლოს რიფებში ნავი გაეჩხირა. ღუზის გათავისუფლებისას უზარმაზარი მოლუსკი იპოვა, რომლის შიგნითაც იყო 34 კგ წონის მარგალიტი. მეთევზე 10 წლის განმავლობაში საწოლის ქვეშ ინახავდა მარგალიტს, სანამ მის სახლს ცეცხლი არ წაეკიდა. ამჟამად მარგალიტი საიმედოდაა დაცული, მისი ფასი კი 35 მლნ დოლარია.




## 8. «კოკა-კოლას» აქციები

**ტონი მერონმა** ბაზრობაზე 5 დოლარად შეიძინა კოლოფი, რომელშიც დოკუმენტები იყო და ხელში ჩაუვარდა დოკუმენტი (ვექსილი) Palmer Union Oil-ის 1625 აქციის ფლობაზე. როგორც გაირკვა, კომპანიების მრავალი შერწყმა-შეერთების შედეგად ეს აქციები „კოკა-კოლას“ 1,8 აქციის დასაკუთრების უფლებას იძლეოდა, რაც 130 მლნ დოლარად არის შეფასებული.



## 9. უზარმაზარი ოპალი

მსოფლიოში ყველაზე დიდი ოპალი ახალგაზრდა მამაკაცმა იპოვა 2011 წელს ავსტრალიის უდაბნოში. ოპალის წონა 12 კგ-მდეა, ფასი — 1 მლნ დოლარი.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




**სამეულმა — მიხაილოვ-პეტროვ-ხარლამოვმა — დაანგრია მითი კანადელი და ამერიკელი პროფესიონალების უძლეველობის შესახებ, როცა საბჭოთა ნაკრებმა „ენ-ჰა-ელ"-ის (NHL-ის) საუკეთესო მოთამაშეებით დაკომპლექტებულ ნაკრებს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია ჯერ 1972 წელს (3 მოგება, 1 ფრე, 4 წაგება), შემდეგ კი 1976 წელს პირწმინდად გაანადგურა (4 მოგება, 3 ფრე, 1 წაგება). ამ თამაშებში საბჭოთა კავშირის ნაკრებში ზემოაღნიშნულ სამეულთან ერთად გამოირჩეოდნენ მეკარე ვლადისლავ ტრეტიაკი, მცველები — ალექსანდრე გუსევი და ვალერი ვასილიევი, თავდამსხმელები — ალექსანდრე იაკუშევი და ალექსანდრე მალცევი.**

# «მისტერ რუსული ჰოკეი»

**ვალერი ხარლამოვი კაშკაშა ვარსკვლავია საბჭოთა ჰოკეისტების იმ შესანიშნავი თაობისა, რომელმაც 1970-იან წლებში უამრავ ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია საერთაშორისო ასპარეზზე. საბჭოთა კავშირის იმ ლეგენდარულ ნაკრებში ვალერი ხარლამოვი ერთ-ერთ წამყვან როლს თამაშობდა — მის გოლებსა და შედეგიან გადაცემებს მოჰქონდა გუნდისთვის წარმატებები და დიდება. სპეციალისტებისა და გულშემატკივრების აზრით, რომლებსაც ხარლამოვი ყინულის მოედანზე უნახავთ, ის უცხოპლანეტელივით თამაშობდა. მისი ფინტები და ვირტუოზული სრიალი, აგრეთვე, ტყორცნები გამარჯვების საწინდარი იყო სსრკ-ის ნაკრებისა და არმიის ცენტრალური სპორტული კლუბისთვის („ცე-ეს-კა") ბევრ მატჩში.**






**ვალერი ხარლამოვი** 1948 წლის 14 იანვარს მოსკოვში დაიბადა. მამამისი — **ბორისი** ზეინკლად მუშაობდა ქარხანა „კომუნარში", დედა — **კარმენ ორივე-აბადი,** წარმოშობით ბასკი (ბილბაოდან), ხარატი იყო იმ ქარხანაში, რომელშიც მისი მომავალი მეუღლე მუშაობდა.

ვალერი ხარლამოვმა ჰოკეის თამაში ადრეული წლებიდან დაიწყო. მამამისი გატაცებული იყო სპორტის ამ სახეობით და შვილსაც ყველანაირად უწყობდა ხელს ჰოკეისტის უნარ-ჩვევების გამომუშავებაში. ისინი ვარჯიშებზე ერთად დადიოდნენ, ამასთანავე, მამა ასწავლიდა შვილს ციგურებზე დგომას და ხელში ყვანჯის სწორად დაკავებას.

იმპროვიზებული გაკვეთილები შეწყდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ოჯახმა გადაწყვიტა, ესპანეთში გადასულიყო. იმ პერიოდში, როცა ხარლამოვების ოჯახი ბილბაოში ცხოვრობდა, ვალერის მთავარი გატაცება ფეხბურთი იყო, თუმცა ჰოკეიში ვარჯიშისგან მიღებული შთაბეჭდილებები არ განელებია. საბჭოთა კავშირში დაბრუნების შემდეგ ვალერი ხარლამოვი მოსკოვის არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის ჰოკეის სკოლაში ჩაეწერა.

ჰოკეის მომავალმა თავდამსხმელმა პირველ წარმატებებს ყმაწვილობისას მიაღწია. მწვრთნელები „ცე-ეს-კას" ხელმძღვანელობას ურჩევდნენ, ხარლამოვი მთავარ გუნდში აეყვანათ, მაგრამ მათ ყმაწვილ ჰოკეისტში განსაკუთრებული ნიჭი ვერ შეამჩნიეს. არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის ხელმძღვანელებმა ხარლამოვს სათანადო ყურადღება მინსკში გამართულ საერთაშორისო ტურნირში შესანიშნავად გამოსვლის შემდეგ მიაპყრეს. არცთუ მაღალი ვალერი ყინულის მოედანზე აზროვნებითა და თამაშის შესანიშნავად „წაკითხვის" უნარით გამოირჩეოდა.

1968 წელს „ცე-ეს-კას" მწვრთნელმა ნელ-ნელა დაიწყო ხარლამოვის გამოყვანა ძირითად შემადგენლობაში. პირველი შაიბა მან მოსკოვის „კრილია სოვეტოვის" კარში გაიტანა და იმავე წლის (1968 წ.) ოქტომბერში დაიწყო **ვლადიმერ პეტროვისა** და **ბორის მიხაილოვის** გვერდით თამაში. სწორედ ამ მომენტიდან გაუმჯობესდა ვალერი ხარლამოვის მაჩვენებლები ელვის სისწრაფით — მას ბევრი შაიბა გაჰქონდა და ბევრი შედეგიანი გადაცემის ავტორიც იყო.

1969 წელს „ცე-ეს-კას" ახალგაზრდული სამეული (აღსანიშნავია, რომ ამ სამეულის შექმნის იდეა ლეგენდარულ მწვრთნელ **ანატოლი ტარასოვს** ეკუთვნის) საბჭოთა კავშირის ნაკრებში გამოიძახეს. პირველივე თამაშებიდან სამეულმა — **მიხაილოვ-პეტროვ-ხარლამოვმა** — უმაღლესი კლასი აჩვენა და უმნიშვნელოვანეს რგოლად იქცა სსრკ-ის ნაკრებში. თვითონ ვალერი ხარლამოვი მაღალი შედეგიანობით გამოირჩეოდა. სამეულის დებიუტი სსრკ-ის ნაკრების შემადგენლობაში შედგა შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში მსოფლიო ჩემპიონატზე. მიხაილოვმა, პეტროვმა და ხარლამოვმა 21 შაიბა შეაგდეს (მიხაილოვმა — 9, პეტროვმა — 6, ხარლამოვმა — 6), საბჭოთა ნაკრებების წევრებმა კი ჩემპიონატის ოქროს მედლები მოიპოვეს.

1970 წლის ჩემპიონატზე საბჭოთა ნაკრებმა კვლავ დაიკავა პირველი ადგილი. მიხაილოვმა და ხარლამოვმა 7-7 შაიბა შეაგდეს, პეტროვმა — 5. ტურნირის მთავარი გმირის წოდება კი მოიპოვა მათმა თანაგუნდელმა **ალექსანდრე მალცევმა**, რომელმაც 10 თამაშში 15 შაიბა შეაგდო.

**«მისტერ რუსული ჰოკეი» (ასე ეძახოდნენ ხარლამოვს კანადელი და ამერიკელი ჟურნალისტები) მონაწილეობდა 11 მსოფლიო ჩემპიონატსა და 3 ოლიმპიურ თამაშებში. ამ შეჯიბრებებში საბჭოთა კავშირის ნაკრები მე-3 ადგილზე ქვემოთ არ დაშვებულა და მოიპოვა ოქროს მედლების 10 კომპლექტი: 8 — მსოფლიო ჩემპიონატებში, 2 — ოლიმპიადებზე. ვალერი ხარლამოვი საბჭოთა ნაკრების ლიდერი იყო თითოეულ ტურნირზე. მას ჰოკეის ისტორიაში ერთ-ერთ ბრწყინვალე თავდამსხმელად მიიჩნევდნენ**



**სულ კი „მისტერ რუსული ჰოკეი" (ასე ეძახოდნენ ხარლამოვს კანადელი და ამერიკელი ჟურნალისტები) მონაწილეობდა 11 მსოფლიო ჩემპიონატსა და 3 ოლიმპიურ თამაშებში. ამ შეჯიბრებებში საბჭოთა კავშირის ნაკრები მე-3 ადგილზე ქვემოთ არ დაშვებულა და მოიპოვა ოქროს მედლების 10 კომპლექტი (8 მსოფლიო ჩემპიონატებში, 2 ოლიმპიადებზე). ვალერი ხარლამოვი საბჭოთა ნაკრების ლიდერი იყო თითოეულ ტურნირზე. მას ჰოკეის ისტორიაში ერთ-ერთ ბრწყინვალე თავდამსხმელად მიიჩნევდნენ.**

სამეულმა — მიხაილოვ-პეტროვ-ხარლამოვმა — დაანგრია მითი კანადელი და ამერიკელი პროფესიონალების უძლეველობის შესახებ, როცა საბჭოთა ნაკრებმა „ენ-ჰაელ"-ის (NHL-ის) საუკეთესო მოთამაშეებით დაკომპლექტებულ ნაკრებს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია ჯერ 1972 წელს (3 მოგება, 1 ფრე, 4 წაგება), შემდეგ კი 1976 წელს პირწმინდად გაანადგურა (4 მოგება, 3 ფრე, 1 წაგება). ამ თამაშებში საბჭოთა კავშირის ნაკრებში ზემოაღნიშნულ სამეულთან ერთად გამოირჩეოდნენ მეკარე **ვლადისლავ ტრეტიაკი,** მცველები — **ალექსანდრე გუსევი** და **ვალერი ვასილიევი**, თავდამსხმელები — **ალექსანდრე იაკუშევი** და **ალექსანდრე მალცევი.**

ვალერი ხარლამოვი მეუღლესთან ერთად 1981 წლის 27 აგვისტოს დაიღუპა ავტოკატასტროფაში.

ჰოკეისტის შვილები — **ალექსანდრე** და **ბეგონიტა** დაობლდნენ, მაგრამ მათზე შეფობა დაიკისრეს „ცე-ესკას" ჰოკეისტებმა. ალექსანდრე მოგვიანებით, მამის მსგავსად, სახელგანთქმული ჰოკეისტი გახდა, მისი და — ბეგონიტა კი მხატვრულ ტანვარჯიშში მოღვაწეობდა.


ხარლამოვი და ესპოზიტო


ხარლამოვი, პეტროვი და მიხაილოვი

**ვალერი ხარლამოვის მიღწევები:**
საბჭოთა კავშირის ნაკრებისა (1969-1980) და „ცე-ეს-კას" თავდამსხმელი, სსრკ-ის დამსახურებული ოსტატი, ორგზის ოლიმპიური (1972, 1976 წწ.) და 8-გზის მსოფლიო ჩემპიონი. 1972, 1973 წლებში დასახელებული იყო მსოფლიოს საუკეთესო ჰოკეისტად. არის ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის დიდების დარბაზის წევრი.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

# «უკრაინგეიტი» უკან იხევს — იუსტიციის სამინისტრო ჯულიანის მიერ შეგროვებულ ფაქტებს განიხილავს

**„უკრაინგეიტი“, რომელიც აშშ-ში პრეზიდენტ დონალდ ტრამპის დამხობის მსურველი დემოკრატების ძალისხმევით იყო აგორებული, იმპიჩმენტის გამოცხადების უშედეგო მცდელობის შემდეგ ნელა, მაგრამ განუხრელად შებრუნდა საპირისპირო მხარეს და ამ სკანდალის ინიციატორებს გასრესით ემუქრება.**




ამის მორიგი დასტურია აშშ-ის გენერალური პროკურორის, **უილიამ ბარის,** რამდენიმე დღისწინანდელი განცხადება ვაშინგტონში, იუსტიციის სამინისტროს ცენტრალურ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე.

**ბარმა განაცხადა, რომ აშშ-ის იუსტიციის სამინისტრო მზად არის, განიხილოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ეხება უკრაინას, მათ შორის, დონალდ ტრამპის ადვოკატის, რუდოლფ ჯულიანის მიერ მოგროვებული. გენპროკურორის თქმით, მისი სამინისტრო ვალდებულია, „კარი ღია დატოვოს ყველასთვის, ვისაც სურს მოგვაწოდოს ინფორმაცია, რომელსაც ისინი მნიშვნელოვნად მიიჩნევენ“.**

ლაპარაკია, უწინარესად, იმ ინფორმაციაზე, რომელიც ჯულიანიმ შეაგროვა ევროპაში მოგზაურობისას. შეგროვებული მასალების მიხედვით, მან ფილმიც კი გადაიღო სახელწოდებით „უკრაინელი მოწმეები ანადგურებენ შიფის საქმეს“. **ადამ შიფი** წარმომადგენელთა პალატის დაზვერვის კომიტეტის ხელმძღვანელია, რომელიც ატარებდა ტრამპის ინმპიჩმენტის მოსმენის საქმეს.

ფილმში ამტკიცებენ, რომ ტრამპის მხრიდან არ ყოფილა არანაირი მცდელობა წნეხში მოექცია უკრაინა, რათა მას გამოძიება დაეწყო ჯო ბაიდენისა და მისი ვაჟის წინააღმდეგ. სამაგიეროდ, დასტურდება, რომ თვითონ ჯო ბაიდენი დაკავშირებული იყო ტრამპის შტაბზე ჰაკერულ შეტევასთან, აგრეთვე, ის ეხმარებოდა უკრაინელებს, ჰილარი კლინტონის არალეგალურად დაფინანსებაში წინასაარჩევნოდ.

ამას გარდა, ჯულიანიმ ბაიდენის საქმისა და აშშ-ის არჩევნებში ჩარევის მოწმეებისთვის ვიზების ბლოკირებაში დაადანაშაულა სახელმწიფო დეპარტამენტი და აშშ-ის საელჩო უკრაინაში.

კერძოდ, ამერიკაში არ შეუშვეს უკრაინის ყოფილი პროკურორი **ვიქტორ შოკინი,** რომელსაც ჯულიანი „ვარსკვლავურ მოწმეს“ უწოდებს.

უილიამ ბარი საზოგადოებას ამ ფაქტების განხილვას დაჰპირდა, მაგრამ აღნიშნა, რომ ჯულიანის მიერ შეგროვებულ მონაცემებს უნდა მოეკიდონ ძალიან ფრთხილად და შეუმოწმებლად არაფერი დაიჯერონ. ბარმა განაცხადა, რომ ფაქტების შემოწმების მიზნით იუსტიციის სამინისტრო უკვე მუშაობს ადგილებზე აშშ-ის სპეცსამსახურებთან ერთად.

**eadayly.com-ზე გამოქვეყნებული წერილის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

# რამდენი ჰექტარი მიწა შეიძინეს უცხოელებმა საქართველოში



**„„ჯერ ვალერიანის წვეთები მოიმზადეთ, შემდეგ წაიკითხეთ!“ — წერს დემოგრაფი ანზორ თოთაძე. წასაკითხი კი, აი, რა არის:**

„თუკი სხვა ქვეყნებში ერთი ჰა მიწის ღირებულებაა 150-200 ათასი დოლარია, საქართველოში იგივე ერთი ჰა მიწა 1000-1500 დოლარი ღირს.

საქართველოში გაყიდულია საუკეთესო მიწები:

ყველაზე მეტი მიწის ფართობი — **11 000 ჰა** კახეთში გაიყიდა, რომელიც უცხოელებმა შეიძინეს, მათ შორის:

იტალიელებმა ვენახი – 17 ჰა, სახნავ-სათესი – 290 ჰა, სავარგული ზეთისხილის მოსაყვანად – 30 ჰა, სახნავი – 20 ჰა და 2 ტბორი;

ბრიტანელებმა თხილისა და ზეთისხლის გასაშენებლად — 5 500 ჰა, ინდოელებმა მარცვლეულის მოსაყვანად — 545 ჰა + 330 ჰა + 800 ჰა, მეთევზეობის მეურნეობისათვის — 1100 ჰა, სხვადასხვა მიზნით — 1000 ჰა.

**იმერეთში** მიწის ფართობები გასხვისდა ჩეხებზე, ინდოელებზე, ირანელებზე, ამერიკელებსა და ებრაელებზე; **შიდა ქართლში** — ხაშურის მუნიციპალიტეტში ინგლისელებზე — 514 ჰა, ინდოელებზე — 330 ჰა; **სამეგრელოსა და ზემო სვანეთში** — იტალიელებზე, ფრანგებზე, ებრაელებზე, ჩინელებზე, გერმანელებზე გაიყიდა 15 555 ჰა. აქედან 12 ათასი ჰა ტყის მასივებია.

არაბებმა წალკაში შეისყიდეს 70 ჰა, ქანდაში — 56 ჰა, მუხრანში — 52 ჰა, წეროვანში — 18 ჰა, საგურამოში — 7 ჰა მიწის ფართობები.

სულ საქართველოში გაყიდულია 32 000 ჰა მიწა.

აფხაზეთისა და შიდა ქართლის ოკუპაციის შემდეგ, საქართველოს ტერიტორია შეადგენს 5 600 000 ჰა-ს. 32 000 ჰა უკვე გაყიდულია, მაგრამ კიდევ ხომ არის დარჩენილი გასაყიდი 5 568 000 ჰა?

ვთქვათ, მიწა არ გაიყიდა უცხოელებზე, მაგრამ გაიცა 49-წლიანი იჯარით. თითო მუსლიმანს, სულ მცირე, ოთხი ცოლ ჰყავს, ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთი მუსლიმანისგან შეიძლება გაჩნდეს 200 ბავშვი, ზრდასრულ ასაკში ესენიც გააჩენენ წელიწადში, სულ მცირე, ოთხ შვილს და ა.შ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის II თავის, მე-10 მუხლის გ) პუნქტის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეობას დაბადებით მოიპოვებს საქართველოში მოქალაქეობის სტატუსის არმქონე პირთა შვილი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე დაიბადა.

გამოდის, რომ ეს უამრავი მუსლიმანი ბავშვი, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე დაიბადებიან, საქართველოს მოქალაქეები იქნებიან და მიწასაც შეიძენენ.

ალბათ, სულ რაღაც, ნახევარი საუკუნის შემდეგ საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა ეთნიკური მუსლიმი იქნება, ქართველები კი — სანთლით საძებარნი...

# ლიბერალებმა შური იძიეს სალვინიზე იმიტომ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრად ყოფნისას იტალიის ინტერესებს იცავდა და ზედმიწევნით ასრულებდა თავის მოვალეობებს

**12 თებერვალს იტალიის სენატმა სადეპუტატო ხელშეუხებლობა მოუხსნა მემარჯვენე პარტია ჩრდილოეთის ლიგის ლიდერ მატეო სალვინის.**



პროცედურის დასრულების შემდეგ შს ყოფილი მინისტრი მატეო სალვინი სასამართლოს წინაშე ლტოლვილების მიმართ არაჰუმანური მოპყრობის ბრალდებით წარდგება.

2019 წლის ივლისში აგორდა სკანდალი გემ Gregoretti-ს გამო, რომლის ბორტზე 130-მდე მიგრანტი იმყოფებოდა. იტალიის ხელისუფლებამ მხოლოდ რამდენიმე მათგანს დართო ნაპირზე გადმოსვლის ნება, მათ შორის ორსულ ქალებს ოჯახებით, აგრეთვე, 15 არასრულწლოვანს.

გემზე დარჩენილი ლტოლვილები იძულებულნი იყვნენ, რამდენიმე დღის განმავლობაში „კატასტროფული პირობებისთვის“ გაეძლოთ.



# მარადიული სიყვარული: საოცარი ასწლიანი ისტორია

**ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მანდაეთში უხუცესი წყვილი ცხოვრობს — ნოე და მარიამ მუმლაძეები, რომლებსაც 2020 წლის 1 იანვარს ასი წელი შეუსრულდათ, მათგან 75 წელიწადი ცოლ-ქმარი არიან.**

100 წლის მარიამი და ნოე ერთმანეთს ბავშვობიდან იცნობენ. ჰყავთ ხუთი შვილი (უფროსი შვილი 72 წლისაა, უმცროსი — 63 წლის), 11 შვილიშვილი და 15 შვილთაშვილი. ახლა ყველა მათგანი საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ცხოვრობს, მოხუცმა ცოლ-ქმარმა კი მშობლიურ სოფელში დარჩენა ამჯობინეს.

**„სპუტნიკ-საქართველო“**

# აზერბაიჯანმა უარი თქვა ევროსაბჭოს მოთხოვნის შესრულებაზე



**მასმედია იუწყება, რომ, როგორც ქვეყნის პრეზიდენტმა ილხამ ალიევმა განაცხადა, აზერბაიჯანი უარს ამბობს ევროსაბჭოს მოთხოვნის შესრულებაზეო.**

„ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაცია მიკერძოებით აფასებს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს აზერბაიჯანში. ზოგიერთი ნეგატიური დასკვნა მზადდება არჩევნების ჩატარებამდე“, — განაცხადა ალიევმა.

„ევროსაბჭოს ამგვარი დამოკიდებულების ბოლო გამოვლინება გამჟღავნდა რეზოლუციაში „აზერბაიჯანში პოლიტპატიმრების საქმის შესახებ“, რომელიც იყო შეთითხნილი და სიცრუეზე აგებული“, — ირწმუნება პოლიტიკოსი.

ასეთი დოკუმენტის მიღება ალიევმა არჩევნებში უხეშ ჩარევად მიიჩნია. „ჩვენ უარვყოფთ ყველა ბრალდებას, რომლებიც ჩვენ მიმართ არის წამოყენებული და არ შევასრულებთ ეგრეთ წოდებულ მოთხოვნებს, რომელთა შესრულებაც მოგვთხოვეს“, — ხაზი გაუსვა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის იანვრის რეზოლუციამ ბაქოს მოუწოდა, „საიმედოდ და სრულად“ გადაეწყვიტოს პოლიტპატიმართა პრობლემები. ალიევმა განაცხადა, რომ აზერბაიჯანისთვის ეს დოკუმენტი ფარატინა ქაღალდია.

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

www.geworld.ge
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894